ჰუმანიტარული ომი ლიახვის ხეობაში A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ექსკლუზივი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 2004 წელი. №225 (774)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### მაუწყებლები კანონპროექტს იწუნებენ



მაუწყებელთა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან.

A2

## ეკონომიკა



### ბენო ქაშაკაშვილი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს

სააქციო საზოგადოება "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" (რმკ) რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი სიმართლის დამტკიცებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით იმედოვნებს.

A4

## უცხოეთი

### ერაყში მძევლები ისევ იღუპებიან



ერაყელმა ტერორისტებმა კიდევ ერთი უცხოელი მძევალი დასაჯეს სიკვდილით.

A5

## სამართალი



### პანკისის ხეობაში პატრული გამოჩნდება

სპეცრაზმელების სტუმრობა პანკისში გუშინ, დილის თორმეტ საათზე დაიწყო და შუადღემდე გაგრძელდა.

A7

## ამინდი

| | 22/9 | 23/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 29 |
| ქუთაისი | 31 | 32 |
| ბათუმი | 31 | 30 |
| სოხუმი | 29 | 29 |
| ფოთი | 31 | 30 |
| თელავი | 27 | 27 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |
| გორი | 24 | 26 |
| ახმეტა | 26 | 28 |
| ჭიათურა | 28 | 29 |
| გაგრა | 27 | 28 |
| სამტრედია | 31 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8575 |
| ევრო | 2.2665 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3177 |
| რუბლი | 0.0636 |

# ახალი მუსოლინის დაბადება



*იმპერიის მოდერნიზებული სიმბოლო.*

ეკა კვესიტაძე

"ცივილიზაციათა ჯახი" - სამუელ ჰანტინგტონის ეს ცნობილი თეორია 9/11-ის შემდეგ ძალიან ბევრს გაახსენდა. სახელგანთქმული პოლიტოლოგის წინასწარმეტყველება, რომ განსხვავებულ ღირებულებათა სისტემაზე დაფუძნებულ ცივილიზაციათა შეტაკება ძალიან მალე გახდებოდა მსოფლიოსთვის ყველაზე მწვავე პრობლემა, 2001 წლის 11 სექტემბერს რეალობად იქცა.

იმ ტერორიზმის ფესვები, რომელიც ამერიკას დაატყდა თავს, უპირველეს ყოვლისა, ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს დაპირისპირებაშია საძიებელი. ფუნდამენტალისტ ისლამისტებს სძულთ ამერიკა, როგორც დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების სიმბოლო. ამერიკა, რომელიც მსოფლიოში წესრიგის დამყარებაზე აცხადებს პრეტენზიას, წესრიგის, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიულ ფასეულობებს უნდა დაეყრდნოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უმოქმედობა ღალატის ტოლფასია

გურამ მაღლაკელიძე

პრეზიდენტ პუტინის გამოსვლამ რუსეთის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე დაადასტურა, რომ მოსკოვის კურსის მილიტარიზაცია და ქვეყნის გადაქცევა ავტორიტარულ-პოლიტიკურ სახელმწიფოდ, ბესლანის ტრაგედიამდე კარგა ხნით ადრე დაიგეგმა, რადგან პოლიტიკური ხასიათის ასეთი სტრუქტურული ცვლილებები ერთ კვირაში არ მზადდება. თუ ბესლანამდე 2005 წლის ძალოვნების ბიუჯეტის თითქმის 30-პროცენტიანი ზრდა უკმაყოფილებას იწვევდა ღარიბ რეგიონებსა და გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებში, ახლა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებების მიღებაც უხმაუროდ ჩაივლის. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი აქტიური მოქმედებისთვის ემზადება. ასევე ცხადია, რომ არჩევანი - "ევროპული დემოკრატია თუ ისევ ევროაზიული იმპერია" - გაკეთებულია. ამ მხრივ ნიშანდობლივი იყო პუტინის გამოსვლა დიპლომატიური კორპუსის წინაშე, რომლის მხოლოდ ნაწილი გახმოვანდა. თავყრილობის პრეზიდიუმში, სახელმწიფოს პირველ პირებთან ერთად, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის ე. პრიმაკოვისა და უკრაინაში რუსეთის ელჩის ვ. ჩერნომორდინის გამოჩენა თვალნათლივ მიუთითებდა, რომ რუსეთის მოქმედებების მეთოდები "თანამეგობრობის სივრცეში" რადიკალურად შეიცვლება.

შეაჯამეს რა ათწლიანი მოღვაწეობის შედეგები პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ერთიანობის შენარჩუნებისათვის, რუსეთის ანალიტიკური სამსახურები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იმედები და ძალისხმევა - დსთ გადაქცეულიყო ეკონომიკურად ევროკავშირის, ხოლო სამხედრო-პოლიტიკურად ნატოს მსგავს გაერთიანებად, კრახით დასრულდა. გასულმა პერიოდმა აჩვენა, რომ ობიექტური პირობები დსთ ქვეყნების ეკონომიკის ინტეგრირებისათვის კი არ გაუმჯობესებულა, არამედ პირიქით, გაუარესდა, ხოლო სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში ინტერესთა თანხვედრა კიდევ უფრო ნაკლებია.

ზ. ბჟეზინსკი ჯერ კიდევ 1997 წელს წერდა, რომ როგორც კი რუსეთი აღიდგენს თავის ძლიერებას, იგი შეეცდება კვლავ დაიმორჩილოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. ეს საშუალებას მისცემს მას, ითამაშოს განსაკუთრებული როლი ევროაზიულ სივრცეში, რაც თვალნათლივ აისახება რუსული პოლიტიკური აზროვნებისა და საგარეო პოლიტიკური კურსის უშუალო ხელმძღვანელებში. მსოფლიოში ნავთობპროდუქტებზე ფასების არნახულმა მატებამ და ამის შედეგად ბი-

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოში ქალი სამხედროებიც გვეყოლება



*გარემონტებული აკადემიის გახსნა.*

ვერიკო თევზაძე

*გუშინ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ახალი სასწავლო წელი მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო: აქ პირველად გაიხსნა საჰაერო და საზღვაო სასწავლებელი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამჟამად აკადემიაში მზადდება შესაბამისი ნიადაგი და მომავლი წლიდან აქ გოგონებსაც მიიღებენ.*

ახალი სასწავლო წლის ზეიმს აკადემიაში პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე და საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის სამხედრო ატაშეები ესწრებოდნენ. საჰაერო და საზღვაო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა თურქეთის ავიაციის კორპუსის გენერალი ერდოღან ქარაქუში.

**"დღეს ქართულ ჯარში სამსახური სიამაყის გრძნობას იწვევს თითოეულ ახალგაზრდაში. ყურადღებით ვუყურებდი მათ სახეებს, როდესაც ისინი მარშით მიდიოდნენ - ეს არ არის ის ქართველი ჯარისკაცი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ შიოდა და სწყუროდა. ეს ბიჭები იყვნენ ძალიან ამაყები და ღირსების გრძნო-**

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავარი თემა - რუსეთი

ნინო გომართელი

ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე გუშინ საერთო პოლიტიკური დისკუსია დაიწყო, რომელშიც ასამდე სახელმწიფოს პირველი პირი იღებს მონაწილეობას. გენერალური ასამბლეის ტრიბუნაზე სიტყვით გამოვიდნენ კოფი ანანი და შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელთა მოხსენების უმთავრესი თემა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა იყო.

გენერალური ასამბლეის 59-ე სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც წინასწარვე აცხადებდა, რომ "ქართული მხარე სხდომაზე ისევე წარმატებით წარდგება, როგორც დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა სამიტზე" და "საქართველოსთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს შეეხება", მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ ვითარებას.

ვიზიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი რუმინეთის, სლოვაკეთის, ესტონეთისა და ლიტვის პრეზიდენტებს შეხვდა, საუბრის ერთ-ერთი თემა კი რუსეთთან ურთიერთობა იყო.

ნიუ-იორკში გადაწყდა, რომ ბალტიის ქვეყნები, რუმინეთი და ბულგარეთი საქართველოს ევროკავშირში ლობირებას გაუწევენ, რის შესახებაც ახლო მომავალში სპეციალური მემორანდუმი გაფორმდება.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთზე ისაუბრა მიხეილ სააკაშვილმა ასევე "ჯეიმსთაუნის" ფონდში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა კი შეხვედრა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან სერგეი ლავროვთან გამართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ლავროვს კომენტარი არ გაუკეთებია. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით კი მხარეები "ერთადერთზე შეთანხმდნენ, რომ საქართველო და რუსეთი ერთმანეთს პოლემიკის და დეკლარაციების გარეშე უნდა ესაუბრონ".

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, მან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს თბილისში ჩამოსვლა შესთავაზა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

23 სექტემბერს ზურაბიშვილი სუუამ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების 15-წუთიან შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

ამასთან, ნიუ-იორკში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ტელეკომპანია "სი-ენ-ენ" - ს ინტერვიუ მისცა, სადაც ისევ და ისევ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებზე ისაუბრა.

**"საქართველო რუსეთთან შეთანხმებულად მოქმედებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე საქართველოს პრეზიდენტი გავხდი. ჩვენ რუსეთს არაერთხელ შევთავაზეთ და მოვითხოვეთ საზღვრების ერთობლივი გაკონტროლება, ასევე - ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა. მსგავსი მოქმედებები ჩვენს ტერიტორიებზე ტერორისტებისა და შეიარაღებული პირების გადაადგილებას შეაჩერებს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ექსკლუზივი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ჰუმანიტარული ომი ლიახვის ხეობაში



დავეხმაროთ ლიახვის ხეობას - მოგვიწოდებს საპარლამენტო კომისია.

ფოტო ლევან ხერხეულიძე

გუშინ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ საგანგებოდ მიმართა საქართველოს მოსახლეობას, ასევე, ბიზნესის წარმომადგენლებს და მათ ცხინვალის რეგიონის დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებლების თანადგომა სთხოვა.

**"როდესაც საუბარია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებლებს თავად საქართველოს მოსახლეობამ და ბიზნესმენებმა უნდა გაუწიონ დახმარება, რათა მათ გამოზამთრება შეძლონ. კომისია კი მზად არის, ამ ღონისძიებას კოორდინირება გაუწიოს",** - განაცხადა მაღლეფერიძემ.

კომისიის წევრები მოსახლეობას სთხოვენ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებლებს შეძლებისდაგვარად მიაწოდონ ყველანაირი პროდუქტი, სამშენებლო თუ საწვავი მასალები. მით უფრო, რომ, როგორც ვასილ მაღლაფერიძე აცხადებს, რუსეთიდან უკვე წამოსულია სხვადასხვა პროდუქტით დატვირთული უამრავი მანქანა, რომელიც ოსეთის სეპარატისტული რეჟიმისთვის არის განკუთვნილი.

**"პრაქტიკულად, დაწყებულია ჰუმანიტარული ბრძოლა. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის თითოეული მცხოვრები უნდა გრძნობდეს თანამემამულეების თანადგომას",** - განაცხადა მაღლაფერიძემ.

*24 საათი*

# ნინო ბურჯანაძეს უცხოელი დიპლომატები სტუმრობდნენ

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ დახურულ კარს მიღმა დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენლები მიიღო. მოგვიანებით კი პარლამენტის თავმჯდომარეს უკვე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელი, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ელჩები სტუმრობდნენ. თუკი პირველი შეხვედრის დასრულების შემდეგ ზოგადი კომენტარები მაინც გაკეთდა, მეორე შეხვედრის მონაწილეებმა პარლამენტი უკომენტაროდ დატოვეს.

როგორც გაირკვა, ლორდთა პალატის წარმომადგენლებსა და ნინო ბურჯანაძეს შორის გამართული საუბარი საქართველოსთვის დახმარების გაწევის საკითხს შეეხებოდა, თუმცა ამ შეხვედრაზე კონკრეტული პროექტები არ განხილულა.

*24 საათი*

# საქართველოს საპატრიარქოს მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისადმი

ამა წლის 24 სექტემბერს (ძველი სტილით 11 სექტემბერს) საქართველოს საპატრიარქო აწყობს ღონისძიებას, რომელიც ეძღვნება კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა წმიდა ხსოვნას. დილის 9.00 საათზე კრწანისის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში აღევლინება წირვა, რომლის შემდეგაც, 13.00 საათზე 300 არაგველის ბაღში გადახდილ იქნება გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი. პანაშვიდს გადაიხდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II. აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი სახელმწიფო, საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწეები. ღონისძიების გასაშუქებლად მოწვეული იქნებიან მასმედიის წარმომადგენლები.

1895 წელს კრწანისის ომის ასი წლისთავთან დაკავშირებით წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: **"ხვალ, 11 სექტემბერს, კრწანისის მინდორზე პანაშვიდია დანიშნული საოხად და სახსენებლად იმ საოცარ გმირებისა, რომელთაც ამ ასის წლის წინად სწორედ ამ დღეს თავი შესწირეს თავისს საყვარელს ქვეყანას, თავის რჯულ-სარწმუნოებას, თავისს ვინაობის ხსნას, თავისს ისტორიის ანდერძს, თავისის ერის სახელსა და დიდებას და ერთობ თავისის ქვეყნის მერმისსა... ჩვენ აქ ჩვენის ბედის წერის ისტორიას არა ვწერთ. ჩვენი სურვილია ხვალ ყველა დამსწრემ პანაშვიდზედ ცხოვლად აღიბეჭდოს იგი საოცარი სურათი ვაჟკაცურ მამულიშვილობისა... ნუთუ მართლა ხვალინდელმა დღემაც ისე უნდა ჩაიაროს... სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ხვალინდელი დღე ასე კვალ-დაუჩნევლად გავატაროთ... ნუთუ ღირსნი არ არიან... ვინც ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისათვის გაიმეტა თავისი თავი, თავისი სიცოცხლე და კრწანისის მინდორზედ დააფრქვია თავისი სისხლი, მტლად დაედო თავის საყვარელს ქვეყანას და თავის მშობელს ერსა?.."** (იხ. "ივერია" 1895, №№ 195, 200, 201, 202, 208, 209, 215, 216).

**"ილიას მოწოდებამ გასჭრა..."** 1895 წელს 11 სექტემბერს (ახალი სტილით 24 სექტემბერს) ბრძოლის ველზე მდებარე წმიდა ნიკოლოზის ტაძარში საგანგებო წირვა აღევლინა, ხოლო შემდეგ თბილისის მთელმა სამღვდელოებამ ფართო საზოგადოებასთან ერთად კრწანისის ომში დაცემულ გმირთა სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა. **"ეს იყო პირველი საჯარო ისტორიული პანაშვიდი. ქართველი ერის მოღვაწეების თხოვნით კონსტანტინე მუხრან-ბაგრატიონმა რუსეთის მეფეს საამისო ნებართვა გამოსთხოვა, ხოლო ქართველმა მოღვაწეებმა ეს პანაშვიდი უდიდეს ეროვნულ დღეთ გადააქციეს, მთელ ქართველობას წარმომადგენლობის საშუალებით აქ თავი მოუყარეს, ეროვნული სული და ძალა გამოაჩინეს..."**

**"საქართველოს ყოველ კუთხეში დაიგზავნა კაცები, მოწვეულ იქნენ წარმომადგენლები... იდგნენ რამდენიმე მღვდელმთავარნი შემოსილი, ხატებითა და ჯვრებით შემკულნი, ეპისკოპოზების მეთაურობით; აქვე ქალ-ვაჟ მგალობელთა გუნდი. შემდეგ წარჩინებულნი, საზოგადო მოღვაწენი, საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული წარმომადგენელნი, კონსტანტინე ბაგრატიონი, მესამოცე წლების მოღვაწენი - ილია აკაკის მეთაურობით..." (ვ. მგელაძე, მოგონებები, პარიზი, 1934 წ.).**

შემდგომში მადლიერმა შთამომავლობამ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც შეძლო კრწანისის ბრძოლის გმირებისა და მათ შორის მეფისათვის თავგანწირვით გამორჩეული 300 არაგველისათვის სათანადო პატივის მიგება: კრწანისის ბრძოლის ეპიცენტრსა და მებრძოლთა საძმო განსასვენებელს, ძველად სეიდაბადის ბაღებად ცნობილ ტერიტორიას, 300 არაგველის სახელობის ბაღი უწოდა, აქვე აღიმართა მათივე სახელობის მემორიალი. ორთაჭალჰესზე გადასასვლელ ხიდს, ხიდთან არსებულ მოედანსა და თვით მოშორებით მდებარე მეტროპოლიტენის სადგურსაც კი 300 არაგველის სახელი დაერქვა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამა წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკაშირებული საზეიმო აღლუმი ღვთის განგებით ამ წმიდა ადგილზე გაიმართა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ჩვენდა სამწუხაროდ, 300 არაგველის ისტორიულ და წმიდა ბაღს საფრთხე ემუქრება. კერძოდ, აქ დაწყებულია სასტუმრო-კომპლექსის უკანონო მშენებლობა, რომელმაც უკვე გაანადგურა ბაღის დიდი ნაწილი და ხელყო კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა ძვლები.

ძვირფასო თანამოქალაქეებო, მიგვაჩნია რა, რომ ჩვენი გმირი წინაპრებისთვის პატივის მიგება ყოველი ჩვენგანის ვალია, გთხოვთ მობრძანდეთ 300 არაგველის ბაღში, მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ ღონისძიებაში და მხარი დაგვიჭიროთ ამ ისტორიული ბაღის გადარჩენის საქმეში.

ერთად შევუნარჩუნოთ ჩვენს მომავალ თაობას ეროვნული სიწმიდეები და ისტორია. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგამარჯვებინოთ ყველა ღვთივსათნო და მამულიშვილურ საქმეში.

# მაუწყებლები კანონპროექტს იწუნებენ

**თამარ მჭედლიშვილი**

*გუშინ მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და პარლამენტარები "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის თაობაზე ბჭობდნენ. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით გამართულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ის უკმაყოფილება, რომელიც სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლებში ამ კანონპროექტმა გამოიწვია. იმის მიუხედავად, რომ ამ პროექტში ჩადებული მთელი რიგი საკანონმდებლო ინიციატივები ტელე თუ რადიოარხების მეპატრონეებისთვის მეტნაკლებად მისაღებია, მაინც არის საკითხები, რომელთა თაობაზეც პარლამენტარებსა და საინფორმაციო საშუალებათა მეპატრონეებს განსხვავებული ხედვა აქვთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივად გადაკეთების ინიციატივას, სატელევიზიო ანძის მეპატრონის ვინაობის განსაზღვრასა და მაუწყებლობისთვის ლიცენზიის გაგრძელების პრინციპებს ეხება.*



*მაუწყებელთა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეხვედრა პარლამენტის თავმჭდომარესთან.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

კანონპროექტი, რომელიც მაუწყებლობას ეხება, პარლამენტის კომიტეტებში უახლოეს დღეებში უნდა განიხილონ. პროექტის თანახმად, სატელევიზიო ანძა საზოგადოებრივ ტელევიზიას ანუ საქტელერადიოკორპორაციას გადაეცემა. ეს კი მას მერე მოხდება, რაც სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივად გადაკეთდება.

კომერციული ანუ დამოუკიდებელი ტელეკომპანიების წარმომადგენლების უმრავლესობა საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის ანძის გადაცემის ფაქტს ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ **"ამით მას საკმაოდ დიდი ბერკეტი მიენიჭება და თავისუფლად შეძლებს კერძო მაუწყებლობის ფუნქციონირების შეფერხებას".**

როგორც ტელეკომპანია "იმედის" წარმომადგენელმა გიორგი თარგამაძემ შეხვედრაზე განაცხადა, "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტი ლაკმუსის ქაღალდი იქნება ტელემედიის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებისა. **"იდეაში ვიზიარებ სახელმწიფო ტელევიზიის ჩამოყალიბების ინიციატივას, მაგრამ ეს პროცესი არ უნდა განხორციელდეს სხვა კერძო არხების შეზღუდვისა და დაზარალების ხარჯზე",** - აღნიშნა თარგამაძემ. მისივე თქმით, **"კანონპროექტის თანახმად, საზოგადოებრივ ტელევიზიას რეკლამის განთავსების უფლება აქვს. ამავე კანონპროექტის მიხედვით, საზოგადოებრივ ტელევიზიას, რეკლამის გარდა, სხვა სერიოზული შემოსავლებიც ექნება, ამიტომ მას შეუძლია რეკლამის ფასი დაწიოს, რითაც პირდაპირ დარტყმას მიაყენებს კერძო ტელეკომპანიებს".**

ტელევიზიებისა და რადიოარხების მეპატრონეთა ნაწილი მაუწყებლობისთვის ლიცენზიის გაგრძელების პრინციპსაც ეწინააღმდეგება. კანონპროექტის თანახმად, ლიცენზიის გაგრძელება ყოველ ათ წელიწადში, საკონკურსო წესით უნდა მოხდეს. ეს კი კერძო ტელევიზიებისა თუ რადიოსადგურებისათვის აბსოლუტურად მიუღებელია.

გუშინ საკმაოდ კატეგორიული განცხადებები გააკეთა ტელეკომპანია "202"-ის ხელმძღვანელმა შალვა რამიშვილმა, რომელმაც კერძო ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს გაერთიანებისკენ მოუწოდა, რათა მათ ხელისუფლებას **"ხელიდან გამოსტაცონ კერძო მაუწყებლობის რეგულირების საკითხები".**

რაც შეეხება თავად კანონპროექტის ავტორს, "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ყოფილი აქტივისტი, ამჟამად პარლამენტარი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ **"ის შენიშვნები, რომელიც დღეს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს გამოითქვა, ხუთშაბათს იურიდიული კომიტეტის სხდომაზე იქნება განხილული და შემდეგ - გათვალისწინებული".**

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მზად არის "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით ტელე და რადიომაუწყებლობის წარმომადგენლებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, კიდევ ერთხელ შეხვდეს. **"დამატებითი შეხვედრისთვის მზად ვარ. რა თქმა უნდა, არგუმენტებს პირადად მოვისმენ, თუმცა უმჯობესი იქნება, თუ დამატებით პრეტენზიებს წერილობით მოგვაწვდით. მზად ვართ, დავიცვათ როგორც ტელე და რადიომაუწყებლების, ასევე საზოგადოების ინტერესები. შევეცდებით, აღნიშნულ კანონპროექტში შეძლებისდაგვარად შევიტანოთ ყველა ის ცვლილება, რომელიც კანონს გააკეთილშობილებს,"** -

# საქართველოში ქალი სამხედროებიც გვეყოლება

პირველი გვერდიდან

**ბით აღსავსენი.**

**ისინი დარწმუნებულები არიან, რომ თავისი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ისინი საფუძველს უმაგრებენ ქვეყნის ერთიანობას,"** - ამგვარად შეაფასა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ახალი სასწავლო წლის დასაწყისი ნინო ბურჯანაძემ. აკადემიის სასწავლო კორპუსს და სტუდენტთა საცხოვრებელს თურქული მხარის დახმარებით ჩაუტარდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რემონტი. აკადემია 280 ათასი დოლარის ღირებულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა. (სარემონტო სამუშაოებზე 447 ათასი დოლარი დაიხარჯა). მიუხედავად ყველაფერ ამისა, აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი თავდგირიძე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად აქ ახალი ცნობიერებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებას მიიჩნევს: **"ჩვენ გვინდა, პირველ რიგში, აღვზარდოთ ღირსეული მოქალაქეები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პრაგმატული აზროვნებით, ინფორმაციაზე მუშაობის უნარჩვევებით და ა.შ. ეს კომპლექსია იმ ღირებულებებისა, რომელიც ჩვენთან უნდა დამკვიდრდეს."**

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გუშინ 171-მა პირველკურსელმა დაიწყო სწავლა. 13 ახალგაზრდა, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ არაქართულ სკოლებში აქვს განათლება მიღებული, წელს ქართული ენის და ისტორიის შემსწავლელ კურსებს გაივლის და გაისად აკადემიის პირველ კურსზე ისწავლის.

# აშშ ქართველი ჯარისკაცების მადლიერია



*"პანკისში სიტუაცია აბსოლუტურად კონტროლდება და ამ თემაზე ახალი დისკუსიების წამოწყების აუცილებლობას ნამდვილად ვერ ვხედავთ," - დააზუსტა ჟვანიამ.*

ვახო ბესელიას ფოტო

**ლელა მჭედლიძე**

*გუშინ, მთელი დღის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა წარმომდგენლებთან შეხვედრის შემდეგ, აშშ-ს ანტიტერორისტული კოალიციის უწყებათაშორისი ჯგუფის წევრებმა შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართეს.*

**"ჩვენ მადლობელი ვართ იმ წვლილისთვის, რომელიც საქართველოს წარმომადგენლებს შეაქვთ მრავალეროვან სამშვიდობო მისიაში. ეს ძალზე მნიშვენლოვანია აშშ-ის მთავრობისა და ხალხისათვის, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია თავად ერაყელებისთვის, რომელთაც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საშუალება ეძლევათ",** - განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ელჩმა სტივენ პფაიფერმა. დელაგაციის შემადგენლობაში აშშ-ისა და თავადაცვის დეპარტამენტების წარმომადგენლბი შედიოდნენ; მათ შორის - ერთ დროს საქართველოში ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ფილიპ რემლერიც, რომელიც ახლა ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტში საქართველოს ბიუროს დირექტორია. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ამერიკის მთავრობა კმაყოფილია ერაყში მყოფი ქართველი სამხედროებით და მზად არის, მათ ნებისმიერი სახის თანადგომა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს. ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელის სტივენ პფაიფერის თქმით, ქართველი და ამერიკელი სამხედროების თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლოა და ის მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

როგორც პფაიფერმა განაცხადა, აქტუალურ საკითხთა ჩამონათვალს ისინი ვაშინგტონში წაიღებენ და იქ განიხილავენ. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ამერიკა საქართველოში განხორციელებული სამხედრო პროგარამებით კმაყოფილია და მათ გაგრძლებაზეც ფიქრობს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ამერიკელ სტუმრებთან შეხვედრისას, პანკისის ხეობის შესახებ საუბარი არ ყოფილა, რადაგან ამის საჭიროებას საქართველოს ხელისუფლება ვერ ხედავს. **"პანკისში სიტუაცია აბსოლუტურად კონტროლდება და ამ თემაზე ახალი დისკუსიების წამოწყების აუცილებლობას ნამდვილად ვერ ვხედავთ,"** - დააზუსტა ჟვანიამ. პრემიერ-მინისტრმა, ასევე, კიდევ ერთხელ გაიმეორა საქართველოს ხელისუფლებისა და მიხეილ სააკაშვილის მიერ ბოლო დროს კიდევ ერთხელ დაფიქსირებული პოზიცია: **"საქართველო ტერორიზმთან საბრძოლველად ყველასთვის გახსნილია".**

# მთავარი თემა - რუსეთი

პირველი გვერდიდან

**საქართველოს მთავრობამ შეძლო მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე წესრიგი დაემყარებინა. ჩვენ მშვიდად ვართ, ვინაიდან დაცულად ვგრძნობთ თავს. ამის შემდეგ ბესლანის ტერაქტში ჩვენი დადანაშაულება, ვფიქრობ, სწორი არ არის"** - თქვა მან.

მისივე განცხადებით, კავკასია სტრატეგიულად, მართლაც, მნიშვნელოვანი რეგიონია. ამ რეგიონით შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპა და რუსეთი ინტერესდება. მთავარი ფაქტორი კი ის არის, რომ საქართველო დემოკრატიულად არსებობას იწყებს.

**"ვცდილობთ, ნორმალური ურთიერთობა შევინარჩუნოთ მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთანაც, ვინაიდან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენი ეკონომიკის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენ მეზობლებთან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხითაც ვმუშაობთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხანდახან საკმაოდ რთულია, მაინც მაქსიმუმს ვაკეთებთ. რაც შეეხება შეერთებულ შტატებსა და დამოკიდებულებას ბუშის ადმინისტრაციასთან, მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ჩვენ ერთსა და იმავე ფასეულობებს ვიზიარებთ. მჯერა, რომ დემოკრატია ჩვენი რეგიონის განვითარების ერთადერთი გზაა და ამ შემთხვევაში აშშ-ს მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

## მოკლედ

### მგზავრები არ შეუშვეს რუსეთის ტერიტორიაზე

მოსკოვის "შერემეტიევოს" აეროპორტში თბილისი-მოსკოვის რეისის 40-მდე მგზავრი არ შეუშვეს რუსეთის ტერიტორიაზე.

მოსკოვის აეროპორტის საბაჟო და სასაზღვრო სამსახურებმა არ გაატარეს საქართველოს მოქალაქეები მოსკოვში იმ მოტივით, რომ მათი ვიზები არასწორად იყო გაფორმებული.

რუსეთში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლებისა და აეროპორტის ადმინისტრაციის შეხვედრაზე სამშაბათს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმ მგზავრთა თბილისში დაბრუნების შესახებ, რომლებმაც ღამე აეროპორტში გაათენეს.

13 მგზავრი უკვე ბრუნდება თბილისში. როგორც მოსკოვში საქართველოს საელჩოში ჟურნალისტებს აცნობეს, ძირითადი მიზეზი, რის გამოც მგზავრები არ შეუშვეს რუსეთის ტერიტორიაზე, მდგომარეობს იმაში, რომ მათი ვიზიტის მიზანი არ შეესაბამებოდა მიღებული ვიზის სტატუსს. **პრაიმ-ნიუსი**

### თერჯოლელ "ნაციონალებს" თემურ შაშიაშვილი სანატრელი გაუხდათ

იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დავით მუმლაძის გადადგომის მოთხოვნით გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან "ნაციონალური მოძრაობის" თერჯოლის ორგანიზაციის აქტივისტების საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის ორგანიზატორები მუმლაძეს ადგილობრივ კრიმინალებთან ალიანსში ადანაშაულებენ და მიაჩნიათ, რომ მისი მმართველობის პერიოდში, იმერეთში ხდება საქართველოს პრეზიდენტის კურსის დისკრედიტაცია.

"ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი სანატრელი გაგვიხდა", - აცხადებენ აქციის მონაწილეები, რომლებიც თერჯოლის რაიონის გამგებელს ლაშა ზედაშიძეს და თერჯოლის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ზურაბ ბუცხრიკიძეს მუმლაძესთან ალიანსში ადანაშაულებენ და მიაჩნიათ, რომ მათი მოღვაწეობის შედეგად იმერეთის რეგიონი კრიმინალების და სახელმწიფო დამნაშავეების სათარეშო არენად იქცა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ისინი მანამ არ დაიშლებიან, სანამ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება აღნიშნული საკითხით არ დაინტერესდება.

აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, აქცია უვადოდ გაგრძელდება და შესაძლოა, მან უფრო მწვავე ფორმა მიიღოს, ანუ, როგორც ისინი აცხადებენ, არ არის გამორიცხული, სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობის აქცია მოეწყოს. **ინტერ-პრესი**

### აფხაზებმა რაულ ხაჯიმბას წარსული გაუხსენეს

აფხაზური საზოგადოების ნაწილი პრეზიდენტობის კანდიდატს რაულ ხაჯინბას კოლაბორაციონიზმში ადანაშაულებს და ინტერნეტ-საიტ " აფხაზეთი რუ-ს" გვერდებზე საბჭოთა პერიოდში უშიშროების ოფიცრის რაულ ხაჯინბას მიერ შედგენილ იმ მოხსენებით ბარათებს აქვეყნებს, რომლებშიც იგი ანტიქართული მოქმედებებისთვის თავის მოძმე აფხაზ პატრიოტებზე ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს აწვდიდა.

ჩვენ არ გვინდა პრეზიდენტად გვყავდეს პიროვნება, რომელიც აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში თავის ინტერესებს აფხაზი ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებდა", - ნათქვამია წერილში, რომელიც ინტერნეტ-საიტ "აფხაზეთი რუს" რედაქციას აფხაზური საზოგადოების ერთმა ჯგუფმა ხაჯინბას მაკომპრომეტირებელ მასალებთან ერთად მიაწოდა.

წერილის ავტორებმა რედაქციას წარუდგინეს 1989-90 წლებში უშიშროების ოფიცრის რაულ ხაჯიმბას ხელით დაწერილი ე. წ. "დონოსები" იმ აფხაზ პატრიოტებზე, რომლებიც აფხაზეთის საქართველოსგან გათავისუფლებისთვის საბჭოთა პერიოდში იბრძოდნენ.

"სად არის იმის გარანტია, რომ ეროვნული გმირის მანტიამორგებული უშიშროების ოფიცერი რაულ ხაჯიმბა მომავალშიც არ უღალატებს აფხაზი ხალხის მტკიცე ნებას - მიაღწიოს აფხაზეთის დამოუკიდებლობას" ,- აღნიშნულია წერილში, რომლის ავტორთა თქმით, ისინი "აფხაზეთი რუს" რედაქციას კვლავაც მიაწვდიან მაკომპრომეტირებელ მასალებს აფხაზეთის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებზეც, რომელთა საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობა "გამყიდველურ" ხასიათს ატარებდა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დღეს "ლეიბორისტული პარტია" 24 სექტემბერს დანიშნულ მაჟორიტარულ არჩევნებში პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციისთვის ოფიციალურად წარადგენს. "ლეიბორისტულმა პარტიამ" დიდუბის საარჩევნო ოლქში პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, თბილისის პარტიული ორგანიზაციის კოორდინატორი, დედაქალაქის საკრებულოს წევრი პაატა ჯიბლაძე წარადგინა, კრწანისის საარჩევნო ოლქში კი - პარტიის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, თბილისის საკრებულოს წევრი სოსო შატბერაშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდა, რასაც ქართული მხარე მოითხოვს. დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა განაცხადა, რომ მან საქართველოში ეუთო-ს მისიას წერილი გაუგზავნა, რომელშიც მიუთითა, რომ "კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებელთა ახლანდელი რაოდენობა, მათი ობიექტური საქმიანობის შემთხვევაში, სავსებით საკმარისია". **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# უმოქმედობა ღალატის ტოლფასია

პირველი გვერდიდან

უჯეტის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ხოლო ხელისუფლების სათავეში სპეცსამსახურების თანამშრომლების მოსვლამ სწორედ ამ საშიშროების წინაშე დააყენა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. მაგრამ რუსეთს ჯერ კიდევ არ გააჩნია აუცილებელი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი იმისათვის, რომ ფართო ფრონტით გაშალოს შეტევა დსთ მთელს სივრცეზე. ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეტევა განხორციელდეს დსთ სივრცეზე მდებარე ორი გეოპოლიტიკური ცენტრის მიმართულებით. ეჭვგარეშეა, რომ ამ ორი სტრატეგიული მიმართულებიდან თუნდაც ერთში გამარჯვების მიღწევა მნიშვნელოვნად გაზრდის რუსეთის ამბიციებს, ხოლო თუ წარმატება ორივე მიმართულებით იქნა მიღწეული, ევროაზიულ სივრცეზე არსებული დღევანდელი ძალთა თანაფარდობა რუსეთის სასარგებლოდ გადაიხრება.

ვინაიდან უკრაინის წინააღმდეგ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედება კრახისთვისაა განწირული და თვითონ რუსეთისათვის გახდება საბედისწერო, ამ ეტაპზე აქცენტი გადატანილ იქნა ხელისუფლებაში პრორუსული ძალების მოსაყვანად. ამ მიზნით მობილიზებულია მილიარდობით დოლარი, ძველი და ახალი აგენტურული ქსელი, მრავალმილიონიანი რუსული სათვისტომო, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები და მრავალი სხვა მეთოდი.

მეორე გეოპოლიტიკურ ცენტრს, რასაკვირველია, აზერბაიჯანი წარმოადგენს, რომელიც, ჯერ ერთი, თვითონ ფლობს უდიდეს რესურსებს და, მეორე მხრივ, დასავლეთისთვის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია უნდა შეასრულოს კასპიის ზღვის აუზისა და შუა აზიის ქვეყნების უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების ასათვისებლად. თავის დროზე სომხეთ-აზერბაიჯანის ომის ინსპირირებით რუსეთი შეეცადა "ჩაეკეტა" აზერბაიჯანი, რათა ძირითადი მილსადენები მის ტერიტორიაზე გასულიყო, მაგრამ ამ მეთოდმა საბოლოოდ არ გაამართლა. ახალი ომის პროვოცირება კი მისთვის ძალზე საშიშია, რადგან მოძრაობაში მოიყვანს მის სამხრეთ ფლანგზე განლაგებულ მუსულმანურ სამყაროს, რომლის მოსახლეობა 300 მილიონზე მეტია.

ვფიქრობ, ეჭვგარეშეა ისიც, რომ სანამ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი იარსებებს და სომხეთი რუსეთის სამხედრო მანქანაზეა მიბმული, საქართველო გეოპოლიტიკური ცენტრის ორგანულ ნაწილს (გნებავთ გაგრძელებას) წარმოადგენს, თუნდაც იმიტომ, რომ სხვა გზა ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისა ჯერ არ ჩანს. თავის დროზე ზ. ბჟეზინსკი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შეფარულად პრეტენზიას აცხადებს თავის განსაკუთრებულ როლზე და საკუთარ გეოსტრატეგიულ ინტერესებზე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე... შეიძლება ითქვას, რომ მისი აქტიურობა ამ მიმართებით კავკასიაში განსაკუთრებულია... რუსეთის ბრძოლა კავკასიისათვის განპირობებულია არა მარტო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებით, არამედ მასში ძალზე დიდია ისტორიული მოტივები. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ძირითადი დარტყმა საქართველოს წინააღმდეგ იქნება მიმართული (ამ მხრივ შესაბამისი "პლაცდარმის" შესაქმნელად აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" სახით, რუსეთმა ადრე იზრუნა).



*კრემლი რუსეთისთვის მხოლოდ მთავრობის სამყოფელი შენობა არ არის, ის განასახიერებს რუსულ "დერჟავას".*

რუსეთმა შესანიშნავად იცის, რომ ის "ძალის ვაკუუმი", რომელიც კავკასიაში არსებობდა 90-იან წლებში, ნაწილობრივ შევსებულია აშშ-ს მიერ, მაგრამ ვაშინგტონის პრობლემები ერაყში იმედს უტოვებს, რომ მისი ძალისხმევა წარმატებით დასრულდება. დაბოლოს, ის ხალხი, ვინც დღეს რუსულ პოლიტიკას განსაზღვრავს, მარქსისტულ მეთოდოლოგიაზეა აღზრდილი და ლენინიზმით ხელმძღვანელობს, ხოლო თუ "ბელადის" პერიფრაზს გავაკეთებთ - საქართველო ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენს კავკასიურ ჯაჭვში. მართალია, ჯანსაღი ლოგიკიდან გამომდინარე, ძნელად დასაჯერებელია, რომ რუსეთი ღია აგრესიაზე წავიდეს საქართველოს წინააღმდეგ (დამერწმუნეთ, აქ არაფერ შუაში არც მართლმადიდებლობაა და არც კულტურული სიახლოვე, მით უმეტეს ქართველებისადმი სიმპათია. რუსეთ-საქართველოს ომის შემთხვევაში მოძრაობაში მოვა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასია, "გულგრილი" ვერც ანკარა დარჩება და ვერც თეირანი, მით უმეტეს ვაშინგტონი.

მოვლენათა ასეთი განვითარება კი არა მარტო საქართველოსთვის იქნება კატასტროფული, არამედ რუსეთსაც დაანგრევს), მაგრამ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ყველა სხვა არაცივილიზებული მეთოდი გამოყენებული იქნება. ცხადია, კვლავ გაგრძელდება რუსული პოლიტიკისა და სპეცსამსახურებისთვის "ტრადიციული" მიმართულებები (ამ მხრივ განსაკუთრებით საშიში უახლოეს პერიოდში "ოსური მიმართულება" იქნება, რადგან რუსეთი ეცდება ამით "რეაბილიტაციას" მიაღწიოს ოსური მოსახლეობის თვალში), მაგრამ ახლა მინდა მკითხველის ყურადღება ორ საკითხზე გავამახვილო: 1. საუბარია რუსეთის "მიზანმიმართულ, გააზრებულ "ქართულ" პოლიტიკაზე, პირველ რიგში ეკონომიკის სფეროში". აქ იგულისხმება არა ელექტროენერგიისა და გაზის გადაკეტვის მარტივი მეთოდი, არამედ ანალიტიკურ სამსახურებში მომზადებული სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანია ქართული ეკონომიკისა და ფინანსური სისტემის მოშლა, ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ესკალაცია და ამ გზით დაპირისპირების ინსპირირება მოსახლეობის სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებსა და ფენებს შორის - ყველა გამომდინარე შედეგით. 2. რუსი პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები არ მალავენ, რომ "ვინაიდან ადგილობრივმა კომუნისტებმა ვერ გაამართლეს იმედები, მხარდაჭერა უნდა გამოეცხადოს ახალ პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს. რუსეთმა საქართველოში უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი პოლიტიკური ლობი". მკითხველს, ვფიქრობ, ახსნა-განმარტება არ სჭირდება, რა "ახალ პრორუსულ" ძალებსა და "პოლიტიკურ ლობზეა" საუბარი. ცხადია ისიც, რომ რუსული დიპლომატია ცდილობს, საქართველო იზოლაციაში მოაქციოს დსთ-ს სივრცეში. მოსკოვს სურს, ქართულ-რუსული წინააღმდეგობის მსაჯულებად სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით დსთ-ს ქვეყნების ჩამყაყებული ხელმძღვანელები გამოიყენოს, რომლებისთვისაც ამ ეტაპზე მთავარი ხელისუფლების შენარჩუნება ან მისი უმტკივნეულო გადაცემაა. ამის ნიშნები ასკანას სამიტზე თვალნათლივ გამოჩნდა. რუსი პოლიტოლოგები არც იმას მალავენ, რომ "სეპარატიზმის საბოლოო დამარცხება ჩეჩნეთში მათ ხელ-ფეხს გაუხსნის და საშუალებას მისცემს რუსეთს, ღიად დაუჭიროს მხარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევას". მათი ვარაუდით, ეს მოვლენები დროში შეიძლება კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობას დაემთხვეს. ალბათ ჩვენმა საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ აქედანვე უნდა დაიჭიროს თადარიგი და ქართულ საზოგადოებას უახლოეს პერიოდში ერთმნიშვნელოვნად გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე: მოვლენათა ზემოაღნიშნული სცენარით განვითარების შემთხვევაში რა პოზიციას დაიჭერს დასავლეთი და შეიძლება თუ არა გვქონდეს ჩვენი მოკავშირეების რეალური დახმარების იმედი; გამოირიცხება თუ არა ისეთი ვარიანტი, როცა დასავლეთი ფორმალურად მხარს დაუჭერს საქართველოს ერთიანობას, ხოლო ფაქტობრივად ეს იქნება სეპარატისტული რეგიონების მცოცავი, თანდათანობითი (კოსოვოს მსგავსად) გასვლა საქართველოს იურისდიქციიდან; ფრანგულ-გერმანული ჟურნალ "ფორუმი"-სათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ბრძანა: "... მხოლოდ ევროპაში ინტეგრაციაა საკმარისი მოტივაცია იმისათვის, რომ ქართველი ხალხი დათმობებზე წავიდეს". რომელ ან რა დათმობებს გულისხმობდა ქალბატონი ს. ზურაბიშვილი, თუ საქმე გვაქვს არაზუსტ თარგმანთან?

საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ბრძანა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ პერიოდსა და 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის მუშაობის დროს მოხდება. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა გზებით და მეთოდებით ვაპირებთ გამარჯვების მიღწევას? თუ საუბარია სამშვიდობო პროცესის გაგრძელებაზე, ისტორიულმა თუ არა, ჩვენმა გამოცდილებამ მაინც ხომ უნდა გვასწავლოს, რომ ნებისმიერი სამშვიდობო მოლაპარაკების დროს მხარის წარმატების საწინდარი მის უკან არსებული რეალური ძალაა. ხოლო თუ მხედველობაში გვაქვს ტერიტორიული ერთიანობისა და კონსტიტუციური წყობის აღდგენის მიზნით სპეციალური ოპერაციის ჩატარება (ვიმეორებ, სპეციალური ოპერაციის ჩატარება და არა ომი), მაშინ ისევ რეალურ ძალაზე მოგვიწევს აპელირება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა - აქვს თუ არა მთავრობას კონკრეტული ეკონომიკური გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიიღებს აუცილებელ მატერიალურ რესურსებს, რათა ჩამოაყალიბოს კომანდოს ტიპის 30-ათასიანი ჯარი მაინც. კიდევ ერთი, ჩემი აზრით მნიშვნელოვანი საკითხი - რამდენად გამართლებულია, როდესაც სახელმწიფოს აღსადგენი აქვს ტერიტორიული მთლიანობა და ამავე დროს არ გამორიცხავს, რომ მის წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს მეზობელი სახელმწიფოს აგრესია, გაიყიდოს ობიექტი, რომელიც, პრინციპში, ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო წარმოების ფლაგმანი უნდა გამხდარიყო. როდესაც ჩვენი პრეზიდენტის გამოსვლას ვისმენდი ისრაელის სამხედრო კონცერნში სტუმრობისას, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მთავრობა უარს იტყოდა საავიაციო ქარხნის გაყიდვაზე და ის ქართული სამხედრო-სამრეწველო კონცერნის საფუძველი გახდებოდა. ჩემთვის ისიც გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმის ამუშავება, როგორიცაა ინფორმაციული ზემოქმედება. ვფიქრობ, ამ მიზნით "ფსიქოლოგიური პროპაგანდის" საშუალებების უგულებელყოფა ჩვენს შესაბამის სამსახურებში დასაქმებული კადრების არასაკმარის კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

როდესაც მოწინააღმდეგე ძალოვან კომპონენტებში შენზე ძლიერია, წარმატებას მეტი გონიერებით და ზუსტად გათვლილი "ასიმეტრიული" საპასუხო ნაბიჯებით უნდა მიაღწიო. ამ მხრივ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩვენი დამოკიდებულება სპეცსამსახურების მიმართ. ეჭვგარეშეა, რომ მათი დღეს არსებული დაფინანსების მოცულობა არ იძლევა აქტიური მუშაობის საშუალებას. თუ მათ 2005 წელს მინიმუმ 60 მილიონი ლარი არ გამოეყო (დაგეგმილია 30 მილიონი), შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მომავალი წელი ამ მიმართულებით დაკარგული იქნება. ხოლო, რას ნიშნავს თუნდაც ერთი წლის დაკარგვა ისეთ სპეციფიკურ სფეროებში, როგორიცაა საგარეო დაზვერვა, კონტრდაზვერვა და "სპეციალური ოპერაციების მომზადება", ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს. ახლა, როცა ვითარება ძალზე სწრაფად იცვლება, ამ მიმართულებით უმოქმედობა ღალატის ტოლფასია.

დაბოლოს, უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა ჩვენ მხოლოდ ვრეაგირებთ რუსეთის მიერ "შემოგდებულ" სხვადასხვა პროვოკაციაზე. უშიშროების საბჭომ სასწრაფოდ უნდა დაასრულოს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც ერთნაირი კომპეტენტურობით იქნება წარმოდგენილი მისი ოთხივე შემადგენელი კომპონენტი - დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და ინფორმაციული.

# ახალი მუსოლინის დაბადება

პირველი გვერდიდან

ტერორიზმი, რომლის ინტენსიობა რუსეთში ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და რომლის კულმინაცია ბესლანში დატრიალებული საშინელი ტრაგედია აღმოჩნდა, არანაირად არ ჯდება ჰანტინგტონის თეორიის კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმირ პუტინი გულმოდგინედ ცდილობდა, ბესლანის ტერაქტი საერთაშორისო ტერაქტების რიცხვში ჩაეწერა. თავის გამოსვლაში, რომელიც ნაციონალური ტელევიზიით გადაიცა, პუტინს საერთოდ არ უხსენებია ჩეჩნეთი და შესაბამისად, ჩრდილოეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები არ დაუკავშირებია იმ პოლიტიკასთან, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთში ატარებს.

ამგვარი პოზიცია ზოგიერთმა საერთაშორისო ექსპერტმა კეთილშობილური მიზნებით ახსნა - პუტინს სურდა, თავიდან აეცილებინა რეგიონში ეთნიკური კონფლიქტი ჩეჩნებს, ინგუშებსა და ოსებს შორისო, და ამაში გარკვეული ლოგიკა ნამდვილად არის. მაგრამ პუტინს, ბუნებრივია, სხვა მიზეზებიც ჰქონდა.

მაშინ, როცა თანაგძნობის სიტყვებთან ერთად, მსოფლიოს ყველა გავლენიანი პოლიტიკოსი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ კრემლმა ჩეჩნეთში პოლიტიკა უნდა შეცვალოს, რუსეთის პრეზიდენტი გულმოდგინედ ცდილობდა აქცენტების გადატანას იგივე საერთაშორისო ტერორიზმზე.

იმის მაგივრად, რომ პუტინის პოლიტიკა ქვეყანაზე ახალი სისასტიკით თავდატეხილ ტერორიზმის რეალური მიზეზების აღმოფხვრისაკენ და უფრო ეფექტური და არაკორუმპირებული სისტემის შესაქმნელად ყოფილიყო მიმართული, ის სერიოზული პრობლემებით ემუქრება რუსეთს.

ოქტომბრის რევოლუციიდან სექტემბრის რევოლუციამდე - ასე აფასებენ თვით რუსული გაზეთებიც კი პუტინის ახალ ინიციატივას, სრულიად ცენტრალიზებული გახადოს ქვეყნის მმართველობა და დემოკრატიის თუნდაც ფორმალურობამდე დაყვანილი გამოვლინებები აღკვეთოს.

ბესლანის ტრაგედია რუსეთის პრეზიდენტმა რომ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და ძალაუფლების განმტკიცებისათვის გამოიყენა, ამაზე უკვე მთელი საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა.

ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ პუტინის სახით უკვე ახალი მუსოლინის დაბადება იწინასწარმეტყველა. **"დუჩემ ხელისუფლების ცენტრალიზაცია შოვინიზმის სახელით მოახდინა. მან პოლიტიკური კონტროლი დაამყარა ეკონომიკაზე, უარი თქვა ნაციონალიზაციის განხორციელებაზე და ხელი არ ახლო მაფიასა და ოლიგარქებს. ფაშისტურმა რეჟიმმა დაბადა ნაციონალური დიდებისა და დისციპლინის განცდა და ეგზალტირებული მითი თითქოსდა დიდებულ წარსულზე. ზუსტად ასევე იქცევა პუტინი, რომელიც ცდილობს, შერწყას სტალინის დროის ჩეკას ტრადიციები რუსეთის მართლმადიდებლურ-მესიანისტურ ოცნებასთან - გახდეს მესამე რომი და მართოს ერთიანი სლავური ქვეყანა,"** - წერს ბჟეზინსკი გუშინ "უოლ სტრიტ ჯორნალში" გამოქვეყნებულ სტატიაში.

**იმას, რასაც პუტინი პოლიტიკურ რეფორმებს უწოდებს, მე რეპრესიულ ღონისძიებებს დავარქმევდი. კრემლის ძალაუფლების გაძლიერებას არაფერი აქვს საერთო ტერორიზმთან ბრძოლასთან. ის სისტემა, რომლის შექმნასაც პუტინი ცდილობს, მხოლოდ იმით ჰგავს საბჭოთა სისტემას, რომ ისიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გაძლიერებაზე იყო ორიენტირებული. სხვა მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, საბჭოთა დროსთან შედარებით დღეს რუსეთში პოლიტიკური რეპრესიების მასშტაბი უფრო მცირე იყოს, პუტინისეული რეფორმები კორუფციისა და კონკრეტული ჩინოვნიკების გასამდიდრებლად უფრო ხელსაყრელ გარემოს ქმნის. ამიტომაც დღეს ბევრი რუსი კრიტიკოსი ამბობს, რომ პუტინს რუსეთი "მესამე სამყაროსკენ" მიჰყავს, რაშიც გულისხმობენ იმას, რომ საბჭოთა სისტემაც კი უფრო თანამედროვე იყო იმ სისტემასთან შედარებით, რასაც რუსეთის პრეზიდენტი დღეს ქმნის. პუტინი, როგორც ჩანს, ინდონეზიის გენერალს სუჰარტოს უფრო ემსგავსება, ვიდრე ლეონიდ ბრეჟნევს,"** - ამბობს რუსეთის ცნობილი სპეციალისტი, კლინტონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობაში სტივენ სესტანოვიჩი, "ნიუს უიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

ახალი ცვლილებები რუსეთის პოლიტიკურ სისტემას ნაკლებად ანგარიშვალდებულს, უფრო ჩაკეტილს, კორუმპირებულს და არაეფექტურს გახდის, რომელიც გაძლიერების ნაცვლად, კიდევ უფრო დაასუსტებს რუსეთს, მისი თავდაცვისუნარიანობის ჩათვლით - ეს არის შეფასება, რასაც პუტინის ყველაზე აქტიური დამცველებიც კი ვერ უარყოფენ.

ქვეყნიდან დემოკრატიის საბოლოო განდევნა დიდი დარტყმის ქვეშ აყენებს რუსეთის ეკონომიკასაც, რომლის სიცოცხლისუნარიანობასაც დღეს მხოლოდ ნავთობიდან შემოსული შემოსავლები და ის ინვესტიციები უზრუნველყოფს, რომლის უდიდესი ნაწილი მოსკოვშია კონცენტრირებული. მოსკოვის განვითარების პარალელურად, რეგიონები ცივილიზაციის მიღმა რჩებიან, ექსპერტების ანალიზით კი, გუბერნატორების არჩევნების გაუქმება, ადგილზე კიდევ უფრო ჩაკლავს იმ ინიციატივებსა და აქტივობებს, რომელიც რეგიონის განვითარებისათვის აუცილებელია. ეს კი, ბუნებრივია, კრემლის მიმართ დიდი უკმაყოფილების დაგროვებას დაუდებს საფუძველს.

დამოუკიდებელი და გავლენიანი ექსპერტების პარალელურად, პუტინის ახალი პოლიტიკა მკვეთრად გააკრიტიკეს ევროკავშირის ლიდერებმა და ამერიკის პრეზიდენტმა. ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ დემოკრატიის მტრებთან ბრძოლაში რუსეთმა თავად არ უნდა დაივიწყოს დემოკრატიის მთავარი პრინციპები. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, დღეს ანალიტიკურ ცენტრებში მაინც აკრიტიკებენ ბუშს, პუტინის მიმართ ლოიალური პოლიტიკის გამო.

**"პარადოქსია, რომ მაშინ, როდესაც ბუშის ადმინისტრაცია ერაყში დემოკრატიის სახელით ებრძვის ტერორიზმს, სოლიდარობას უცხადებს პუტინს და ამით მხარს უჭერს რუსეთში დემოკრატიის რღვევას,"** - წერს ვაშინგტონის სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის ექსპერტი.

თავის დროზე ხმაურიან განცხადებას - მე პუტინს თვალებში ჩავხედე და იქ ის ადამიანი დავინახე, ვისთანაც საქმის კეთება შეიძლება - ბუშს დღეს ზბიგნევ ბჟეზინსკი ახსენებს და ბრალს სდებს, რომ პუტინის უპირობო მხარდაჭერით თეთრმა სახლმა სრულ იზოლაციაში მოაქცია და უყურადღებოდ დატოვა რუსი დემოკრატი პოლიტიკოსები.

ბუნებრივია, რომ კრემლის ახალი პოლიტიკა, არა მარტო რუსეთის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მომავალზეც აისახება. რუსეთი, როგორც არასდროს, ხისტი გახდება თავისი მეზობელი ქვეყნების მიმართ. და, რა თქმა უნდა, მისი აგრესიის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი საქართველო იქნება.

საქართველოს ხელისუფლებას კი ამ ობიექტურ ვითარებაში ძალიან გაუჭირდება რუსეთის აგრესიის შეჩერება საერთაშორისო საზოგადოების დახმარების გარეშე. მიუხედავად ღია კრიტიკისა, ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რამდენად შეცვლის ევროპა და ამერიკა რუსეთის მიმართ თავის პოლიტიკას. დღეს მსოფლიოს წამყვანი ლიდერები პუტინზე შექმნილი ილუზიებისგან გათავისუფლების პროცესში არიან. თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის საპასუხო განცხადება კოლინ პაუელის კრიტიკაზე - ყველამ შეიკავოს თავი ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევისაგან - ნათელი მინიშნებაა, რომ ნავთობის გაზრდილი შემოსავლებით განებივრებულ რუსეთს უკვე დიდად აღარ ანაღვლებს, რას იტყვის მასზე დასავლეთი.

რამდენად აქტიური იქნება საერთაშორისო საზოგადოება, რომ რუსეთის ხელახალი ექსპანსიისგან დაიცვას პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, ამის კატალიზატორი პირველ რიგში უკრაინა გახდება. რუსეთისაგან განსხვავებით, იქ ჯერ კიდევ არ არის ნათელი ვინ გაიმარჯვებს მოახლოებულ არჩევნებში.

რა როლს შეასრულებს ევროპა და ამერიკა უკრაინაში დემოკრატიული, დასავლეთზე ორიენტირებული ძალების გასამარჯვებლად - მეტ-ნაკლებად სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, რა როლს შეასრულებს ის კავკასიის რეგიონში. და ზოგადად, რამდენად დარჩება დასავლეთი მთელ მსოფლიოში მის მიერ დეკლარირებული დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ერთგული.

ლიბერალური ღირებულებებისადმი ერთგულება უნივერსალური ცნებაა და მნიშვნელობა არა აქვს, სად ებრძვიან თავისუფლებას - ეს თავისუფლებისთვის მებრძოლი ყველა ადამიანის ბრძოლაა.

## სააქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"ფინანსური ანალიზის საფუძვლები".**

სემინარი გაიმართება თბილისში, ა.წ. 30 სექტემბერს 10:00-ზე სასტუმრო "მარიოტ ქორთიარდში" (თავისუფლების მოედანი N4).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარი არაა განკუთვნილი ფინანსური მენეჯერებისა და ფინანსური განათლების მქონე ხელმძღვანელი პირებისათვის.

სემინარზე დასწრება უფასოა. დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58. ადგილები შეზღუდულია.

## მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების და მათი წარმომადგენლობების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას **ლიზინგის** სფეროში, რომლის ფარგლებშიც ხდება **საქართველოში არსებული მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობების მონაცემთა ბაზის შედგენა**.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ლიზინგის კომპონენტი მუშაობს **ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე და რეკომენდაციებს უწევს სალიზინგო კომპანიებსა და მათ კლიენტებს მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენასთან დაკავშირებით**.

ამ მიზნით მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიის შესახებ (კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირი). ჩვენი კოორდინატებია: მსოფლიო ბანკი, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი, 5. ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96. ფაქსი: 91 34 80. ელ ფოსტა: rjaparidze@ifc.org

# ბენო ქაშაკაშვილი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს

ნინო ნარჩემაშვილი

*საქართველოს ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის მისამართით გაგზავნილმა სამმა წერილმა და კამათით დასრულებულმა ხანმოკლე შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღეს. სააქციო საზოგადოება "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" (რმკ) რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი სიმართლის დამტკიცებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით იმედოვნებს. გუშინ მეტალურგიის ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტებთან ერთად, შეიძლება ითქვას, ქართული მეტალურგიის ელიტა იყო წარმოდგენილი.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სააქციო საზოგადოება "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" (რმკ) რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი სიმართლის დამტკიცებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით იმედოვნებს.*

ბენო ქაშაკაშვილი ეკონომიკის მინისტრის მიერ მის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად და იურიდიულად დაუსაბუთებლად მიიჩნევს. მინისტრის მოთხოვნის მიუხედავად, თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს და აცხადებს, რომ ეს **"უბრალოდ, ტერორი გახლავთ, რომლის მიზანსაც რუსთავის მეტალურგიული კომბინატის პრივატიზაციის პროცესის საბოლოო დასრულებამდე მისი ამჟამინდელი მმართველი გუნდის თავიდან მოშორება წარმოადგენს".** მისივე თქმით, კომბინატის პრივატიზაციამდე სულ ორი კვირაა დარჩენილი და ამ პერიოდში არ აპირებს თანამდებობიდან საკუთარი ნებით წასვლას. მით უმეტეს, რომ რმკ-ის რეაბილიტაციის მმართველის თანამდებობაზე იგი სასამართლომ კრედიტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაამტკიცა და მისი გათავისუფლებაც მხოლოდ სასამართლოს საშუალებით უნდა მოხდეს.

შეგახსენებთ, რომ გასული კვირის ბოლოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მეტალურგიულ კომბინატში ქაშაკაშვილის საქმიანობა გააკრიტიკა და რეაბილიტაციის მმართველის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კი მთავარი მოთხოვნა ბენო ქაშაკაშვილმა ასე ჩამოაყალიბა: მოხდეს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის პრივატიზაცია, ჩატარდეს სრულფასოვანი და კანონიერი ტენდერი და შეიქმნას პირობები კომბინატის ამუშავებისთვის. სხვა საკითხია, რა ინტერესი აქვს საქართველოს ეკონომიკის მინისტრს, როდესაც იგი რმკ-ის ე.წ. პირდაპირი წესით გაყიდვას ვარაუდობს.

ერთი კი ნათელია - რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც თავის დროზე თვითონ ქალაქ რუსთავის დაარსებისა და აშენების მიზეზი გახდა, უკვე კარგა ხანია, არ მუშაობს და ამით ზარალდება მოსახლეობაც (რუსთავის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ რმკ-ში იყო დასაქმებული) და

## საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა, მიმდინარე წლის 16 სექტემბრის მონაცემებით, 85,380 მლნ. ლარი შეადგინა ანუ სექტემბრის თვის საპროგნოზო მაჩვენებელი, რომელიც შეადგენს 146,662 მლნ.ლარს, შესრულებულია 58,2 პროცენტით, რაც ყოველდღიურ რეჟიმში საგადასახადო სამსახურების მიერ დაახლოებით 6 მლნ. ლარის ამოღებას ითვალისწინებს. ეს, ჩვენი აზრითა და არსებული სტატისტიკის გათვალისწინებით, სავსებით შესრულებადია - გეგმის შესრულების შემთხვევაში 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელს გადააჭარბებს 5 პროცენტით. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს - 9 თვის მონაცემებით, დაფინანსებულია საპროგნოზო მაჩვენებლის - 81 პროცენტი, ხოლო ხაზინის ანგარიშზე დევს 124 მილიონი ლარი, მათ შორის - 19 მილიონი საგზაო, ხოლო 19,2 მილიონი საპენსიო ფონდის ანგარიშზეა, რაც ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრო კვლავ აგრძელებს ფისკალური "შეკუმშვის" პოლიტიკას, რომელიც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს ლარის კურსის გამყარებაზე

ამასთან, საგულისხმოა - სანამ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელზე გადავალთ, ორი კვირით ადრე საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები შეადგენს მთლიანი გეგმის 96 პროცენტს, ხოლო გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობა შეადგენს 63 პროცენტს;

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯვით ნაწილში, მიუხედავად შემოსავლების 91 პროცენტით შესრულებისა, ხარჯები დაფინანსებულია შემდეგნაირად: პენსიონერთა პენსიების წინა პერიოდის დაფარვა დაფინანსებულია 71 პროცენტით, პენსიონერთა პენსიები - 88 პროცენტით, ხოლო მთლიანად ხარჯები შეადგენს მხოლოდ 85 პროცენტს.

| შემოსავლები | 9 თვის პროგნოზი | ფაქტიური შემოსავლები | გადახრა | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 780,546.0 | 785,867.0 | -5 321.0 | 100.7 |
| [illegible] | 752,293.0 | 751,256.0 | 1 037.0 | 99.9 |
| [illegible] | 592,699.0 | 585,685.0 | 7 014.0 | 98.8 |
| [illegible] | 159,594.0 | 165,571.0 | -5 977.0 | 103.7 |
| [illegible] | 5,193.0 | 3,016.0 | 2 177.0 | 58.1 |
| [illegible] | 23,060.0 | 31,595.0 | -8 535.0 | |
| [illegible] | | 142,301.0 | | |
| [illegible] | | - | | |
| [illegible] | | 16,909.0 | | |
| [illegible] | | 44,371.0 | | |
| [illegible] * | | 81,021.0 | | |
| [illegible] **** | | 287.3 | | |

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# ერაყში მძევლები ისევ იღუპებიან

ერაყელმა ტერორისტებმა კიდევ ერთი უცხოელი მძევალი დასაჯეს სიკვდილით. რამდენიმე დღის წინ გატაცებული იუჯინ არმსტრონგის სიკვდილით დასჯის კადრები გუშინ ერთ-ერთ ისლამურ ინტერნეტ-გვერდზე იყო განთავსებული. გამტაცებლები აცხადებენ, რომ ორ მძევალს კიდევ დასჯიან, თუ ამერიკელები 24 საათში არ გაათავისუფლებენ ყველა დაპატიმრებულ ერაყელ ქალს.

სააგენტო "როიტერსი" იტყობინება, რომ დაღუპული ამერიკელის გვამი უკვე იპოვნეს და მისი იდენტიფიცირებაც მოახდინეს. იგივე "როიტერსის" ინფორმაციით, ტერორისტთა მიერ გაკეთებულ განცხადებას აბუ მაისარ ალ-ერაყი აწერს ხელს. როგორც აღნიშნავენ, ეს ფსევდონიმია და ანალოგიური ხელმოწერა "თაუჰიდი და ჯიჰადის" დაჯგუფების ყველა განცხადებას ახლავს თან. სინამდვილეში ამ დაჯგუფებას აბუ მუსაბ აზ-ზარქავი ხელმძღვანელობს. განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ თავი მოკვეთეს გასულ ოთხშაბათს ბრიტანელთან და კიდევ ერთ ამერიკელთან ერთად ბაღდადში გატაცებულ ამერიკელ სამოქალაქო სპეციალისტ იუჯინ არმსტრონგს.



*მორიგი მძევლის ტელედასჯა.*

ინტერნეტში გამოჩენილ ვიდეოფირზე ჩანს ხუთი ნიღბიანი მამაკაცი, რომელთა წინ მუხლებზე თვალახვეული და ხელებშეკრული კაცი დგას. ფირის ფონზე "თავჰიდი და ჯიჰადის" ემბლემა მოჩანს. ჯგუფის ცენტრში მდგომმა მამაკაცმა განცხადება წაიკითხა (ვარაუდობენ, რომ იგი თავად ზარქავია) და მძევალს ყელი გამოჭრა. არაბული ტექსტში ნათქვამი იყო, რომ სიკვდილით სჯიან იუჯინ არმსტრონგს. იმ შემთხვევაში, თუ 24 საათში არ იქნება მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებული, მეორე ამერიკელ მძევალსაც მოკლავენ.

გამტაცებელთა მოთხოვნა ცოტა უცნაურად ჟღერს. შაბათს ზარქავის ორგანიზაციამ წამოაყენა ულტიმატუმი - 48 საათის განმავლობაში გაათავისუფლონ ციხიდან ყველა ერაყელი ქალი პატიმარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მძევლების მოკვლით იმუქრებოდნენ. როგორც ცნობილია, ჯგუფი, რომელიც მძევლებს "ალაჰის მტერთა აგენტებს" უწოდებს, აქამდე ყოველთვის ხოცავდა მათ.

აშშ-ს ოფიციალურ წარმომადგენელთა თქმით, ტერორისტთა მოთხოვნები იმდენად ადვილად შესასრულებელია, რომ არარეალურად ჟღერს. ამერიკელები ამტკიცებენ, რომ მათ ციხეებში მხოლოდ ორი ერაყელი ქალი იმყოფება. მეცნიერ-ბიოლოგები მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავების ბრალდებით არიან დაკავებულნი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, დაკმაყოფიელდება თუ არა გამტაცებელთა მოთხოვნა.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ზარქავის დაჯგუფებამ ულტიმატუმის ვადა გააგრძელა. თუმცა, მძევალთა ნათესავებსა და ახლობლებს ეჭვი ეპარებათ, რომ გამტაცებელთა მოთხოვნებს დააკამაყოფილებენ და მათ ახლობლებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ.

ბოლო თვეების განმავლობაში გახშირებულმა უცხოელ მოქალაქეთა გატაცებებმა ქვეყანაში შიშის ატმოსფერო შექმნა, რის გამოც უცხო ქვეყნების ფირმები ერაყში ბიზნესის წარმოებაზე უარს ამბობენ. ხოლო მათი ერთი ნაწილი თავისი ორგანიზაციის წევრებს ისევ სამშობლოში აბრუნებს. ყველა ეს ფაქტი მხოლოდ იმ დაჯგუფებების წარმატებაზე მეტყველებს, რომლებიც ადამიანთა გატაცებების უშუალო ორგანიზატორები არიან. მათთვის დიდი მიღწევაა ისიც, რომ ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელობა სამშვიდობო კონტინგენტის ნაწილების ერაყიდან გამოწვევას აპირებს.

## მოკლედ

**რუსეთი-საფრანგეთი.** რუსეთის ატომური წყალქვეშა ნავი "ვეპრი" გუშინ დილით საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სტრატეგიული ბაზის აკვატორიაში შევიდა ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, ბრესტში. რუსეთის ფლოტის ატომური წყალქვეშა ნავი არასოდეს შესულა მსგავსი ვიზიტით უცხო ქვეყნის პორტებში, მით უმეტეს ნატო-ს წევრი-ქვეყნების პორტებში. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ატომური წყალქვეშა ნავის "ვეპრის" გემბანზე ფრანგულ მხარესთან შეთანხმებით ბირთვული იარაღი არა არის. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**აშშ.** ორშაბათს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ადამ ერელის მიერ ჟურნალისტებისთვის გაკეთებული განცხადება მოწმობს, რომ ლიბიისთვის აშშ-ს მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაუქმების მიუხედავად, ეს ქვეყანა კვლავ რჩება ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნების "შავ სიაში". ორშაბათს ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც ლიბიის წინააღმდეგ თითქმის ყველა სანქცია უქმდება. ამ დოკუმენტის თანახმად, აშშ-ს ხელისუფლება აღადგენს ლიბიასთან ავიამიმოსვლასა და ვაჭრობას. გარდა ამისა, აშშ-ს ბანკებში ლიბიის კუთვნილი 1.3 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ანგარიში კვლავ ქმედითუნარიანი გახდება, ხოლო ნავთობის იმპორტირება აღდგება. ლიბია, თავის მხრივ, განაგრძობს 1988 წელს ლოკერბის რაიონში "პან-ამ"-ის კუთვნილი თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაღუპულ მგზავრთა ნათესავებისთვის კომპენსაციის გადახდას. **24 საათი**

■ ■ ■

**გაერო.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაერო-ს უშიშროების მუდმივ წევრად იაპონიის დამატების წინააღმდეგია მხოლოდ იმის გამო, რომ გაერო-ს დაფინანსებაში ტოკიო აქტიურ და მასშტაბურ მონაწილეობას ღებულობს. ჩინეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის კუნ ციუანის განცხადებით, "გაერო არ წარმოადგენს დირექტორთა საბჭოს და არ შეიძლება მისი სტრუქტურა წევრი-ქვეყნის მიერ ფინანსური შენატანის რაოდენობის მიხედვით განისაზღვროს". ჩინელმა დიპლომატმა ასევე გამოთქვა იმედი, რომ ტოკიო უფრო საპასუხისმგებლო პოზიციას დაიკავებს და ისტორიის საკითხებს გაცილებით მეტი ყურადღებით მოეკიდება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ჰაიტი.** ჰაიტიზე ტროპიკული შტორმის "ჯენის" მიერ გამოწვეულ მსხვერპლთა რაოდენობამ უკვე 660-ს გადააჭარბა, თუმცა ეს ციფრი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ სამაშველო სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა. მაშველები პოულობენ სტიქიური უბედურების მსხვერპლთ ქალაქ გონაივის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. წყალდიდობის ტრაგიკული შედეგებია დაფიქსირებული ჰაიტის რიგ დასახლებულ პუნქტებშიც. ტროპიკული შტორმის სიჩქარე საათში 140 კმ-ს აღწევს. **24 საათი**

# ირანის ბირთვული პროგრამა კვლავ საერთაშორისო აჟიოტაჟის საგნად რჩება

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოჰამედ ხათამის თქმით, ირანი ბირთვულ კვლევებს განაგრძობს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საერთაშორისო ინსპექციების შემცირებას და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან ურთიერთობების გაწყვეტას გამოიწვევს.

თავისი განცხადება ხათამიმ თეირანში გამართულ სამხედრო აღლუმზე გააკეთა, რომელიც ერაყთან ომის დაწყების 24 წლისთავს მიეძღვნა. აღლუმზე გამოიტანეს შორი მოქმედების ცნობილი ირანული რაკეტები "შიჰაბ-3". საერთაშორისო სამხედრო ექსპერტები შიშობენ, რომ ამ ბალისტიკურ რაკეტებს ბირთვული ქობინის ტარების უნარი აქვთ.

იმავდროულად, ახლახან აგებული ურანის გასამდიდრებელი ცენტრიფუგების გამოცდების დაწყების თაობაზე ვენაში ირანის წარმომადგენელმაც გააკეთა განცხადება.

ამ დღეებში ირანის ხელისუფლებას ევროკავშირისა და რუსეთის წარმომადგენლებმა ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების შეწყვეტისაკენ მოუწოდეს, როგორც ამას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რეზოლუცია მოითხოვს.

ხათამიმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ქვეყანა ბირთვული იარაღის შექმნას არ აპირებს. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა აღიაროს ირანის უფლებები მშვიდობიანი ატომური სამუშაოების განსახორციელებლად. ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადების თანახმად, "ირანი "ჰო"-ს ეუბნება მშვიდობიან ატომს და "არა"-ს - ბირთვულ იარაღს". როგორც ბიბისი აღნიშნავს, ირანის სხვადასხვა ლიდერებს შორის პოლიტიკური უთანხმოებების მიუხედავად, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ისინი ერთ პოზიციაზე დგანან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელიდან წამოსულმა უკანასკნელმა შეტყობინებებმა, შესაძლოა, ირანს საერთაშორისო თანამეგობრობის წინააღმდეგ წასვლა გადააფიქრებინოს. სააგენტო როიტერი ებრაულ გაზეთ "ჰაარეც"-ზე დაყრდნობით იუწყება, რომ 5 ათასი ულტრათანამედროვე საავიაციო ბომბის შესყიდვის თაობაზე აშშ-სა და ისრაელს შორის კონტრაქტი გაფორმდა. კონტრაქტის ღირებულება 139 მილიონ დოლარს შეადგენს, რომელიც ძირითადად აშშ-ს მიერ ისრაელის სამხედრო დახმარების ფარგლებში დაიფარება.

ისრაელის მიერ შესყიდული შეიარაღებიდან 500 მძიმე ბომბია, რომელიც 2 მეტრი სისქის ბეტონის კედლის გარღვევაზეა გათვლილი. გაზეთი "ჰაარეც"-ი ისრაელის უსაფრთხოების სამსახურებზე დაყრდნობით იუწყება, რომ აღნიშნულ ბომბებს "ირანის მიწისქვეშა ბირთვულ თავშესაფრებში შეღწევის უნარი გააჩნიათ". ეს ბომბები სამიზნეს თანამგზავრის მეშვეობით პოულობენ და ანადგურებენ.

როიტერი, ასევე, ისრაელის სპეცსამსახურებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ისრაელს ბომბები ირანისა და სირიის მხრიდან შესაძლო თავდასხმისაგან თავის დასაცავად სჭირდება.

"ჰაარეც"-ი ახდენს პენტაგონის წარმომადგენლის ციტირებასაც, რომელიც აცხადებს, რომ "შეიარაღების მიწოდება რეგიონში ისრაელის ხარისხობრივი უპირატესობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად".

ისრაელში აშშ-ს საელჩომ კომენტარებზე უარი თქვა და ოფიციალური განცხადებების გაკეთება ვაშინგტონს მიანდო. კომენტარებისაგან თავი ისრაელის ხელისუფლებამაც შეიკავა.

*24 საათი*


## სს "თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**23 სექტემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**

ფონიჭალის დასახლების, ფონიჭალის 3-ე მიკრორაიონის, რუსთავის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ჟორდანიას, ლომინაძის, მარნეულის, ღოღობერიძის, სადგურის, სურგულაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
## აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

**ჯგუფის ხელმძღვანელი საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის საკითხებში**
(1 ადგილი)
**კონსულტანტები საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის საკითხებში**
(2 ადგილი)

**შესავალი**

მსჯელობა საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის შესახებ დაიწყო 90-იანი წლების ბოლოდან. 2004 წლის მარტში განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს.

საქართველოს ახალი მთავრობის გადაწყვეტილებით და ახალი კანონპროექტის მიხედვით, 2005 წლიდან უმაღლესი სასწავლებლებში ახალი სისტემით ჩატარდება ეროვნული მისაღები გამოცდები. გამოცდების ჩატარება მოხდება უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემის ცვლილების პარალელურად, რაც გულისხმობს "თანხა მიყვება სტუდენტს" დანერგვის პრინციპს.

ეროვნული მისაღები გამოცდების ჩატარება მიზნად ისახავს სისტემატური კორუფციის აღმოფხვრას რომელიც თან სდევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღებ გამოცდებს და ასევე უმაღლეს სასწავლებლებში განათლების გაგრძელების მსურველთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას. დაფინანსების სისტემის შეცვლის მიზანია კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა საგანმანათლებლო ბაზარის კონკურენციაში, რათა საქართველოს მოქალაქენი უზრუნველყოფილი იყვნენ ხარისხიანი და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული განათლებით.

საერთაშორისო დონის შესაბამისი განათლების მისაღწევად საჭიროა აკრედიტაციის სისტემის შექმნა ეროვნულ მისაღებ გამოცდებში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციონალური აკრედიტაციისათვის. რეალური სურათის მისაღებად ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური რესურსები. ინსტიტუციონალური აკრედიტაციის გარეშე ეროვნული მისაღები გამოცდების შედეგები არ იქნება ეფექტური და უარყოფით გავლენას იქონიებს საზოგადოებრივ აზრზე განათლების რეფორმებთან დაკავშირებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტში, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას 2004 წლის ოქტომბრამდე, აკრედიტაციის სისტემა განსაზღვრულია როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს აკრედიტაციის პროცესს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეხპერტთა ჯგუფებს, პროფესიულ ასოციაციებს, დაინტერესებულ ჯგუფებსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის.

**ჯგუფის ხელმძღვანელი საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის საკითხებში**
(1 ადგილი)

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

- ერთი უცხოელი და 2 ადგილობრივი კონსულტანტისაგან შემდგარი ჯგუფის მართვა და სამუშაოს კოორდინირება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი პერსონალისათვის დახმარების გაწევა აკრედიტაციის სისტემის მართვის სახელმძღვანელოს შემუშავებაში;
- აკრედიტაციის სისტემის შემუშავების პროცესში მონაწილე ექსპერტთა ჯგუფებისათვის კონსულტაციის გაწევა;
- უცხოელი და ადგილობრივი კონსულტანტების სამუშაოს კოორდინირება და პასუხისმგებლობა აუცილებელი ანგარიშების მომზადებაზე;
- უცხოელი კონსულტანტისათვის დახმარების გაწევა სასწავლო ტურის მომზადებაში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დახმარების გაწევა შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებაში, ექსპერტთა ჯგუფების ანგარიშებზე დაყრდნობით.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება ხარისხს საზოგადოებრივ მეცნიერებებში);
- ათწლიანი ზოგადი სამუშაო გამოცდილება;
- განათლების სფეროში მუშაობის ხუთი წლის გამოცდილება;
- ქართული და ინგლისური (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ენების კარგი ცოდნა;
- ჯგუფის მართვის გამოცდილება, კარგი საორგანიზაციო უნარ-ჩვევები;
- კომპიუტერის ცოდნა.

**ანგარიშვალდებულება**

ჯგუფის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული იქნება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

ჯგუფის ხელმძღვანელს მოეთხოვება მოამზადოს:

- მიმდინარე პროგრესის ანგარიში 2004 წლის სექტემბერი - დეკემბრის პერიოდისათვის;
- მიმდინარე პროგრესის ანგარიში 2005 წლის იანვარი - მარტისათვის;
- საბოლოო ანგარიში დავალების დასრულებისას.

**კონსულტანტები საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის საკითხებში**
(2 ადგილი)

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი პერსონალისათვის დახმარების გაწევა აკრედიტაციის სისტემის მართვის სახელმძღვანელოს შემუშავებაში;
- აკრედიტაციის სისტემის შემუშავების პროცესში მონაწილე ექსპერტთა ჯგუფებისათვის კონსულტაციის გაწევა;
- უცხოელი კონსულტანტთან ერთად მუშაობა, ჯგუფის ხელმძღვანელის ზედამხედველობით;
- ექსპერტთა ჯგუფების ანგარიშებზე დაყრდნობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დახმარების გაწევა შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებაში;
- უცხოელი კონსულტანტისათვის დახმარების გაწევა სასწავლო ტურის ორგანიზებაში.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება ხარისხს საზოგადოებრივ მეცნიერებებში);
- ხუთწლიანი ზოგადი სამუშაო გამოცდილება;
- განათლების სფეროში მუშაობის ორი წლის გამოცდილება;
- ქართული და ინგლისური (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ენების კარგი ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიუტერის კარგი ცოდნა;

**ანგარიშვალდებულება**

კონსულტანტები ანგარიშვალდებულნი იქნებიან ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

აღნიშნულ თანამდებობებზე თითოეული ხელშეკრულების ხანგრძლივობა იქნება ათი (10) თვე.

ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 29 სექტემბერი.**

# "ცოცხალი წამლები" - სიცოცხლის საწინდარი

*14-წლიანი მუშაობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ, პირველმა მსოფლიოში, "ცოცხალი წამლების" დამზადების ორიგინალური ბიოტექნოლოგია შეიმუშავა. ამ ტექნოლოგიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა "ახალი ორგანიზმის" შექმნა თვით პაციენტის ორგანიზმში. მისი გამოყენება შესაძლებელია სიმსივნეების, ჰეპატიტის, დიაბეტისა და სხვა დაავადებების განსაკურნავად. გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" ნაციონალური ეკონომიკური კლუბის ინიციატივითა და ხელშეწყობით პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.*



*კაკაბაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს სპეციალისტების უმეტესობა დადებითად აფასებს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თამარ დვალი

პირველად მსოფლიოში, ტრანსპლანტაციის ალტერნატიული ვარიანტი შემუშავდა. პროექტის ავტორი პროფესორი ზურაბ კაკაბაძეა. ამ საკითხზე მუშაობა მან თავის შვიდ სტუდენტთან ერთად 14 წლის წინათ დაიწყო. 1997 წელს ცდები დაამთავრა და შეეცადა, თავისი მიღწევები უცხოელი სპეციალისტებისთვის გაეცნო. პირველად კაკაბაძის მიღწევით ნიუ იორკის იეშივას უნივერსიტეტი დაინტერესდა. მათ 230 ათასი დოლარი გამოყვეს, რაც სამწლიან პროექტს მთლიანად აფინანსებდა.

**"ჩვენ არ გვჭირდება კლასიკური დონორული ინსტიტუტი. ჩვენ ორგანოს ამოღება არ გვაინტერესებს. ტრანსპლანტაციას უამრავი ინსტანციის გავლა სჭირდება. ადამიანმა უნდა დაწეროს, რომ იგი თანახმაა, სიკვდილის შემდეგ გაიყიდოს მისი ორგანო. ამის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს ორგანო უვარგისია და ტყუილად გადაიხადა 500 ათასი დოლარი ან მეტიც. იაპონიაში დონორული სისტემა აკრძალულია, რადგან კრიმინალიზაციის ეშინიათ. ჩემ მიერ შემუშავებული ამ პროექტის დასანერგავად 6-8 მილიონი დოლარია საჭირო. აქ დამატებითი ღვიძლის შექმნაზეა საუბარი. ორგანო კი არ უნდა შევცვალოთ, არამედ ვეცადოთ, იქნებ აღვადგინოთ. ჩვენი დაკვირვებით, ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალშობილის მომყოლი, მასში არსებული სავსე უჯრედების გამო. ვირთხებზე ცდა წარმატებით დამთავრდა, ახლა პრიმატებზე დაიწყება მუშაობა და 3-4 წელიწადში ადამიანებზეც გადავალთ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ.

კაკაბაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს სპეციალისტების უმეტესობა დადებითად აფასებს. პათოლოგიის ცენტრის სამედიცინო დირექტორის ეთერ ბოცვაძის აზრით, B და C ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზისა და ღვიძლუჯრედოვანი კიბოს დაავადებები დღეს მთელი მსოფლიოსთვის დიდი პრობლემაა. ამ დაავადებების გართულების შემთხვევაში მედიცინა თითქმის უძლურია. სტატისტიკური მონაცემებით, ავადმყოფებისა და დაღუპულების 80 პროცენტი მამაკაცები არიან. ყველაზე ხშირად ჰეპატიტი 20-დან 40 წლის ასაკის ადამიანებში გვხვდება.

**"მინდა, ყურადღება გავამახვილო ციროზზე. უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფები დაგვიანებით მიდიან ექიმთან. ამ დროს კი მკურნალობა, ფაქტობრივად, უშედეგოა. არსებობს ტრანსპლანტაციის მეთოდი, რომელსაც დღეს მსოფლიო კრიტიკულად უყურებს. ტრანსპლანტაციის შემდეგ ხშირია რეინფექციის შემთხვევები. სისხლში მაინც რჩება ვირუსი, რომელმაც ციროზი გამოიწვია. ის ახალ ღვიძლშიც ჩასახლდება და ისევ გაჩნდება დაავადების საშიშროება. ზურაბ კაკაბაძის მიდგომა ამ საკითხისადმი გაცილებით პერსპექტიულია. თუ ეს მეთოდი ისე განვითარდება, როგორც დაგეგმილია, მაშინ იგი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის იქნება მნიშვნელოვანი,"** - აღნიშნა ეთერ ბოცვაძემ.

პროექტის დანერგვას დაახლოებით რვა მილიონი ამერიკული დოლარი სჭირდება. რამდენიმე წლის წინათ პროექტის დაფინანსება სცადა შვეიცარიულმა ბანკმა, თუმცა, მათ შედეგები მაშინვე უნდოდათ და ამის გამო პროექტი ჩაიშალა. ზურაბ კაკაბაძის აზრით, თუ ფინანსური ხელშეწყობა იქნება, მკურნალობის ახალი მეთოდი 3-4 წელიწადში ამოქმედდება.

# ოცდასამი სამის წინააღმდეგ

ნანა ქადაგიშვილი

*კარგა ხანია, საკრებულოს სხდომაზე ისეთი აჟიოტაჟი არაფერს გამოუწვევია, რაც გუშინ 2004 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის წარდგენას მოჰყვა. გუშინდელ სხდომაზე ოპოზიციას თავის გამოჩენის მორიგი საშუალება მიეცა, თუმცა, უმრავლესობამ მაინც უმრავლესობით აჯობა და თავისი გაიტანა - პროექტი ოცდასამი ხმით სამის წინააღმდეგ დაამტკიცა.*

ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი ქალაქის მთავრობამ 17 სექტემბერს შეიმუშავა და საკრებულოს განსახილველად გუშინ გაუგზავნა. ეს პროექტი 2004 წლის ბიუჯეტის 4 655 ათასი ლარით გაზრდას ითვალისწინებს. მატების ძირითადი წილი კი სამარშრუტო ტაქსების გადამზიდავი ფირმების სატენდერო მოსაკრებელზე მოდის. ქალაქში მიკროავტობუსების 235 სამარშრუტო ხაზი მოქმედებს. ტენდერში მონაწილე გადამზიდავის ფირმები ყოველ ხაზზე დატვირთვის მიხედვით დაწესებულ ერთჯერად გადასახადს გადაიხდიან. ეს თანხა კი 3,1 მილიონ ლარს შეადგენს.

მიკროავტობუსების გადამზიდავი ფირმების ტენდერი ყოველთვის ფასიანი იყო. ასე რომ, გუშინდელ სხდომაზე აჟიოტაჟი ბიუჯეტის გაზრდის წყაროს არ გამოუწვევია. ოპოზიციის წინააღმდეგობის მიზეზი ბევრად უფრო მარტივი გახლდათ. როგორც აღმოჩნდა, ოპოზიციურმა ფრაქციებმა ამ პროექტის გაცნობა ვერ მოასწრეს. "ახალ მემარჯვენეებს" პროექტი გუშინ საღამოს შემთხვევით ჩავარდნიათ ხელში. **"გუშინ საღამოს საკრებულოში შემთხვევით შევიარე და გავიგე, რომ დღეს ამ პროექტის დამტკიცებას აპირებდნენ, დოკუმენტის გაცნობა კი ერთ ღამეში ვერ მოვახერხე,"** - განაცხადა "მემარჯვენეების" ახალმა ხელმძღვანელმა გიორგი მოსიძემ. ასეთივე დღეში ყოფილან "მრეწველები". "ლეიბორისტებს" კი გუშინდელი სხდომის შესახებ ნახევარი საათით ადრე რადიოდან შეუტყვიათ და პროექტი პირველად საკრებულოს სხდომათა დარბაზში იხილეს. ამიტომ ამ სამი ფრაქციის წარმომადგენლებმა სხდომის ორი დღით გადადება მოითხოვეს, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე ვერაფრით დაითანხმეს. **"სამსახურში რომ არ დადიხართ, ამიტომ ვერაფერს ვერ იგებთ. სხდომებზე დასწრება თუ არ გინდათ, ქალაქში გზებია დასაგები და იქ იმუშავეთ,"** - აღშფოთდა ბეგაშვილი. არანაკლებ აღშფოთებულმა "ლეიბორისტებმა" და "მემარჯვენეებმა" კი, ტელეკამერების წინ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ, სხდომათა დარბაზი დატოვეს ("მრეწველებმა" დარბაზში დარჩენა ამჯობინეს) და უმრავლესობა სხდომა ჩაშლის საფრთხის წინაშე დააყენეს. ორი ფრაქციის წევრების გარეშე კვორუმი აღარ იკრიბებოდა. თუმცა, ბეგაშვილი არც ამჯერად დაბნეულა და სხდომის დამსწრეებს პრინციპულობის შესანიშნავი მაგალითი აჩვენა - რას ჰქვია, მაგათი გულისთვის სხდომა ორი დღით გადავდოთო, განაცხადა და პროექტის განხილვის პროცესი მხოლოდ 15 წუთით შეაჩერა. ამასობაში საკრებულოში მისვლა მოასწრეს უმრავლესობის იმ წევრებმაც, ვინც სხდომას დილიდან არ ესწრებოდა. ჰოდა, კვორუმიც შედგა და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტიც დიდი უმრავლესობით დამტკიცდა. საკრებულოს 26 წევრიდან მხოლოდ სამმა შეიკავა თავი.

კომუნალურ მომსახურებაზე შეღავათებით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორიების რაოდენობის გაზრდა საკრებულომ ბევრად უფრო მშვიდობიანად გადაწყვიტა. საკრებულოს დადგენილების მიხედვით, 2005 წელს კომუნალურ მომსახურებაზე დაწესებული შეღავათით ისარგებლებენ: პირველი და მეორე ჯგუფის ყველა ინვალიდი; მარჩენალდაკარგული და ინვალიდი ბავშვების ოჯახები და მარტოხელა დედები (წლეულს უფასო კომუნალური მომსახურება მხოლოდ პირველი


## ადმინისტრაციული ასისტენტი

BP-ს საოპერაციო მიზნებისათვის და BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, IRA, Ltd ეძებს შესაფერის კვალიფიცირებულ პიროვნებას ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი BP WREP საოპერაციო განყოფილებისათვის, რომელიც იმუშავებს BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

ადმინისტრაციული ასისტენტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- ადმინისტრაციული და სამდივნო თანაშემწეობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის.
- მთარგმნელობითი/სათარჯიმნო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკოორდინაციო საქმიანობის წარმოება.

**როლი და პასუხისმგებლობა:**

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

- მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის დაგეგმვა, მოწყობა და კოორდინირება.
- თარჯიმნობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა, საოპერაციო განყფილებისა და სხვა აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის საქართველოს მინისტრებსა და სხვა სამთავრობო პირებთან, სსმკ-ს თანამშრომლებთან და სხვ. შეხვედრებისას.
- განყოფილების კორესპონდენციის, მათ შორის სსმკ-სა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან შეხვედრების ოქმებისა და BP-ს მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური დოკუმენტების თარგმნა.
- მილსადენის ოპერაციების განყოფილების პერსონალის ყოველდღიური ადგილმდებარეობისა და შვებულებების განაწილების სისტემის შემუშავება და წარმოება.
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და ოპერაციების განყოფილებისათვის ადმინისტრაციული თანაშემწეობის გაწევა ისე, რომ ეფექტურად იწარმოებოდეს საოფისე საქმიანობა, მათ შორის სატელეფონო სქრინინგი, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება, საარქივო სისტემის წარმოება და ა.შ.
- HSE ჩანაწერებთან, საპროცესო შეფერხებებსა და უსაფრთხოების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზებისა და ჩანაწერთა სისტემების წარმოება, მათ შორის შესაბამისი ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- საუნივერსიტეტო განათლება ენებში, სპეციალიზაციით ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ადმინისტრაციულ და მთარგმნელობით/სათარჯიმნო დარგში მინიმუმ 5 წლის გამოცდილება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word) კარგი ცოდნა;
- წარმოდგენა სამთავრობო და სახელმწიფო საქმეთა მართვის შესახებ სასურველია.

**როგორ შევიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუკი თვლით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, წარადგინეთ თქვენი CV და შეავსეთ სათანადო განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004.**

განხილულ იქნება ყველა მიღებული განაცხადი, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატს მოვიწვევთ გასაუბრებაზე და/ან შევთავაზებთ სამუშაოს.

**ადამიანთა რესურსების განყოფილება**
BP Exploration (კასპიის ზღვა) Ltd., საქართველო
აღმაშენებლის გამზირი, 123ა, თბილისი, საქართველო



HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

### აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის

### უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**(ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის)**

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):

- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ტრანსფორმაცია
- ქალაქის სოციალური და კულტურული ბიოგრაფია
- პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
- წინააღმდეგობა ტოტალიტარიზმთან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1920-1950-იან წწ.
- დისიდენტობის ისტორია, ეროვნული მოძრაობები და ადამიანის უფლებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1953 წ. შემდეგ

სოციოლოგია:

- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
- ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
- რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

მდგრადი ქალაქგანვითარება:

- ქალაქის ეკოლოგიური და სოციალური განახლება
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- არქიტექტურა და ხელისუფლება
- ურბანული ტოპოგრაფია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1969-1982 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2005 - 31.12.2005. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირადულ მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი , info@boell.ge**



**ქალბატონებო და ბატონებო,**

პატივი გვაქვს გაცნობოთ რომ, არასამთავრობო ორგანიზაცია სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (NACRES) საქართველოში, ანხორციელებს

ბაქო - თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანიის(btc) და ბი - პი ექსპლორეიშენი(კასპიის ზღვა)- საქართველოს(scp) ბრიტიშ პეტროლიუმის (BP) მიერ დაფინანსებულ "მურა დათვის კონსერვაციის" პროგრამას.

სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი "მურა დათვის კონსერვაციის" პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს გამოცდილ საგამომცემლო სახლებს და მბეჭდავ ორგანიზაციებს, შემდეგი სახის საინფორმაციო ხასიათის მქონე პუბლიკაციების მომზადებასა და დაბეჭდვა - გამოცემაზე.

- ფერადი საქაღალდე ორი ჯიბით - 500 ცალი
- ფერადი ბუკლეტი, ფლაიერი - 1500 ცალი
- 50*70 სმ ზომის ცალმხრივი, ფერადი პოსტერი, პლაკატი - 500 ცალი
- 50*70სმ ზომის ცალმხრივი, ფერადი კალენდარი - 2000 ცალი
- 23,5*15,5სმ ზომის 150 გვერდიანი წიგნი სავარაუდოდ 100 ფოტოსურათით - 1500 ცალი
- წლიური ანგარიში ინგლისურ და ქართულ ენაზე, ფერადი, თითოეული 24 გვერდით ა4 ან ა5 გარეკანის ჩათვლით - 500-500 ცალი

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ საგამომცემლო სახლებს და ორგანიზაციებს, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი საკონკურსო წინადადებები სადაც ნათლად იქნება მითითებული, სავარაუდო ფასები (აშშ დოლარში/ექვივალენტი ლარში) და ნაბეჭდი ნიმუშები, ორგანიზაციის ოფისში შემდებ მისამართზე.

*საქართველო, თბილისი, 0179,*
*გამრეკელის ქ. 34*
*საფოსტო ყუთი 20*

***ყველა საჭირო მასალა უნდა მიეწოდოს სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ოფისს არა უგვიანეს 2004 წლის 30 სექტემბრის 18 - საათამდე.***

# პანკისის ხეობაში პატრული გამოჩნდება

ზვიად რუაძე
კახეთი

*გუშინ პანკისის ხეობის მოსახლეობა დილიდანვე პანიკამ მოიცვა. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ასობით სპეცრაზმელის ხეობაში შესვლამ, იქ მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები სერიოზულად შეაშინა. მათი აღელვება მას შემდეგ ჩაცხრა, როცა უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ ლტოლვილები სიტუაციაში გაარკვია.*



ბესო გულაშვილის ფოტო

*სპეცრაზმელების სტუმრობა პანკისში გუშინ, დილის თორმეტ საათზე დაიწყო და შუადღემდე გაგრძელდა.*

**"ჩვენ თქვენთან იმიტომ მოვედით, რათა კიდევ ერთხელ დავარწმუნოთ ზოგიერთები, რომ აქ ბოევიკები აღარ არიან,"** - ამშვიდებდა ჩეჩენ ლტოლვილებს უგულავა. უფრო მეტიც, ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნები ხეობის მოსახლეობას საპატრულო პოლიციის ამოქმედებას დაჰპირდნენ. ამ ყველაფრის დემონსტრირებას, ქართველ ჟურნალისტებთან ერთად, თვალს ადევნებდა რუსეთის წამყვანი ტელეკომპანიების კორესპონდენტებიც.

საქმე ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაუმთავრებელი ინფორმაციული ომი კვლავ არ ცხრება. გასულ კვირას სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა საქართველოში ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა. მის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოს ხეობას რამდენიმე შეიარაღებული ტერორისტი აფარებს თავს, საქართველოს ხელისუფლება აღაშფოთა და, რეალური სიტუაციის დემონსტრირების მიზნით, სამართალდამცველები გუშინ ხეობას ეწვივნენ. მართალია, სამი აგვისტოს მსგავსად, სპეცრაზმელებმა ძალების დემონსტრირება არ მოახდინეს, მაგრამ მათმა მოულოდნელმა ვიზიტმა სწორედ სამ აგვისტოს მომხდარი დარბევის გამო ჩეჩენი ლტოლვილები ძალზე აღაშფოთა.

**"ჩვენ ომგამოვლილი ხალხი ვართ და ბავშვები იარაღიან ხალხს რომ ხედავენ, ეშინიათ. უმჯობესი იყო, წყნარად შემოსულიყავით და თქვენი სათქმელი ისე გეთქვათ",** - ასეთი გახლდათ ლტოლვილი ქალების პოზიცია. საქმე ისაა, რომ ჩეჩენ ლტოლვილებში შიში მას შემდეგ გამძაფრდა, რაც სპეცრაზმი და პოლიცია მათ საცხოვრებელ ბინებში შევიდა და საბუთების გადამოწმება დაიწყო, მაგრამ ჩხრეკის შემდეგ უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა - პოლიციამ პირველად აღიარა, რომ ლტოლვილებს ყველაფერი წესრიგში აქვთ. თავად უგულავა კი ჟურნალისტებთან ასეთ განმარტებებს იძლეოდა: **"ჩვენ საპრეტენზიო არვისთან არაფერი გვაქვს. ყველამ უნდა დაინახოს, რომ აქ, პანკისში, ყველაფერი რიგზეა და საგანგაშო არაფერია",** - ამბობდა უგულავა.

გარდა იმისა, რომ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები ლტოლვილებისგან დევნილობის დამადასტურებელ მოწმობებს თხოულობდნენ, პარალელურად, მათი საარსებო პირობებითაც ინტერესდებოდნენ, რამაც ჩეჩნები, ცოტა არ იყოს, გააოცა. ლტოლვილებს მათთვის გულის გადაშლა მაინც უწევდათ. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სამ აგვისტოს მომხდარი ფაქტი არ დავიწყებიათ, რის გამოც ისინი სამართალდამცველებთან ურთიერთობას გაურბოდნენ. ამ ადამიანების რიგს მიეკუთვნება სალომო იახიევი. როგორც იგი აცხადებს, მას სამ აგვისტოს სპეცრაზმელებმა ოჯახი აუწიოკეს. იახიევას თქმით, თავდაპირველად ძალოვნებს სურდათ, მისთვის იარაღისა და ნარკოტიკების ვაჭრობა დაებრალებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მას თანამშრომლობას სთხოვდნენ და რუსეთში უზრუნველ ცხოვრებასაც ჰპირდებოდნენ. **"ასე მეუბნებოდნენ, რუსეთში თუ წახვალ - კარგი ცხოვრება გელისო; მაგრამ მე ისევ საქართველო ვარჩიე, რადგან წარმომიდგენია, თუ რა მელის რუსეთში",** - ამბობს იახიევი და იგი იქვე იმასაც აცხადებს, რომ ანალოგიური პრობლემები ხეობაში დარჩენილ ყველა მამაკაცს აქვს.

სპეცრაზმელების სტუმრობა პანკისში გუშინ, დილის თორმეტ საათზე დაიწყო და შუადღემდე გაგრძელდა. ძალოვნების ძირითადი სამიზნე დუისი გახდა. ბოლოს სამართალდამცველი უწყებების მაღალჩინოსნებმა ხალაწანში ის ადგილი დაათვალიერეს, სადაც ოთხი წლის წინ ტერორისტები საბრძოლო მზადებას გადიოდნენ. **"ხალაწანი სწორედ ის ადგილია, სადაც წლების წინ ბოევიკებმა გამოიზამთრეს და საბრძოლო წვრთნას გადიოდნენ. ამჯერად, თქვენი თვალით ხედავთ, რომ აქ სიმშვიდეა და პროვოკაცია არ ხდება",** - ქართველ სამართალდამცველებს ასეთი კომენტარის გაკეთება უწევდათ რუსული მედიის წარმომადგენლებთან. ქართველ ჟურნალისტებს კი გიგი უგულავა იმაში არწმუნებდა, რომ ადრე ხალაწანი ყოფილი ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი კრიმინალური ანკლავი იყო: **"ტერორიზმი, შეიძლება, მსოფლიოს ყველა კუთხეში იყოს, მაგრამ პანკისში სხვა სახის პროვოცირება მოხდა. პოლიტიკურ საფუძველზე შექმნილ მაშინდელ ტერორისტულ პრობლემას რუსეთი ახლაც გვახსენებს. უნდა გითხრათ, რომ ეს, რაც ხდება, ძველი ხელისუფლების ბრალია",** - აცხადებს უგულავა.

როგორც ძალოვანი სამინისტროების პირველი პირები აცხადებენ, ამ დროისთვის ჩეჩნეთ-საქართველოს სასაზღვრო პუნქტი გამკაცრებული რეჟიმით მუშაობს, თუმცა გიგი უგულავა და კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი არ გამორიცხავენ, რომ პროვოკაციის მიზნით ხეობაში ხელოვნურად გადმოისროლონ ბოევიკები. მათი ინფორმაციით, ამის საშიშროება საქართველოს ზაფხულსა და გაზაფხულზე აქვს.

კახეთის გუბერნატორს სწამს, რომ რუსებს თავმოყვარეობა შემორჩათ და ასეთ პროვოკაციაზე არ წავლენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად ამ უახლოეს ხანში კონტროლის ახალ მექანიზმს ამუშავებს: **"მექანიზმის ამუშავებაში ვგულისხმობ საპატრულო პოლიციის ამოქმედებას. ეს კარგი იქნება როგორც მოსახლეობისთვის, ისე ჩვენთვისაც, რადგან დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენც გავაუმჯობესებთ",** - განუცხადა "24 საათს" შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ.

პანკისის ხეობაში პროფილაქტიკური ღონისძიებები მომავალშიც

# მოსახლეობა კორუმპირებული ჩინოვნიკების დასჯას მოითხოვს

გარდაბნის რაიონის მოსახლეობა დღეს თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის გარდაბნის რაიონის სარკინიგზო სადგურის მონაკვეთის პარალიზებას გეგმავს.

მოსახლეობა ადგილობრივ ჩინოვნიკებს კორუფციაში ადანაშაულებს და, მათი საქმიანობის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის მოთხოვნით, რკინიგზის სადგურის აღნიშნულ მონაკვეთზე შიმშილობის აქციას იწყებს.

ამგვარი აქციები რაიონის მოსახლეობამ ბოლო დროს რამდენჯერმე ჩაატარა, თუმცა, როგორც თავად აცხადებენ, მათ პროტესტს ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. საკუთარი მოთხოვნები მოსახლეობამ ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერს შალვა ნათელაშვილს, დეპუტატ ელენე თევდორაძეს და სხვა ოფიციალურ პირებს წერილობითაც აცნობა.

მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ გარდაბნის რაიონის ყოფილი ჩინოვნიკები, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი, კორუფციული ქმედებების მიუხედავად, დაუსჯელები რჩებიან და ზოგიერთი მათგანი მოქმედი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მაღალ სახელისუფლო სტრუქტურებშიც კი დაწინაურდა.

მოსახლეობის აზრით, რაიონში საკადრო ცვლილებები თანამდებობის ბოროტად გამოყენებითა და კანონმდებლობის უხეში დარღვევით განხორციელდა. მოპარულია და ჯართად ჩაბარდა რაიონის ტერიტორიაზე გამავალი რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენის მილები, ასევე ჯართად ჩაბარდა ნაზარლო-გარდაბნის წყალსადენის მილები, ხელოვნურად არის გაზრდილი პურის ფასი, მოსახლეობა მოწყვეტილია სატრანსპორტო კავშირს დედაქალაქთან და სხვა რაიონებთან, გაურკვეველია 3,8 მილიონი ლარის ბედი, რომელიც რუსთავი-ვახტანგისის გზის შესაკეთებლად იყო გამოყოფილი და სხვა.

*ინტერ-პრესი*






# მეგობრის მკვლელის ბედზე სასამართლო იმსჯელებს

**ქართულ მართლმსაჯულებას ცოტა ხანში კიდევ ერთი საზარელი მკვლელობის საქმის განხილვა მოუწევს. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა რამდენიმე, თვიანი გამოძიების შემდეგ დაასრულა და სასამართლოში გადაგზავნა მიმდინარე წლის 15 მარტს გარდაბნის რაიონ სოფელ წავკისში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიება, რომლის თანახმადაც, ყვარელში მცხოვრებ ივანე ჟამუტაშვილს ბრალი ედება საკუთარი მეგობრის - ვასილ ხარებაშვილის განზრახ მკვლელობაში.**

გამოძიების მასალების თანახმად, ყვარლელები - ივანე ჟამუტაშვილი და ვასილ ხარებაშვილი გასული წლის აგვისტოდან გარდაბნის რაიონ წავკისში ლევან ერისთავის სააგარაკო სახლის მშენებლობაზე მუშაობდნენ და დროებით მშენებარე სახლში ცხოვრობდნენ. როგორც დაკითხული მოწმეების ჩვენებიდან ირკვევა, ამ ხნის განმავლობაში მეგობრებს კონფლიქტი არასოდეს მოსვლიათ. მკვლელობის საღამოც, ერთი შეხედვით, მხიარულად დაწყებულა.

სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ვახშმობისას, ჟამუტაშვილმა და ხარებაშვილმა, სხვა მეგობრებთან ერთად, არყის სმა დაიწყეს. ახლობლების წასვლის შემდეგ მშენებარე სახლში დარჩენილ მეგობრებს სმა გაუგრძელებიათ, რაც ცოტა ხანში ჩხუბში გადაიზარდა. როგორც თავად ბრალდებული ივანე ჟამუტაშვილი დაკითხვისას აღიარებს, ხარებაშვილმა შემთხვევით ფეხი იტკინა, რის გამოც მას დაემუქრა, რომ სამაგიეროს გადაუხდიდა და ხელი გაარტყა.

**"განაწყენებულმა ჟამუტაშვილმა ხარებაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამ უკანასკნელმა კი ჟამუტაშვილს რეზინის ტყვიებით დატენილი საფანტი პისტოლეტი დაუმიზნა და გინება გააგრძელა",** - აღნიშნა ჩვენთან საუბრაში საქმის გამომძიებელმა პოპიაშვილმა.

ამის შემდეგ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ჟამუტაშვილმა ხარებაშვილს პისტოლეტი წაართვა და თავში ესროლა.

**"ჟამუტაშვილმა დაცემულ ხარებაშვის პისტოლეტი თავშიც ჩაარტყა. შემდეგ ავიდა სახლის მეორე სართულზე, თვითნაკეთი დანა აიღო და ხარებაშვილს რამდენჯერმე დაარტყა, თუმცა სხეულის სერიოზული დაზიანება ვერ შეძლო. ამის შემდეგ ბრალდებულმა გონებადაკარგული ხარებაშვილი ბორდიურის ჩასაბეტონებლად ამოთხრილ ორმოსთან მიათრია, შიგ ჩააგდო და იქვე დაგდებული ურო თავში რამდენჯერმე ჩაარტყა. როდესაც ჟამუტაშვილი დარწმუნდა, რომ ხარებაშვილი გარდაიცვალა, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ხარებაშვილის გვამს ჯერ ხრეში მიაყარა და შემდეგ ბეტონის ხსნარი დაასხა",** - აღნიშნულია ჟამუტაშვილის საბრალდებო დასკვნაში.

მომხდარის შემდეგ ჟამუტაშვილი მიიმალა და იგი თბილისის პროკურატურაში ორი თვის შემდეგ, საკუთარი ნებით გამოცხადდა. როგორც საქმის გამომძიებელი პოპიაშვილი აღნიშნავს, ჟამუტაშვილმა ბრალი პირველი დაკითხვისთანავე აღიარა და ხერებაშვილის დამარხვის ადგილიც მიუთითა.

აღნიშნულ საქმეს, ქვემდებარეობის პრინციპიდან გამომდინარე, გარდაბნის რაიონის სასამართლო განიხილავს. წარდგენილი მუხლის თანახმად კი, ბრალდებულ ჟამუტაშვილს შვიდიდან თხუთმეტ წლმდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

*24 საათი*

## მოკლედ

### ქარქაშაძეების ქონებასთან დაკავშირებით სასამართლო დავა გრძელდება

აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძისა (მას ბრალი ედება უნივერსიტეტის კუთვნილი მიწების უკანონო გასხვისებაში) და მისი შვილის ქეთევან ქარქაშაძისთვის უძრავი ქონების ჩამორთმევის საკითხის განხილვა თბილისის საოლქო სასამართლოში დღეს განახლდება. სასამართლოზე მხარეებმა ქონების შესახებ დამატებითი დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ.

პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლო განიხილავს ქარქაშაძეებისთვის თბილისში, ლვოვის ქ. N20-ში, ლუქსემბურგის ქ. N10-სა და მგალობლიშვილის ქ. N11-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების ჩამორთმევის საკითხს. სასამართლო გადაწყვეტილებით, ეს ქონება უკვე დაყადაღებულია. გარდა ამისა, დაყადაღებულია დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთი და ორი საბანკო ანგარიში ბანკ "რესპუბლიკაში", რომელზეც 45 ათასი ლარი ირიცხება. ქონების დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, ქარქაშაძეს აღნიშნულ ქონებას ჩამოართმევენ და სახელმწიფოს გადასცემენ. ნაპოლეონ ქარქაშაძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. **მედია-ნიუსი**

### "ჭიათურმანგანუმის" თანამდებობის პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

"ჭიათურმანგანუმის" დირექტორის აკაკი გუჯაბიძისა და მთავარი ბუღალტერის გიორგი გურგენიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდების მუხლით აღიძრა. აღნიშნული ფაქტის გამოძიება ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილებაში ცოტა ხნის წინ დაიწყო. როგორც შემოწმებით დადასტურდა, "ჭიათურმანგანუმმა" 2003-2004 წლებში სახელმწიფოს გადასახადების სახით 390 ათას ლარამდე დაუმალა, რის გამოც ორგანიზაციას ჯარიმა (საურავებთან ერთად) - 906 ათას ლარზე მეტი თანხა დაერიცხა.

გუშინვე ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის განყოფილებამ "წითელი ხიდის" მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების კონტრაბანდული ტვირთი დააკავა. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, ტვირთი აზერბაიჯანიდან სატვირთო ავტომანქანით შემოჰქონდათ. მებაჟეებმა არ გადაამოწმეს ტვირთის რეალური რაოდენობა და იგი "ინვოისების" მიხედვით, სადაც ფასები ათჯერ მაინც იყო შემცირებული და საერთოდ არ იყო მითითებული ძვირადღირებული ტექნიკა, საბოლოოდ 13 ათას ლარად განაბაჟეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე საბაჟო წესების დარღვევის მუხლით აღიძრა და, როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, მომხდარის გამო პასუხისმგებლობა მებაჟეებსაც დაეკისრებათ. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმის განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნის შუამდგომლობით მისი ადვოკატი ეკა ბესელია თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს 22 სექტემბერს მიმართავს. მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. მისი საქმე სასამართლოში თვენახევრის წინათ გადაიგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ძებნის ქვეგანყოფილებისა და ახმეტის შს განყოფილების თანამშრომლებმა ახმეტის რაიონის სოფელ მატანში დააკავეს სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლასა და პატიმრობიდან გაქცევისთვის ძებნილი, 26 წლის მ.თ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს წყალსადენის დაცვის პოლკის ათეულის მეთაური, პოლიციის სერჟანტი, 29 წლის გ.ლ., რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულ-მკერდში დაჭრა 24 წლის ა.ა. ტაბელური პისტოლეტი "მაკაროვი" მჭიდითა და 7 ვაზნით ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ტყიბული.** იმერეთის შს სამხარეო და ტყიბულის პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს ტყიბულში ფედერალურ ძებნაში მყოფი ვალერი ოდიკაძე. ტყიბულის პოლიციის ინფორმაციით, იგი წარსულში მრავალჯერ ნასამართლევია. მას დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთის რაიონის პოლიციამ დააკავა მცხეთაში მცხოვრები, 18 წლის ქ. ალი ოღლი, რომელიც მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში ცდილობდა თბილისელი, 41 წლის ლ.ს. გაუპატიურებას, ხოლო შემდეგ ძალის გამოყენებით გასტაცა მობილური ტელეფონი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ზესტაფონის პოლიციამ ორი კვირის წინ მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა. სამართალდამცველებმა ანდრო ჩხეიძე გაჩხრიკეს, როგორც ეჭვმიტანილი. ჩხრეკის შედეგად კი მისი საცხოვრებელი სახლიდან ის ნივთები ამოიღეს, რაც თავდამსხმელებმა ნუნუ ჩიტორელიძის ბინიდან გაიტაცეს. გარდა ამისა, ჩხეიძემ დამატებით აღიარა, რომ ზესტაფონში ერთ-ერთი სასურსათო მაღაზია გაქურდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ონიაშვილის ქ.N48-ში მცხოვრებმა ო.მ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა სიძე, 24 წლის გ.ხ. და მიიმალა. **მედია-ნიუსი**



"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

# გაუცხოებულ სამშობლოში

მე ნანა ვარ, წარმოშობით - აფხაზეთიდან, მაგრამ ამჟამად ჩემს ოჯახთან ერთად ვცხოვრობ ზუგდიდში, რადგან იქ ვმუშაობ. ხშირად გადავდივარ მეორე მხარეს-ენგურს გაღმა, რათა მოვინახულო ჩემი მშობლები. ასე ვცხოვრობთ უკვე რამდენიმე წელია...

მაგრამ ამჯერად სხვა რამეზე მინდა გესაუბროთ - თუ როგორ იცვლება დრო და როგორ იცვლებიან ადამიანები დროთა განმავლობაში.

ადრე სიტუაცია ჩვენსა და აფხაზებს შორის უფრო დაძაბული და არცთუ ისე კეთილგანწყობილი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზებსა და ქართველებს საერთოდ აღარ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობა. თუმცა მაშინ ეს ურთიერთობები უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ამჯერად კი, წლების შემდეგ, ურთიერთობები უფრო თბილი და მისაღებია. ჩვენ ვხვდებითა და ვეხმარებით ერთმანეთს. თითქოს თანდათან ყველაფერი "ლაგდება".

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ერთი მნიშვნელოვანი და ცოტა კურიოზული შემთხვევა.

ეს ამბავი ორი წლის წინ მოხდა. მაშინ გალში ვმუშაობდი. სამსახურის გამო ხშირად მიწევდა სოხუმში ჩასვლა. იქ გავიცანი აფხაზი გოგონები, რომელთაც დროთა განმავლობაში დავუახლოვდი. მათთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს.

ერთ-ერთ მათგანს ძალიან უნდოდა ენგურს აქეთ გადმოსვლა, ზუგდიდისა და დანარჩენი საქართველოს ნახვა. თბილისი ხომ მისი საოცნებო ქალაქი იყო და მისი ნახვა მას ვერც კი წარმოედგინა!

სამსახურებრივი საქმეები გვქონდა ზუგდიდში და ამ მიზეზით მოვახერხე მისი ზუგდიდში გადმოყვანა. ჩვენ დავათვალიერეთ ბოტანიკური ბაღი, დადიანების სასახლე - ყველაფერი ვაჩვენე, რისი ნახვაც კი შეიძლებოდა ზუგდიდში.

იგი ნანახით ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან იგი სულ სხვაგვარ სამყაროში აღმოჩნდა, ვიდრე იქ, სოხუმში. მან იცოდა, რომ ესეც მისი სამშობლოა, რომელიც გარემოებათა გამო მისთვის უცხო გახდა.

ზუგდიდში ყოფნისას მოგვიწია იქაურ ოფისში მისვლა. ეს ერთ პრობლემასთან იყო დაკავშირებული: ჩემმა აფხაზმა მეგობარმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა ქართული და ამიტომ ვერ საუბრობდა და ვერც იგებდა ქართულ მეტყველებას. გამოსავალი უნდა გვეპოვა და მე მას ვურჩიე, ოფისში სტუმრობისას ხმა არ ამოეღო, ჩუმად ყოფილიყო და მხოლოდ თავის დაკვრით გამოეხატა თავისი თანხმობა. მის ნაცვლად მე უნდა მესაუბრა - ასე შევთანხმდით...

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მეგობარი ძალიან ლამაზი გოგონაა, ყველგან ყურადღებას იქცევს. ოფისში რომ მივედით, ყველას ძალიან მოეწონა, ყველას გაუჩნდა სურვილი მასთან გასაუბრების, მაგრამ განსაკუთრებით ოფისის ადმინისტრატორი აქტიურობდა.

ჩემი მეგობარი კი მხოლოდ თავს უქნევდა და ქართულად პასუხობდა იმ ერთადერთ სიტყვას, რომელიც მე ვასწავლე -"დიახ".

მხოლოდ "დიახ", "დიახ"-ით მისი "საუბარი" ადმინისტრატორთან თხუთმეტი-ოცი წუთი გაგრძელდა. მისგან რომ ბევრი ვერაფერი შეიტყო, როგორც იქნა, ადმინისტრატორმა თავი დაანება. ჩვენთვის კი ეს შემთხვევა ერთგვარი სასიამოვნო შოკი იყო, რომელიც კარგად დამთავრდა.

საღამოს ჩვენ ისევ გალში დავბრუნდით. მერე მას კიდევ ჰქონდა ზუგდიდის ნახვის სურვილი, ამიტომ მეორედაც გადმოვიყვანე ენგურზე. ამჯერად კი ყველაფერმა კურიოზების გარეშე ჩაიარა.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*

*პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*

მოკლედ

# ხაჯინბას კოლაბორაციონიზმში ადანაშაულებენ

აფხაზური საზოგადოების ნაწილი პრეზიდენტობის კანდიდატს რაულ ხაჯინბას კოლაბორაციონიზმში ადანაშაულებს. ინტერნეტ-საიტ "აფხაზეთი რუ"-ს გვერდებზე საბჭოთა პერიოდში უშიშროების ოფიცრის რაულ ხაჯინბას მიერ შედგენილ იმ მოხსენებით ბარათებს აქვეყნებენ, რომლებშიც იგი ანტიქართული მოქმედებებისთვის თავის მოძმე აფხაზ პატრიოტებზე ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს აწვდიდა.

**"ჩვენ არ გვინდა გვყავდეს პრეზიდენტად პიროვნება, რომელიც აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში თავის მერკანტილურ ინტერესებს აფხაზი ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებდა,"** - ნათქვამია წერილში, რომელიც ინტერნეტ-საიტ "აფხაზეთი რუ"-ს რედაქციას აფხაზური საზოგადოების ერთმა ჯგუფმა ხაჯინბას მაკომპრომეტირებელ მასალებთან ერთად მიაწოდა.

წერილის ავტორებმა რედაქციას წარუდგინეს 1989-90 წლებში უშიშროების ოფიცრის რაულ ხაჯინბას ხელით დაწერილი ე. წ. "დონოსები" იმ აფხაზ პატრიოტებზე, რომლებიც აფხაზეთის საქართველოსგან გათავისუფლებისთვის საბჭოთა პერიოდში იბრძოდნენ.

**"სად არის იმის გარანტია, რომ ეროვნული გმირის მანტიამორგებული უშიშროების ოფიცერი რაულ ხაჯინბა მომავალშიც არ უღალატებს აფხაზი ხალხის მტკიცე ნებას - მიაღწიოს აფხაზეთის დამოუკიდებლობას,"** - აღნიშნულია წერილში, რომლის ავტორთა თქმით, ისინი "აფხაზეთი რუ"-ს რედაქციას კვლავაც მიაწვდიან მაკომპრომეტირებელ მასალებს აფხაზეთის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებზეც, რომელთა საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობა "გამყიდველურ" ხასიათს ატარებდა.

ინტერნეტ-საიტმა "აფხაზეთი რუ" დღეს გამოაქვეყნა 1989-90 წლებში უშიშროების ოფიცრის რაულ ხაჯინბას მიერ საკუთარი ხელით შედგენილი მოხსენებითი ბარათებიც, რომლითაც უშიშროების ოფიცერი ხაჯინბა იმ პიროვნებებს ამხელს, რომლებმაც ქალაქ ტყვარჩელიდან მონაწილეობა მიიღეს სოხუმში 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკულ მოვლენებში და ასევე 1990 წლის ზაფხულში აფხაზური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ სხვა ანტიქართულ ღონისძიებებში.

*ინტერ-პრესი*

# რეორგანიზაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში რეორგანიზაცია დაიწყო. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, რეორგანიზაცია შტატების შემცირების კუთხით, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია დამოუკიდებელ ერთეულად არსებობას შეწყვეტს და საგადასახადო დეპარტამენტს დაექვემდებარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა აფხაზეთის რეორგანიზებული საგადასახადო ინსპექციის დებულება დაამტკიცა. დებულებაში განსაზღვრულია აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციაში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანის წესი და შერჩევის კრიტერიუმები. დებულებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციაში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე ასაყვან გადამხდელთა შერჩევას საგადასახადო დეპარტამენტი განახორციელებს.

*ინტერ-პრესი*

# "Ваша Абхазия"

*ჩვენმა თანამემამულემ, ამჟამად ისრაელში მცხოვრებმა ჟურნალისტმა ნინო აბესაძემ, თბილისში ყოფნის დროს ინტერვიუ ჩამოართვა პროექტის - "თქვენი აფხაზეთის" კოორდინატორს თორნიკე ბერიშვილს. ინტერვიუ გამოქვეყნდა ისრაელში გამომავალ რუსულ გაზეთში - "ВЕСТИ". გთავაზობთ პუბლიკაციის სრულ ვარიანტს.*

**თორნიკე ბერიშვილი:** "ეს პროექტი დაიწყო იმით, რომ გავაკეთეთ პატარა გამოკვლევა, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოში აფხაზურ პრობლემას. მივიღეთ საკმაოდ სავალალო შედეგი. აღმოჩნდა, რომ "აფხაზეთში" გულისხმობენ ყველაფერს - წინაპართა მიწას, საფლავებს, მიტოვებულ სახლ-კარს, სილამაზეს, სიჯანსაღეს, კურორტს - ყველაფერს, გარდა აფხაზებისა. აფხაზი, როგორც ეთნოსი, ამ ცნებაში ან არ არის, ან სადღაც, ძალიან უკანა პლანზეა. ამან ძალიან შეგვაშფოთა, რადგან თუ არსებობს კონფლიქტი - არსებობენ კონფლიქტის მხარეები. თუ შენ ერთ-ერთი მხარე ამ კონფლიქტისა არ აღიარე და არ აცნობიერებ მეორე მხარეს, ანუ არაფრად აგდებ, მაშინ კონფლიქტის მოგვარების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს.

არის მეორე ვარიანტი - ე.წ. სირაქლემას პოზიცია - როდესაც ამბობენ, რომ არ არსებობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არსებობს ქართველების კონფლიქტი რუსების ინტერესებთან; როდესაც ამბობენ, რუსეთი რომ არ იყოს და არ ერეოდეს ამ საქმეში, მაშინ კონფლიქტი მოგვარდებოდაო. ჩემი აზრით, ეს არ არის მართალი, რადგან თავად ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობს ძალიან ბევრი გაურკვეველი თემა. ბოლოს სოხუმში რომ ვიყავი, ამაში დავრწმუნდი. აფხაზები ამბობენ, რომ ლტოლვილები არ უნდა დაბრუნდნენ და კეთილ მეზობლობას გვთავაზობენ.

**- ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მათ უნდათ არა მხოლოდ ფართო ავტონომია, არამედ საკუთარი სახელმწიფო.**

- უნდათ კი არა, ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და არავითარი შეკითხვები და გარჩევა საჭირო აღარ არის.

**- მაშ, როგორღა ვლაპარაკობთ კონფლიქტის მოგვარებაზე? ამას ხომ ქართველები არასოდეს დაეთანხმებიან?**

- სინამდვილეს უნდა გავუსწოროთ თვალი. ჩვენი აფხაზი ძმები, ბიძაშვილები, ნათესავები რუსეთისგან მოტყუებულნი არიან და ეს რომ ასე არ იყოს, პრობლემა არ გვექნებოდა. შეიძლება ნელა, შეიძლება შორიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ პროგრესირების გზით არის საჭირო ამგვარ ცნობიერებაზე ზემოქმედება.

**- რა უნდა დამკვიდრდეს საზოგადოების ცნობიერებაში?**

- ობიექტური რეალობის აღქმა. დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთის აზრი კარგად უნდა გავაცნოთ. შემდეგ უნდა ვიმოქმედოთ არა მხოლოდ სახელმწიფო დონეზე, რაც თავისთავად აუცილებელია, არამედ საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე. სანამ სახელმწიფო პოლიტიკა არ იქნება შეთანხმებული მთელ ქართულ საზოგადოებასთან, კონფლიქტი ვერ მოგვარდება.

**- რა თანაცხოვრებაზე შეიძლება საუბარი, თუკი, როგორც თქვენ ამბობთ, აფხაზებისთვის საქართველო და ქართველები არ არსებობენ?**

- ეს არის თავდაცვითი რეაქცია. მათ ხომ ჩვენ მიმართ შიში და უნდობლობა აქვთ. აფხაზეთში არის ოპოზიცია, რომელიც ჩვენთან დიალოგზე თანახმაა, მაგრამ ისინი ამავე დროს აღნიშნავენ, რომ არძინბას წინააღმდეგ გამოსვლა ჩვენს მხარეს ყოფნას არ ნიშნავს. და მათი გაგება შეიძლება. 1992 წლიდან მოყოლებული არ გამოჩნდა არც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებდა აფხაზების დარწმუნებას იმაში, რომ ჩვენ მათი დაჩაგვრა არ გვინდა; არ იყო არც ერთი ისეთი წინადადება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც დისკუსია. ამის მაგივრად თბილისიდან მუდმივად იგრძნობოდა მინიშნება იმაზე, რომ ძალას მოვიკრებთ და მერე დაგელაპარაკებითო.

**- რისი მიღწევა შეგიძლიათ არასამთავრობო დონეზე?**

- ჩვენ ჩამოვიყვანეთ აფხაზი ბავშვები მშობლებთან ერთად, რომლებიც შეხვდნენ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, რასაც სოხუმში უკმაყოფილო რეაქცია მოჰყოლია. გავაკეთეთ "აფხაზური კლუბი", რომელიც იკრიბება გაზეთ "24 საათის" პრესდარბაზში, სადაც მიმდინარეობს დისკუსიები მწვავე საკითხებზე და რომელშიც მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის - პოლიტიკოსები, ექსპერტები, დევნილები და სხვა. ბოლოს იყო განხილვა კონცეფციისა "აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ ქართულ სახელმწიფოში", რომელმაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ განსხვავებული მოსაზრების ადამიანები ერთმანეთს "მოღალატეს" ეძახდნენ. თუმცა დიალოგი მაინც შედგა და ეს არის მნიშვნელოვანი. იარსებებს "თქვენი აფხაზეთის" სამენოვანი ინტერნეტსაიტი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე;

ასევე გავაკეთებთ რადიო და ტელეხიდებს თბილისსა და სოხუმს შორის. შემდეგ კი ამ პროცესში მსოფლიოს ყველა კუთხეს ჩავრთავთ, მათ შორის - ისრაელსაც.

**- თუ სწორად გაგიგეთ, "თქვენი აფხაზეთის" და არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი მიზანი იმის დემონსტრირებაა, რომ ქართველები კაციჭამიები არ არიან და მათთან მშვიდობიანი დიალოგი შეიძლება.**

- ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ხალხი აქტიურად ჩაება საკუთარი ბედის განსაზღვრაში. გვინდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება იხარშებოდეს რაღაც ერთიან ქვაბში, სადაც ყველა თავისი გემოვნებით დაამატებს საკმაზს და შედეგად გამოვიყვანთ ყველასთვის მისაღებ ნაზავს. ასე ფორმირდება საზოგადოებრივი აზრი და სამოქალაქო პოზიცია, რაც, ბოლოს და ბოლოს, აიძულებს ხელისუფლებას, რეაგირება მოახდინოს ამ ყველაფერზე.

**- ნუთუ ახალ და ენერგიულ ხელისუფლებას აფხაზეთის თაობაზე კონცეფცია არ გააჩნია?**

- ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ძალიან ზოგადი ფრაზებით ლაპარაკობს მშვიდობიანი მოწესრიგების თაობასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. გაიგეთ რამე ამ ფრაზიდან? ასევე არ ესმის არაფერი საზოგადოებას. ზოგს მშვიდობიანი მოგვარება ამგვარად ესმის - აფხაზებმა უნდა შეიგნონ, რომ არიან ისეთივე ქართველები, როგორც, ვთქვათ კახელები და მორჩნენ ზედმეტ ლაპარაკს; ანუ იყოს ყველაფერი ისე, როგორც ჩვენ გვინდა. თუ აფხაზები არ დაგვთანხმდებიან (და ეს ასეც იქნება, ცხადია), მაშინ გამოდის, რომ ყველა სამშვიდობო ინიციატივა ავტომატურად შეწყდება და ჩვენ ისღა დაგვრჩება, შევიარაღდეთ და .... ამას ვამბობ, როგორც აფხაზეთში ნაომარი ადამიანი: ამ პრობლემას სამხედრო გზით ვერ გადავწყვეტთ.

**- დარწმუნებული ხართ, რომ ახალი ხელისუფლება ძალისმიერ გზას არ დაადგება?**

- დარწმუნებული ვარ, ვინაიდან ძალიან ბევრი ვალდებულებები აქვს ნაკისრი არა მარტო თავისი ხალხის მიმართ, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მიმართაც და მათ არ დაარღვევს. მეორე მხრივ, იგი არაფერს აკეთებს კონფლიქტის მოგვარებისთვის იმ მიზეზით, რომ ჯერ პრობლემებია სხვა რეგიონებში. თუმცა აფხაზეთის საკითხზე სახელმწიფოში მუდმივად უნდა მუშაობდნენ და არა მხოლოდ მაშინ, როცა სხვა კონფლიქტები აღარ გვექნება და აფხაზეთის საკითხი მოდური და პოპულარული გახდება.

**- თქვენ ნამდვილად გჯერათ იმის, რომ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება შეიძლება? მსოფლიოში ამის მაგალითი არცთუ ისე ბევრია.**

- ვინმემ შეიძლება "ხალხის მტრად" მომნათლოს, მაგრამ, მოდით, მაინც წარმოვიდგინოთ ასეთი ვარიანტი: საქართველო არა მარტო ეგუება აფხაზეთის დამოუკიდებლობას, არამედ მისი გაეროში გაწევრიანების ინიციატივითაც გამოდის.

მე ამ წინადადების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მისი განხილვისთვის მზად ვარ. იცით, რა მოხდება? პირველ რიგში, რუსეთი იქნება კატეგორიული წინააღმდეგი, რადგან შეიქმნება პრეცედენტი: თუ აფხაზეთისთვის შეიძლება დამოუკიდებლობა, რა დააშავეს ჩეჩნეთმა, დაღესტანმა.

სხვა მხრივ, შეიძლება დაუსრულებელი საუბარი კანადის დამოუკიდებლობაზე, მაგრამ წარმოუდგენელია კანადის ეკონომიკა აშშ-ს მხარდაჭერის გარეშე. რაღაც ამდაგვარი მოხდება აქაც. ეს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო თავად დაბრუნდება იმ ქვეყნის შემადგენლობაში, საიდანაც გავიდა. თანაც, მის ტერიტორიაზე დაიწყება დევნილების დაბრუნებაც, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ და აფხაზეთი თავისთავად გახდება ქართული სახელმწიფო.

სხვათა შორის, თავად აფხაზებსაც ძალიან კარგად ესმით, რომ მათი რუსეთთან შეერთება გამოიწვევს აფხაზური ეთნოსის სრულ ასიმილაციას. ისინი კი ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე არიან.

**- რამდენნი არიან ამჟამად აფხაზები?**

- ეს ძალიან რთული საკითხია, რადგან სხვადასხვა ინფორმაცია არსებობს. ჩვენი აზრით, დღეისათვის აფხაზეთში ცხოვრობს 30 ათასი აფხაზი, 30 ათასი სომეხი და 40 ათასი ქართველი (სოხუმში ამბობენ, რომ აფხაზეთში 400 ათასი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა თბილისში ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი 150 ათასის ტოლია. მოსახლეობის 80 პროცენტს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. ავტორის შენიშვნა).

**- თუ აფხაზეთში ეთნკური ქართველები უმრავლესობას წარმოადგენენ, მაშინ პრობლემის მოგვარება დემოკრატიული არჩევნების გზით უნდა შეიძლებოდეს.**

- იდეაში ასეა, მაგრამ დღევანდელ აფხაზეთში დემოკრატიაზე საუბარი არ შეიძლება. ეს არის კლასიკური საბჭოთა კავშირი უძრაობის ხანაში, თუ არ ვისაუბრებთ რეპრესიებზე. ხალხს საკუთარი აზრის გამოთქმის ეშინია. მე ვყოფილვარ სოხუმში და ვიცი, რომ ადამიანები პირისპირ ერთს გეუბნებან, მოწმის თანდასწრებით კი სულ სხვანაირად საუბრობენ.

**- თქვენ, ქართველს, აფხაზეთის ომის მონაწილეს შეგიძლიათ სოხუმის ქუჩებში სიარული და ხალხთან ურთიერთობა?**

- სოხუმში ვიმყოფებოდი როგორც პროექტის კოორდინატორი. ქუჩაში სეირნობის დროს რამდენიმე ადამიანი გამომაყოლეს დამცველებად. ერთ-ერთი მათგანი სულ მეუბნებოდა, საიდანღაც მეცნობიო. ბოლოს ველარ მოითმინა და მკითხა, სად დაგჭრესო. მე ვუპასუხე და აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ბრძოლის ველზე შევხვდით.

**- ე.ი. ომის ჯოჯოხეთში ნამყოფ ხალხთან უფრო ადვილია საერთო ენის გამონახვა, ვიდრე სხვებთან?**

- ყოველ შემთხვევაში, მე მათთან პრობლემები არ მქონია. მათ იციან, რომ ომი აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენ ვსაუბრობდით დაღუპულთა ცხედრების გაცვლაზე და იმ დასკვნამდე მივედით, რომ უნდა მოგვენახულებინა მათი ოჯახები. გაცილებით აგრესიულები იყვნენ ისინი, ვისაც ომი თვალითაც არ უნახავს; მაგალითად - ჟურნალისტი გოგონები. თუმცა ნახევარსაათიანი დიალოგის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ უმაღლესი განათლება თბილისში მიუღიათ და ენატრებოდათ ეს ქალაქი. დაიწყეს ყოფილი მეგობრების გახსენება და მივხვდით, რომ ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს. სამაგიეროდ - გვაქვს გასახსენებელი.

სხვათა შორის, საერთაშორისო ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მოგვარების მხრივ სხვაზე უფრო პერსპექტიულია.

**- რითი ხსნიან ისინი ამ ფაქტს?**

- რაც უფრო ახალია კონფლიქტი, მისი მოგვარების მით უფრო მეტი შანსია. ამას გარდა, აფხაზეთის კონფლიქტი სხვებთან შედარებით ნაკლებად ინტენსიური და მასშტაბური იყო. ეს დასკვნა მათ მიერ გაკეთებულია მეცნიერული ანალიზის შედეგად და დაფუძნებულია დაღუპულთა, დაჭრილთა, მატერიალურად დაზარალებულთა მონაცემებზე.

უბრალო მოკვდავთათვის კი ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ სადღაც (ვთქვათ, პოდოლსკში) ქართველი და აფხაზი უფრო ადრე გამონახავენ საერთო ენას, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენლები. სწორედ ეს ფუნდამენტი უნდა გამოვიყენოთ მოლაპარაკებების დაწყების საფუძვლად და, არქეოლოგების მსგავსად, ფენა-ფენა მოვაცილოთ ის ქვის წინაღობა, რომელიც უუნარო პოლიტიკოსებმა ააგეს.

სხვათა შორის, მე პროექტს იმიტომ დავარქვი არა "ჩვენი", არამედ "თქვენი აფხაზეთი", რომ ყველა ადამიანმა იგრძნოს - საუბარია მის აფხაზეთზე. აქვე მინდა მივმართო ისრაელის იმ მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობდნენ, რომ ეს მათი აფხაზეთიცაა და რომ მათ სრული უფლება აქვთ, კანონიერად დაბრუნდნენ და დაიბრუნონ დაკარგული ქონება.


"Ваша Абхазия"
Нино Абесадзе

*ეს ნომერი 2004 წლის 19 სექტემბერს გამოქვეყნდა.*

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

„მაკულატურა„ ათ ინტიმურ აქტზე



B2

კლიჩკო ორკამროსანია



B5

REM-ის მზის გარშემო



B7

ნომრის სტუმარი

# იმედი მაქვს, სახელმწიფო 126 მილიონზე უარს არ იტყვის

მაია ქალაბანიძე

*სინდისის გარდა ყველაფერზე გამოცხადებული არც თუ წარმატებული დიდი ვაჭრობა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსაც შეეხო. საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი სიამაყე დღეს მკვდარია. 1997 წლამდე ეს საწარმო მომგებიანი იყო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მას შემდეგ, რაც ქარხანაში ინვესტორები გამოჩნდნენ, ჟრუანტელის მომგვრელი ფრაზა - "მოდის რუსთავის ფოლადი" - დავიწყებას მიეცა, ფოლადის ნაცვლად ქარხნიდან ათიათასობით ტონა ჯართი გადიოდა. აპრილის თვიდან კომბინატის რეაბილიტაციის მმართველად ინჟინერ-მეტალურგი, ბენო ქაშაკაშვილი დაინიშნა. ცოტა ხანს სიმშვიდე იყო, იქამდე, ვიდრე პოლიტიკურმა ამბიციებმა სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური ინტერესები არ ჩაყლაპა. ეკონომიკური დავების დროს პოლიტიკური ქვეტექსტები იკითხება, მაგრამ კულუარებში ბუნდოვნად ბრძოლის ოსტატი პოლიტიკოსების დაჯაბნა არც თუ ისე იოლია, თან თუ ეს ბრძოლა ერთ-ერთ ქართულ გიგანტს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ეხება.*



*ახლა თუ ქარხანა რომელიმე ოფშორულ ფირმას გადაეცემა, შემდეგი ექვსი თვე დავისვენებ და ახალი ძალებით დავიწყებთ ბრძოლას.*

- კომბინატის რეაბილიტაციისა და ფინანსური მდგომარეობის გეგმა 2002 წელს არის შედგენილი. უკანასკნელ წლებში, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, რმკ-ს 126 მილიონი დოლარი ვალი დაუგროვდა. ერთ-ერთმა ინვესტორული ამბიციებით შეპყრობილმა პარტნიორმა, " რუსთავი არეს მეტალურგმა", 17 წლის განმავლობაში ვალების დაფარვა საკუთარ თავზე აიღო.

სახელმწიფოს წილში ეს 126 მილიონი დოლარი და რუსთავის დრამატული თეატრი აღმოჩნდა. პირველი, რა საკითხიც დავაყენე, ქონების რაოდენობის გარკვევა იყო, ეს კი სასამართლო წესით უნდა გადაწყვეტილიყო. არსებობს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერილი, სახელმწიფო კომისიის 40-გვერდიანი დასკვნა, სადაც წერია, რომ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესები კანონდარღვევებით არის ჩატარებული, რომ ამ პროცესში უგულებელყოფილ იქნა ძირითადი კრედიტორების, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ინტერესები. რაც მთავარია, მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრო არ ჩართეს კრედიტორთა კომიტეტში.

კომბინატი რამდენჯერმე გადავიდა სხვადასხვა მეპატრონის ხელში. ამ პროცესში კი საქართველოს ბიუჯეტმა იზარალა. ერთ-ერთმა კრედიტორმა კომპანიამ, "კილიგარდმა" შპს "არესს" გაცილებით ადრე უჩივლა - როცა ეს წარმოება გადმოგეცათ, კანონი დაირღვა, რადგან ჩვენ არაფერი გვკითხესო. მოკლედ, საოლქო სასამართლოში ორი შპს დავობდა და ჩვენი დუმილით ხელი შევუწყვეთ, რადგან მოგების შემთხვევაში სახელმწიფო 100 მილიონის საბალანსო ქონებას უკან იღებდა. სრულიად ვეთანხმები პრემიერის მიერ ხელმოწერილ დასკვნას, ამ მხრივ არც ერთ მინისტრთან არავითარი გაუგებრობა არ არსებობდა. მეგონა, რომ ეს დავა გადაწყდებოდა და დავთანხმდი ჩემს პოზიციაზე, რომ თეატრის დირექტორად დავიწყებდი მუშაობას და ამასობაში მოვემზადებოდი, თუ ვისთან შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა პარტნიორობა. "არეს ინტერნეიშენალის" საწესდებო კაპიტალი, რომელსაც კომბინატის ქონება გადაეცა, სულ 1 მილიონი ევროა. შეიძლება ეს თანხა ძალიან ბევრია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უმნიშვნელო თანხაა. რამდენიმე მილიონდოლარიანი საწესდებო კაპიტალი რუსთაველმა ინჟინრებმაც შექმნეს, ფეხზე დადგნენ და ქვეყნისთვისაც და თავისთვისაც მოგება მოაქვთ.

დღეს ახალი ხელისუფლებაა და ახალი მიდგომებია. პარტნიორებისადმი პოლიტიკაც ისეთი იყო, რომ მათთვის კისერში არ წამიჭერია, მაგრამ რეალურად მათ ფული არ აქვთ. როდესაც ბანკში სახელფასო დავალიანების გასასტუმრებელ კრედიტზე მივედი, ვნახე, რომ ინვესტორებს ქართულ საწარმოებში ჩასადებ კრედიტებზე უკვე უარი ჰქონდათ მიღებული.

შევქმენით კრედიტორთა შემსწავლელი 12-კაციანი კომისია, რომელმაც დაასკვნა, რომ ეს ყველაფერი ყალბია. საკითხს ის გარემოებაც ართულებდა, რომ ქარხანაში (განსაკუთრებით ბოლო წლებში) არანაირი ფურცელი და ხელშეკრულება არ დამხვედრია. ამას ისიც დაერთო, რომ ყველა კომპიუტერიდან საბუღალტრო მონაცემები მოპარული იყო. კრედიტორებს ხელახლა ვთხოვეთ საბუთების მოტანა. ზოგიერთის სამივლინებო საბუთებს გადავხედეთ და აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ წარმოდგენილ ციფრებს არ ემთხვეოდა.

კრედიტორული დავალიანების დასკვნით მივაკითხე იმ კომპანიებს, რომლებიც ჩვენს სტრატეგიაში ჯდებოდა - უდიდესი გამოცდილების მქონე რუსულ, უკრაინულ, ევროპულ ჰოლდინგებს. ვიმუშავეთ 4 კომპანიასთან, ორი მათგანი სამთავრობო ხაზით იყო ჩამოსული. ამ ოთხმა კომპანიამ რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების სურვილი გამოთქვა. ბევრი კამათის შემდეგ, ამ პროგრამის განხორციელებას არა 17, არამედ 2 წელიწადში შევძლებთო, თქვეს; მაგრამ, თუკი საშუალება მიეცემოდათ, რეალურად ეს ერთ წელიწადშიც იქნებოდა შესაძლებელი.

ამასობაში გამოქვეყნდა ახალი სახელმწიფო სტრატეგია სახელმწიფო საწარმოების სასწრაფო პრივატიზაციის შესახებ. პრივატიზაციის სიაში რუსთავის მეტალურგიული კომბინატიც მოხვდა. როგორ შეიძლებოდა ეს ჩაეწერათ - ჯერ სასამართლო პროცესი არ არის დასრულებული და ანკეტა არ არსებობს. სიაში კომბინატის დატოვებამ კამათი გამოიწვია, რადგან სახელმწიფოს წილში მხოლოდ თეატრია დარჩენილი და კულტურული ობიექტის გაყიდვა არ შეიძლება. ჩემთვის რომ ეკითხათ, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდნენ. გამოდის, რომ სახელმწიფო 126 მილიონ დოლარს ყიდის. ჩემმა შენიშვნამ გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ ეს თემა აგორდა და ეკონომიკის სამინისტრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც ჩვენ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა.

**- ამ დავების მიუხედავად, საწარმოს ამუშავება არ გიცდიათ?**

- შევთავაზე, მაქსიმუმ 45 დღე დაგვეცადა, რადგან პარტნიორებთან უკვე მიღწეული შეთანხმებით (ამაში პრეზიდენტიც დაგვეხმარა) ჩვენს პროდუქციას გამოვუშვებდით. ჩვენ შეგვიძლია, ყოველგვარი ინვესტორის გარეშე ავამუშაოთ წარმოება. თუ ასე არ მოხდება, შეგიძლიათ ხელი ჩამომართვათ და მითხრათ, შენს მოვალეობას თავს ვერ ართმევ-მეთქი... ამაზე ცივი უარი მივიღეთ - რაც მალე გაიყიდება, მით უკეთესიო. კი ბატონო, მაგრამ ძალიან დიდი სხვაობაა მუშა ქარხნისა და "მკვდარი" ქარხნის ღირებულებებს შორის.

ისევ პარტნიორებს მივმართე. ისინიც დაინტერესდნენ, რადგანაც სასწრაფო პრივატიზაციაა, ნაკლებ ფასად შეიძლება ვიყიდოთო. ამიტომ ვთხოვე, წერილები მოეწერათ პრემიერის, ეკონომიკის მინისტრისა და ჩემს სახელზე. ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ვიმუშავე და დამიწერეს წერილი, რომ პირობების დაზუსტების შემდეგ აქციათა პაკეტი საპრივატიზაციოდ გავიდოდა და პროცესი ყოველმხრივ გამჭვირვალე იქნებოდა. ეს ივლისში მოხდა.

ორი აზრი არ არის, რომ ამ საკითხში პოლიტიკაა ჩარეული, ამიტომ იწელება ეს პროცესი. ყველაფერს ისიც დაემთხვა, რომ კრედიტორებთან მუშაობის პროცესში, სამართალდამცავი სტრუქტურებიდან ქარხნის ქონების უკანონო გასხვისების თაობაზე რამდენიმე წერილი მოვიდა. ამ წესით ქარხანას ორი საწარმო დავუბრუნეთ, მაგრამ ისინი, რატომღაც, ეკონომიკის სამინისტროში მოხვდა.

**- ქარხნის კუთვნილი საამქროები ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა?**

- დიახ. ეს არის 1990-იანი წლების დასაწყისში გაშვებული საირმის დასასვენებელი კომპლექსი და წვრილსორტული საამქრო. ქარხანა კი ერთიანი სისტემაა - კომუნიკაციები, ჰაერი, წყალი, ელექტროენერგია, ინფრასტრუქტურა და ა.შ. საამქროების ცალკე გაყიდვა სწორი არ არის. ამაზე მიპასუხეს, ამ საამქროებს არენდით მოგცემთო. საკუთარი საწარმოების არენდით აღებასაც დავთანხმდით, მაგრამ არავინაც არ მოგვცა.

ამის შემდეგ დავაყენე ობიექტური მოთხოვნა - ეს მოპარული ქონება ქარხნის არის, სახელმწიფო მხოლოდ აქციების მფლობელია. თანაც პროკურატურის ცნობა გვაქვს იმის შესახებ, რომ კომბინატს ძარცვის შედეგად 800 000 დოლარიანი ზარალი მიადგა. რა უნდა გავაკეთო? ან პროკურატურაში უნდა მეჩივლა, ან ჭიდაობით დამებრუნებინა - ეს მეორე ვარჩიე და ვერ მოვერიე. ამაში კი დრო, ენერგია და ფინანსები დავხარჯეთ. სხვა საამქროებიც არის ისეთი, რომელზეც ეკონომიკის სამინისტრომ გვითხრა, ჩვენ მივხედავთო - არც ერთი საამქრო არ ამუშავებულა, უპატრონობისგან გაიძარცვა.

**- რას აკეთებს ახლა რეაბილიტაციის მმართველი?**

- სასამართლო გადაწყვეტილებას ველი. გარდა ამისა, ჩხუბის გარდა რაღაც ხომ უნდა გამეკეთებინა?! უნდა შემენახა კოლექტივი და პენსიონრების დიდი ნაწილი. დამერწმუნეთ, ისინი მხოლოდ წყლისა და პურის ფულს ითხოვენ. ბანკიდან სესხი ავიღე. ამ საქმეში ძალიან მომეხმარა პრეზიდენტის სიტყვა და უკრაინაში ვიზიტისას სამთავრობო დელეგაციაში ყოფნა. მისი ხელშეწყობით გაგვეხსნა გზა საქართველოში მეტალოპროდუქციის შემოტანაზე. კომერციული პარტნიორებითა და ჩემი გუნდით, სახელმწიფო ბიუჯეტის არც ერთ ლართან არ მქონია შეხება, ისე შევიტანეთ ბიუჯეტში, დაახლოებით, 900 000 ლარი და 200 000 ლარამდე საპენსიო დავალიანება გავისტუმრეთ.

ამავე პერიოდში სამჯერ შევხვდი უკრაინის პრემიერ-მინისტრს. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი პრეზიდენტის თხოვნა გაითვალისწინეს, ცოტა ქართველური სამეგობრო დამეხმარა, ცოტაც ვიბრძოლეთ. უკრაინაში გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი პრობლემა და საინვესტიციო კომპანიებს დაევალათ, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატისთვის მიეხედათ.

**- ამასობაში, საქართველოში ურთიერთობები დაგეძაბათ და ახლა ისე გამოდის, ქონებისთვის იბრძვით.**

- მართალია, ურთიერთობები დაიძაბა და მეუბნებოდნენ - შენი ადგილი თეატრშიაო, მაგრამ მაინც მოვახერხე ქარხანაში არსებული უკვე ჯართად დაჭრილი ათეულ ათასობით ტონა ჯართის ამოღება. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. დიახ, როგორც რეაბილიტაციის მმართველი და როგორც ინჟინერი, ამ ქონებისთვის მართლა ვიბრძვი, მაგრამ ჩემ გარშემო პოლიტიკა ირევა. თანამებრძოლი პოლიტიკოსები ერთმანეთთან საერთო ენას ველარ პოულობენ და ეს ყველაფერი ჩემზე გადმოვიდა.

**- ამ კონფლიქტში ეკონომიკურ ინტერესებზე მეტად პოლიტიკური ინტერესები ჩანს.**

- ყველანაირი ინტერესია თავმოყრილი. ცხადია, ვინც "მკვდარ" ქარხანას აღადგენს, მას ინტერესიც აქვს. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მუშის ან სახელმწიფოს ხარჯზე. სახელმწიფოს პირველი ინტერესი საკუთარ წარმოებაში ბიზნესწარმატების მიღწევა უნდა იყოს.

**- თქვენც სახელმწიფო ინტერესებისთვის იბრძვით. მთავრობასაც იგივე ამბიცია აქვს, რაზე დავობთ?**

- ეს ვერანაირი ლოგიკით ვერ ავხსენი. დავუჭირო მხარი იმ პარტნიორს, რომელსაც ფული არ აქვს და გვპირდება, რომ რომელიღაც სადაზღვევო კომპანიის, ან საფინანსო ჯგუფის დახმარებით მიაღწევს, რომ იტალიის მთავრობა კრედიტს გამოუყოფს, შემდეგ ამ კრედიტს გერმანიაში ჩადებს და მოწყობილობას მიიღებს?! ეს ხომ აბსურდია?! ეს ყველაფერი ხომ უკვე გავიარეთ და ამის შესახებ სამთავრობო კომისიის დასკვნაშიც წერია, რომ ამ ინვესტორმა აღებული პასუხისმგებლობა ვერ შეასრულა?!

**- ეკონომიკის მინისტრი არ მალავს, რომ ამ პარტნიორმა აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულა და საკომიტეტო მოსმენიდან მაინც მათთან შესახვედრად მიიჩქარის, რატომ?**

- არ ვიცი. რა თქმა უნდა, ეკონომიკის მინისტრი ყველას უნდა ელაპარაკებოდეს. ერთადაც ვისხედით და რუსებს თავის სტილში საკადრისი პასუხიც გასცა. ეს იტალიელები ახლა გამოჩნდნენ. როგორც მე ვარ კორსიკელი, ისე ისინი არიან იტალიელები. მათი ინტერესი გასაგებია - არაფრისგან ამხელა სახელმწიფო ქონებას იგდებენ ხელში. იმაზე გავღიზიანდი, რომ ძალიან უფრთხილდებიან იმ შპს-ების ინტერესებს, რომლებიც არავინ იცის, სად არის რეგისტრირებული და რა ბიოგრაფია აქვთ. თუ პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი ორმოცგვერდიანი დასკვნა მართალია და მეც ვამბობ, რომ ეს ასეა, თუ მთავრობა შეუსრულებელი ვალდებულებების გამო თავის არგუმენტირებულ პრეტენზიებს უყენებდა ინვესტორს, რადგან ქარხანა ჯართად იჭრებოდა, რაც რეაბილიტაციის პროგრამაში არ დევს - სამი თვის მერე ეს ხალხი რანაირად იქცა სერიოზულ საფინანსო ჯგუფად და მე ერთადერთ ხელის შემშლელად?!

**- თქვენი დანიშვნა ხელისუფლებასთან შეთანხმებული იყო?**

- რა თქმა უნდა, ბატონ ზურაბს შევხვდი, ვესაუბრე და ჩემს ინიციატივებს გაგებით მოეკიდა.

**- რა მოხდა ამ ორი თვის წინ ისეთი, რომ ერთ აზრზე მდგომი ორი სახელმწიფო ჯგუფის (თქვენი და ეკონომიკის სამინისტროს) გზები გაიყო?**

- იმიტომ, რომ ჩემი მეგობრები უცბად გარკვეული პოლიტიკური ძალების მტრებად იქცნენ. მიმაჩნია, რომ ბიზნესინტერესები და პოლიტიკა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა არ უნდა დააყენო. ჩემს უკან რამდენიმე ათასი ადამიანი დგას და ეს ხალხი იგივე სახელმწიფოა. ხალხი ჯერ ჩემზე გამწარდება, მერე ადგილობრივ ხელისუფლებაზე, მერე უმაღლეს ხელისუფლებაზე და ასე წავა უკმაყოფილების ჯაჭვი.

როდესაც ეკონომიკის მინისტრი ხან თბილისში და ხან მოსკოვში მრავალჯერ ხვდება უცხოელ პარტნიორებს, მის მისაღებში ჩემი ორსაათიანი ლოდინი სამწუთიანი შეკამათებით მთავრდება. პარლამენტის თავმჯდომარესაც მივმართე, რათა საკომიტეტო მოსმენა ჩაეტარებინა. მან ეს შესაბამის კომიტეტებს დაავალა. ამ სხდომაზე მართლაც შემეხნენ იმით, რომ ვიღაცამ იკითხა, ქაშაკაშვილს აქ რა უნდაო... სხდომა ისე მთავრდებოდა, მეტალურგიის საკითხის წამოწევას არავინ აპირებდა, რომ არა შეკითხვა დიდი გიგანტების პრივატიზების შესახებ. როგორც ბატონმა მინისტრმა თქვა, მას სწორედ იმ დღეს ჰქონდა შეხვედრა სერიოზულ ინვესტორებთან, იტალიურ ჯგუფთან, რომელთაც სწორედ იმ დღეს უნდა შემოეთავაზებინათ პროგრამა. რეაბილიტაციის მმართველი ვარ და ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ვთქვათ, მე არ მოვწონვარ, ხომ არის დირექტორი, ის მაინც მიეწვიათ... სამინისტროს სტრატეგია ასეთი იყო - პროექტებს არ განვიხილავთ, რადგან ქარხანას პრივატიზებაზე ვუშვებთო. ამიტომ რამდენიმე პარტნიორის, მსოფლიოში ცნობილი ფირმების მომზადებული პროექტი საერთოდ არ განიხილეს. თუ განხილვაა, ყველა უნდა განიხილონ, თუ პრივატიზაციაზეა საუბარი, საქმის კურსში ხომ უნდა ჩაგვაყენონ?!

**- გუმათჰესის თემამაც წამოიწია, დეტალებს ხომ ვერ გაგვიმხელთ?**

- ეროსი კიწმარიშვილის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეობის დროს მართლაც ვიყავით ბატონ კახასთან. ვთხოვე, იქნებ წვრილსორტული გლინვის საამქროს, რომელიც რამდენიმე მილიონიან მოგებას მოგვიტანდა, პირდაპირი ხელშეკრულება დაედო გუმათჰესთან. მაშინ კახამ ყველაფერი გაიგო, მაგრამ მერე გადაწყვეტილება შეცვალა.

ხელშეკრულება გუმათჰესთან ჩემამდე რამდენიმე წლით ადრე იყო გაფორმებული. ქარხნის დირექტორთან ერთად მას ხელს აწერს "გუმათჰესების კასკადი"-ს, "ელექტროგადაცემის", ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, ელექტროდისპეტჩერიზაციის და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობა. მაშინ, უბრალოდ, მომიმზადეს წერილი და მითხრეს, იქნებ უფრო დიდი ხნით გაგვეფორმებინა ეს ხელშეკრულება, რადგან პირდაპირი წესით ელექტროენერგიის გაყიდვა გუმათჰესსაც აძლევდა ხელს - მას დავალიანება ჰქონდა და ქარხნიდან საფასურს თავისუფლად იღებდა. ეს აგრეთვე ხელს აძლევდა ქარხანასაც, იმიტომ, რომ იაფად მიიღებდა ელექტროენერგიას. ასე მუშაობს ჭიათურა, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვა.

რა მოითხოვა რეაბილიტაციის მმართველმა, თუნდაც სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ და რუსთავის "აღორძინების სამთავრობო კომისიის" თავმჯდომარის მოადგილემ (თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრია). ქარხანა სახელმწიფოსი უნდა გახდეს, ეს აუცილებელია. სხვაგვარად სახელმწიფო ვერანაირად ვერ ჩაერევა, იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში საბუთები გაყალბდა და სახელმწიფო ქონება მოიპარეს. ქარხანა ტენდერზე უნდა გავიდეს და ვინც ყველაზე ძლიერი კომპანია იქნება, იმან უნდა მართოსო. მაგრამ, რადგანაც ეს ჩვენ ვთქვით და არა სხვამ, ჩვენს ინტერესად მოინათლა და ამიტომ ქარხანა პირდაპირი წესით უნდა გაიყიდოს... მე იმიტომ მოვექეცი დარტყმის ქვეშ, რომ ამ "მშვენიერი" გადაწყვეტილების აღსრულებას რეაბილიტაციის მმართველი უშლის ხელს. რეაბილიტაციის მმართველმა უნდა მიმართოს სასამართლოს, სხვაგვარად ვერანირი სქემით ეს ვერ მოხერხდება. ეს ყველაფერი კი ორი თვის წინ დაიწყო - ისინი, ვისაც სახელმწიფო იჭერდა იმიტომ, რომ ქონება გაასხვისეს, ისინი, ვინც უსუსურობა გამოიჩინა, გაერთიანდნენ და ყველა აქეთ მიტევს.

ეკონომიკის მინისტრს ასეთი რეაქცია ჰქონდა - თქვენი განთავისუფლების საკითხი ფინანსთა მინისტრისა და პრეზიდენტის წინაშე დავაყენეო... ფინანსთა სამინიტროს წინაშე რატომ დააყენა? მე, როგორც თეატრის დირექტორმა, ბიუჯეტში 700 000 ლარი შევიტანე და არც თეატრი ჩამიდია გარანტიაში. რომელი კულტურული დაწესებულება აკეთებს ამას?

**- კანონით, თქვენი თანამდებობიდან გაშვება ვის შეუძლია?**

- კრედიტორებმა უნდა დააყენონ საკითხი, ან - პირდაპირი ლიკვიდაციით. თუ იმის პოლიტიკური ნებაა, რომ ქარხანა რომელიღაც ოფშორს უნდა მისცე - დამიწერონ. სხვაგვარად იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდები, რაშიც ქარხნის წინა ხელმძღვანელობა იყო, რომელსაც პირდაპირი პრესის ქვეშ აწერინებდნენ ხელს დოკუმენტებზე.

**- ამ ოფშორების უკან ვინ დგას?**

- 1997 წლიდან იყო "კილიგარდი", რომელმაც 2001 წელს შემოსულ "არესს" უჩივლა. ამ ფირმების უკან მოხსენიებულები არიან ყოფილი პრეზიდენტის ოჯახიც, მამალაძეც, ლობჟანიძეც და სხვა. და ყოველდღე კიდევ ახალ-ახალ სახელებს ვიგებ.

**- რისი იმედი გაქვთ?**

- იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო თავის 126 მილიონზე უარს არ იტყვის. რომელიმე მხარემ ჩივილი რომც გადაიფიქროს, სარჩელს უჩვენოდ უკან ვერ გამოიტანენ.

**- რატომ არ უნდა ეკონომიკის მინისტრს ტენდერი, რატომ ემხრობა ღია წესით გაყიდვას?**

- ის არაორდინარული პიროვნებაა.

**- ეს, ალბათ, საინტერესოა, მაგრამ ის მინისტრია.**

- მე რომ მეთქვა, მოდით, ბატონო კახა, პირდაპირ მივყიდოთო, ის აუცილებლად ტენდერს ამჯობინებდა. ჩემი აზრით, ДУХ ПРОТИВОРЕЧИЯ აქვს.

პრესიდან შევიტყვე, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც პარლამენტის სხდომაზე იჯდა, "ურალმაშის" ერთ-ერთი დირექტორი ყოფილა, რომელთან ერთადაც იტალიურმა მხარემ წარმოადგინა პროექტი და თან იტალიურ ენაზე.

**- ეპისტოლარულმა ჟანრმა არ გაგიმართლათ - მინისტრს სამი უპასუხო წერილი მისწერეთ. სასამართლო ჭიანურდება, რას აპირებთ?**

- თუ მოინდომეს, რა თქმა უნდა, მომხსნიან. მინისტრი წონითაც მჯობნის, ზომითაც, პოზიციებითაც და მატერიალური ზურგითაც, მაგრამ მინდა მოვისმინო, მიზეზად რას მეტყვიან. რეაბილიტაციის პროცესი მშვენივრად მიდის, სპექტაკლები იდგმება, ბიუჯეტში ფული შედის, არავისთვის ერთი კაპიკიც არ გამოგვირთმევია, პლუს 500 პენსიონერიც შევინახეთ. ეს ჩვენი თავდადებული შრომით და, ტრაფარეტულ ნათქვამად არ ჩამითვალოთ, პრეზიდენტის დიდი მხარდაჭერით.

**- მთამსვლელი ხართ. მთაში მსგავსი ბრძოლა გადაგხდენიათ?**

- როგორ არა. იქაც არის ნაპრალები, ბევრი მოულოდნელობები, ზვავები... მაგრამ მთაში ბრძოლა გაძლების თვალსაზრისითაა გაცილებით რთული და არა ემოციების თვალსაზრისით. აქ სულელური წერილების წერით დავიღალე. ამ რეჟიმში ზუსტად ერთი წელი შემიძლია გავძლო, მეტი ვერა.

**- თოკი თუ არ გადაგიჭრეს...**

- ჰო. ორჯერ შევხვდი პრემიერს, ორჯერ მკითხა პრეზიდენტმა, რა პრობლემები გაქვსო...

**- თქმა მოასწარით?**

- კი. ეს ყველაფერი რამდენიმე თვის წინ მოხდა. ამ ინერციით მოვდივარ დღემდე. ცხადია, პრეზიდენტი ეკონომიკურ სქემებს არ უნდა არჩევდეს, მაგრამ სახელმწიფოში ვიღაცა ხომ უნდა დაინტერესდეს ჩვენი პრობლემებით?! მე თუ არა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ხომ შეუძლიათ, ჰკითხონ?! შეუძლია, ინგლისურადაც გიპასუხოთ, გერმანულადაც, რუსულადაც და უკრაინულადაც.

**- სამწუხაროა, მაინცდამაინც იტალიური არ იცის.**

- ჰო, ასეთი ბედი გვაქვს. ახლა თუ ქარხანა რომელიმე ოფშორულ ფირმას გადაეცემა, შემდეგი ექვსი თვე დავისვენებ და ახალი ძალებით დავიწყებთ ბრძოლას. ექვს თვეში ნათელი გახდება, რამდენად მართალი ვიყავი. ჩემთვის მაშინდელი შეფასება უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე დღევანდელი ინტრიგებისგან დაღლა და დაქანცულზე რომელიმე დოკუმენტზე ხელის მოწერა. რასაკვირველია, ეს არ მომიწევს.

**- გურამ ქაშაკაშვილი რას ამბობს ამ ყველაფერზე?**

- მას ეს გავლილი აქვს. როდესაც ეგეთი პირობები შემიქმნეს, ქარხნიდან წამოვედიო, თქვა.

**- მამას ჰგავხართ?**

- ამაში ნამდვილად არ ვგავარ.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ცხოვრებისეულია. ყველაზე ნაკლებად რუს იტალიელებზე მწყდება გული. იტალიის მთავრობა რომ მხარს მიჭერდეს, ალბათ, მეც ასე ვიბრძოლებდი. იმაზე მწყდება გული, რომ ქართველები დავუპირისპირდით ერთმანეთს. ბიზნესშიც რომ ასეთი ვირტუოზები იყვნენ, პრობლემა არ იქნებოდა.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
დევიდ გერი
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"ელექტრონული დედამიწა - თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი"

**ქარვასლა**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
შვეიცარელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

პოლ კალჰუნის (აშშ) და მისი მოწაფეების ფოტონამუშევართა გამოფენა "ხელოვნება დაუცველთათვის"

"მშვიდობა და არა ძალადობა"
თანამედროვე ქართველი ფოტოგრაფების აქცია-გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
"თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში"

## კინოთეატრები

**ამირანი**
"შრეკი 2"
დას: 14:00; 16:00; 18:00; 20:00 სთ

"სტეპფორდელი ცოლები"
დას: 22:00 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# „მაკულატურა„ ათ ინტიმურ აქტზე

თეონა ჯაფარიძე

პრემიერის გადადების შემდეგ "თეატრალურმა სარდაფმა" თავისი მორიგი თეატრალური სეზონი ინტიმის თემით გახსნა. რეჟისორმა ოთარ ეგაძემ აირჩია დევიდ გერის "პიესა ათ ინტიმურ აქტად", რომელიც არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვითაა შექმნილი.

თეატრის სცენაზე გათამაშებულ ათ ინტიმურ აქტს რუსთაველზე "სარდაფში" პრემიერის პირველ დღეს, როგორც ეს მიღებულია, მხოლოდ თეატრალური პუბლიკა, პრესა და შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები (კულტურის სამინისტროს ვგულისხმობ და არა სხვა რამეს) დაესწრნენ.

ინტიმური აქტი პოლიტიკოსისა თუ ტაქსის მძღოლისთვის ინტიმური აქტია. მათ პარტნიორებიც ერთი და იგივე შეიძლება ჰყავდეთ. აქტის შემდეგ ისინი "მორალსაც" ზუსტად ერთნაირი პათოსით "უკითხავენ" უბრალო მეძავსა თუ გათხოვილ ქალებს. ოღონდ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ინტიმური აქტი პოლიტიკოსთან უფრო რესპექტაბელურია მდიდრულ სასტუმროებში, ვიდრე ტაქსის მძღოლთან მდინარის პირას ან მანქანის სალონში:

**"- ცხოვრებაში რას აკეთებ?**

**- პოლიტიკოსი ვარ. სახელმწიფოს მართვაში ვმონაწილეობ.**

**- ვა, რა მაგრობაა."**

ეს პიესის პერსონაჟების - პოლიტიკოსისა და მეძავის დიალოგია. მაგრამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი მაინცდამაინც დიდ აქცენტს არც პოლიტიკოსთა მორალზე აკეთებს და არც გენდერულ პრობლემებზე. ამ პოპულარულ თემებს, ვფიქრობ, ის შეგნებულად უვლის გვერდს და ისევ თეატრალური ფორმების ძიებითაა გართული. ეს სპექტაკლის დასაწყისშივე, პირველივე ფრაზებიდან იგრძნობა. რეჟისორი წამყვანის პრაქტიკას მიმართავს: სცენაზე მსახიობი დუტა სხირტლაზე გამოდის, გვეუბნება, რომ ის დიმიტრი სხირტლაძეა და სიტუაციაში გვარკვევს:

"მოგესალმებათ "თეატრალური სარდაფი". პიესა ერთმოქმედებიანია, მაგრამ მას ჩვენ ორ მოქმედებად წარმოგიდგენთ. პირველ აქტს "ტაქსის მძღოლი და მეძავი გოგონა" ჰქვია. მოქმედება ქალაქში ხდება. სცენის ორივე მხარეს დამაგრებულ ვიდეომონიტორზე თქვენ ქალაქის ხედებს ხედავთ. წარმოიდგინეთ რომ ქუჩაში ხართ." - გვიხსნის დუტა.


იური ლობოდინის ფოტო

წამყვანი დაახლოებით ასეთ ინსტრუქციებს ყოველი აქტის შემდეგ იძლევა. წინ სულ ათი აქტია. მაყურებელი, მიუხედავად მსუბუქი თემისა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ნელნელა გრძნობს, რომ იღლება. სპექტაკლი დროში მეტად იჭიმება. თუმცა პირველ მოქმედებაში არტურ შნიცერის თუ დევიდ გერისეული ნოველები "ინტიმურ აქტებზე" საკმაოდ ტემპში ცვლის ერთი-მეორეს. ყოველი ინტიმური აქტის ბოლოს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მუსიკა ჟღერს, სწორედ ის, კუბრიკის "მექანიკური ფორთოხლის" გმირს, ალექსს აქტის დროს რომ აღაგზნებდა.

ჩემი აზრით, რეჟისორმა "მექანიკური ფორთოხლის" ეკრანიზაციის გარდა, სპექტაკლზე მუშაობის დროს კინოს სხვა ხელწერაც გაიხსენა: მსახიობთა თამაში, დიალოგები, ერთი შეხედვით, გამარტივებულია და პირობითობამდეა დაყვანილი. ბუტაფორიულობა პირიქით, მაღალ ხარისხშია აყვანილი და მდარე ხარისხის კლუბების საწყობებში გათამაშებული ინტიმური აქტების ფონს იძლევა. თამაშის ასეთმა ფორმამ სულ ცოტათი შესაძლოა ტარანტინოს "მაკულატურაც" კი მოგაგონოთ. ყოველ შემთხვევაში, რეჟისორის მხრიდან ამის მცდელობა ნამდვილად იგრძნობა, მაგრამ თეატრი ხომ კინო არ არის და ასეთი ხერხი იმის დიდ რისკს იძლევა, რომ ყველაფერი "სოფლის კლუბში" გათამაშებულ საპნის ოპერას დაემსგავსოს.

ახალი ისაა, რომ ახლმა თეატრალურმა სეზონმა ახალგაზრდა მსახიობი - არჩილ სოლოღაშვილი წარგვიდგინა. პუბლიკამ ეს ახალი სახე დიდი სიამოვნებით მიიღო. მან ღირსეული პარტნიორობა გაუწია ძველებს და პროფესიონალებს - ნანკა კალატოზიშვილს, დუტა სხირტლაძესა და გიორგი მეგრელიშვილს.

სულ ეს არის.

# მეცნიერება ბავშვებისთვის

## ხალხმრავლობა ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში

ვერა ნეფარიძე

*მუზეუმი არ არის მხოლოდ მეცნიერებისთვის; ის უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისთვის მიმზიდველი და საინტერესო, - უკანასკნელ თვეებში ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ცდილობენ, გარდაქმნები ამ მიმართულებით წარმართონ. შედეგიც სახეზეა: ამ მოკლე ხანში საზოგადოება მუზეუმის განახლებულ ეზოში იმდენჯერ შეიკრიბა, რამდენჯერაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთად აღებული არ ახსოვს ქართული მეცნიერების კერას. ხალხმრავლობა მუზეუმის ეზოსა და განახლებულ საგამოფენო დარბაზებში გუშინაც იყო.*


ვახო ბესელიას ფოტო

"ჩვენთვის დღეს პირველი სექტემბერია. ჩვენს მუზეუმს 150 წლის ისტორია აქვს. მასში ინახება საქართველოს საგანძური, მაგრამ ესეც არაფერი იქნებოდა, თუკი მას მომავალი არ ექნა. მუზეუმი ყველასთვისაა. თქვენი აქ ყოფნა ადასტურებს, რომ მეცნიერება საჭიროა. მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ ამდენ სტუმარს რომ ვხედავ", - სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე ამგვარად მიესალმა ეზოში შეკრებილ საზოგადოებას. სტუმრები კი სხვადასხვა რანგის იყვნენ: განათლების მინისტრი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, პირველი ლედი ვაჟიშვილთან ერთად, პრემიერ-მინისტრის მეუღლე და მოსწავლეები.

მუზეუმში გუშინ ოთხი წლის განმავლობაში გამოკეტილი საგამოფენო დარბაზი გაიხსნა, მათ შორის ერთი დმანისის აღმოჩენების შედეგად გაკეთებული ექსპოზიციით. იმის გარდა, რომ ამიერიდან მოსწავლეები კვლავინდებურად გაეცნობიან დარბაზებში წარმოდგენილ არქეოლოგიურ აღმოჩენებს, მათთვის მუზეუმი ახალ დატვირთვას შეიძენს. ეზოში მოწყობილი მოედანი არქეოლოგიური გათხრების იმიტაციას წარმოადგენს. ისინი აქ ისწავლიან არქეოლოგებისთვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებას, გაივლიან არქეოლოგიური გათხრების "პრაქტიკას", - ერთი სიტყვით მუზეუმის თანამშრომლები შეეცდებიან, ბავშვები მათთვის მიმზიდველი ფორმითა და ხერხებით დაახლოვონ არქეოლოგიასთან.

მუზეუმის წამოწყებას გუშინვე დახმარება აღუთქვა განათლების მინისტრმაც. ალექსანდრე ლომაიას თქმით, მომავალ წელს სამინისტრო დაიწყებს კვლევითი საქმიანობის განვითარების პროგრამას, სადაც მნიშვნელოვან ადგილს სწორედ არქეოლოგიური კვლევები დაიკავებს. "მადლობა ყველაფრისთვის, რასაც აქ აკეთებთ. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მეცნიერება", - მუზეუმის ხელმძღვანელობამ განათლების მინისტრის მადლობა მიიღო. "მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ცდილობს, მომავალ თაობას შეაყვაროს მეცნიერება და მიაჩვიოს მას", - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გუშინ მინისტრის პირველი მოადგილე გუგა სულხანიშვილი წარმოადგენდა.

პრეზენტაციის შემდეგ სტუმრები პატარა არქეოლოგების პირველ "აღმოჩენებს" დაელოდნენ. გვიან საღამომდე კი მუზეუმის ყველა სტუმარი განახლებულ საგამოფენო დარბაზებს ათვალიერებდა. ამ დარბაზებში ახლად შეძენილი პირველი ევროპელების - ზეზვა, და მზიას ასლების გარდა, კვლავინდებურად არის შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდების არქეოლოგიური მასალისგან (ჭურჭელი, სამეურნეო იარაღი, საყოფაცხოვრებო საგნები ად ა.შ.) შექმნილი ექსპოზიციების დათვალიერება. მათ შორისაა დმანისელი ჰომინიდების კოლექცია, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე თავის ქალით თუ ჩონჩხის ფრაგმენტებით.

# მშვიდობა ფოტოზე და ფოტოს მიღმაც

დესი დაშკოვა

უკვე ორმოცდაათი წელია, ყოველ 21 სექტემბერსა და პირველ მარტს მშვიდობის ზარი რეკავს. ეს ზარი 1954 წელს მსოფლიოს 60 ქვეყნის ბავშვების მიერ შეგროვებული მონეტებისგან ჩამოისხა და საჩუქრად გაეროს გადაეცა. 21 სექტემბერი 2001 წლის 7 სექტემბერს გენერალურმა ასამბლეამ მშვიდობის დღედ გამოაცხადა. ეს დღე აღინიშნება ცეცხლის გლობალური შეწყვეტით, ძალადობაზე უარის თქმით. ეს დღე არის 24 საათი იმისათვის, რომ შუამავლებმა შეძლონ ზავის გახანგრძლივება, ხოლო კონფლიქტში მონაწილე მხარეები კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ რამდენად მიზანშეწონილია ძალადობის გაგრძელება.

გუშინ ქარვასლაში აქცია გაიმართა დევიზით "მშვიდობა და არა ძალადობა". აქციის მიზანია, რომ გავერთიანდეთ, ერთად აღვსდგეთ ყველა სახის ძალადობის წინააღმდეგ და მხარი დავუჭიროთ მშვიდობის კულტურის პოპულარიზაციას - განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ელენე რუსეცკიმ.


ვახო ბესელიას ფოტო

აქციაში მონაწილეობდნენ პროფესიონალი ფოტოგრაფები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან, ავსტრიიდან; საქართველოს ტექსტილის ჯგუფი GTG; ფოლკლორული ანსამბლი "ოქროს სტუმრები" - ხალხური სიმღერები საქართველოში მოღვაწე უცხოელთა შესრულებით; "კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი" - ლადო ბურდული და მისი მეგობრები; ანა კონტრიძე - ინდური ტაბლა; ლევან სიხარულიძე - ავსტრალიური საკრავი დიჯერიდუ.

ღონისძიება განახორციელა ქალთა საინფორმაციო ცენტრმა, მარტოხელა მშობელთა ასოციაციასთან და სამხრეთ კავკასიის გენდერულ საინფორმაციო ქსელთან თანამშრომლობით. ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერები არიან ჰოლანდიური ფონდები MAMA CASH და IKV.

გუშინვე თბილისური ფოტოგამოფენის ტყუპისცალი მოეწყო ამსტერდამში.

ფოტო, მუსიკა, წიგნი, აბრეშუმი... მშვიდობის ეს სიმბოლოები გუშინდელი აქციის ატრიბუტებს წარმოადგენდნენ.

18 ფოტოხელოვანის სამოცი ნამუშევარი ცალ ცალკე და ყველა ერთად ძალადობის საწინააღმდეგო გამოსვლაა. ღირსებაშელახული ქალები და კაცები ქუჩაში, დანგრეული და დანგრევის პირას მისული ოჯახები, დაობლებული და უფლებააყრილი ბავშვები... ეს ყველაფერი ძალადობაზე, ომზე, ნგრევაზე უარის თქმისკენ მოუწოდებს მსოფლიოს, როგორც აქციის მონაწილეებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ყველა ფოტო მნახველს ომსა და მშვიდობას, ძალადობასა და არაძალადობას შორის არჩევანის საშუალებას არ აძლევს.

საგამოფენო დარბაზში მოეწყო გამოფენის ფოტო-ალბომის გაყიდვაც.

აქციაზე მსმენელმა არატრადიციულ საკრავებსაც მოუსმინა: ინდურ ტაბლაზე უკრავდა ანა კონტრიძე, ხოლო ავსტრალიურ დიჯერიდუზე ლევან სიხარულიძე. ეს დიჯერიდუ, თუ ვინმემ იცის, ქართულ ღოროტოტოს ჰგავს, დიდი საყვირია. "აქ ვერსად ვიშოვე და ჩემით დავამზადე, რა თქმა უნდა, ყველა პარამეტრის დაცვით" - თქვა ლევან სიხარულიძემ.

ინდური და ავსტრალიური საკრავების ექსპრომტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აქციის მიზანს - მშვიდობას საზღვარი არა აქვს და მშვიდობის კულტურა უმთავრესია, რაც უნდა განავითაროს კაცობრიობამ.

# დაიწყება ქართულ-ინდური ფილმების წარმოება

საქართველოში მალე ერთობლივი ქართულ-ინდური ფილმების წარმოება დაიწყება, ამის შესახებ გუშინ სასტუმრო "დიპლომატში" გამართულ პრესკონფერენციაზე ინდოეთის კინოკომპანია "ბოლივუდის" გენერალურმა დირექტორმა არუნ კიმარმა განაცხადა.

მისი თქმით, თბილისში დაგეგმილია ახალი მრავალდარბაზიანი კინოკომპლექსის აშენება, ან ერთ-ერთი დანგრეული კინოთეატრის რეკონსტრუქცია.

"თანამედროვე ინდურ ფილმებში სხვადასხვა ქვეყანაში გადაღებულ მუსიკალურ ნომრებს სვავენ, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს ფილმის ყურებისას სხვადასხვა ქვეყნის ლამაზ ქალაქებში იმოგზაუროს, მათ შორის საქართველოში" - აღნიშნა "ბოლივუდის" გენერალურმა დირექტორმა.

*ინტერ-პრესი*

# მესტიის მუზეუმზე სახელმწიფო იზრუნებს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი კახა ტრაპაიძე და სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ექსპერტებმა სვანეთში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდგომარეობის წინასწარი შესწავლა დაიწყეს.

"უნიკალური ექსპონატები და XII-XIII საუკუნის ხატები, რომელიც ამ მუზეუმშია მოთავსებული, სასწრაფოდ საჭიროებს შესაბამისი კლიმატური რეჟიმით უზრუნველყოფას. სპეციალისტებმა ადგილზე უკვე დაიწყეს შესაბამის პროექტზე მუშაობა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება", - განაცხადა კახა ტრაპაიძემ.

*მედია-ნიუსი*

# ბილი ჯოელის დღე ჰოლივუდში

ცნობილ კომპოზიტორსა და მომღერალს ბილი ჯოელს ჰოლივუდის დიდების ხეივანში ერთი ვარსკვლავი ერგო. "ამაზე მაშინ ვფიქრობდი, როდესაც Say Goodbye to Hollywood-ს ვწერდი. ახლა კი სამუდამოდ დავრჩები აქ", - უთხრა მომღერალმა ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს.

ლოს ანჯელესის თეატრში, მუსიკოსის სახელობის ახლადგაბრწყინებული ვარსკვლავის მოპირდაპირე მხარეს გუშინ მიუზიკლი Movin' Out მიმდინარეობდა. წარმოდგენა ჯოელის სიმღერების საფუძველზეა დადგმული. მსოფლიოს მასშტაბით ბილი ჯოელის ფირფიტების 100 მილიონზე მეტი ასლია გაყიდული. მუსიკოსი "გრემის" ექვსგზის ლაურეატია, ხოლო 1999 წელს მისი სახელი როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში გამოჩნდა.

ჰოლივუდის დიდების ხეივანის ისტორია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. ხეივანში პირველად მსახიობ ჯოან ვუდვარდის ვარსკვლავი გამოჩნდა. პირველი 16 თვის განმავლობაში აქ შოუბიზნესის 1558 ცნობილ სახეს ერგო ვარსკვლავი. ხეივანს ყოველთვიურად ორი ვარსკვლავი ემატება. იმის გარდა, რომ ხეივანში უკვდავსაყოფად ადამიანს სხვადასხვა სფეროში უნდა ჰქონდეს წარმატება მიღწეული, ისინი დაახლოებით 11 ათას ამერიკულ დოლარსაც იხდიან. როგორც ამბობენ, ეს თანხა ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალის ხარჯებს ფარავს.



# საქართველო ჟული ბერტუჩელის თვალით

ნესტან ნიჟარაძე

არც ჟული ბერტუჩელის და არც მის ფილმებს საქართველოში ჯერ არ იცნობენ, მიუხედავად იმისა, რომ ფილმი, რომელმაც მას საფრანგეთში დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა, სწორედ საქართველოშია გადაღებული.

"მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა" 36 წლის რეჟისორის პირველი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმია. მანამდე კი ჟული ბერტუჩელის, ცნობილი ფრანგი რეჟისორის ჟან-მარი ბერტუჩელის შვილს, ფრანგი და ევროპელი მაყურებელი რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ავტორად იცნობდა.

2003 წლის კანის ფესტივალის კრიტიკის კვირეულზე ნაჩვენები მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა" მთავარი პრიზით ჯილდოვდება. კანს დოვილის ფესტივალის ჯილდო, ნიუ იორკის ფილმების, ვენის, მონრეალის და სხვა მრავალი ფესტივალის პროგრამაში მონაწილეობა და პრიზები, ხოლო იმავე 2003 წელს საუკეთესო პირველი ფილმისთვის "ცეზარიც" მოჰყვა, რომლის მიღებაზეც ჟული ბერტუჩელიმ უარი განაცხადა.



*კადრი ფილმიდან "მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა". მთავარი როლის შემსრულებლები: ესტერ გორენტენი, ნინო ხომასურიძე და დინარა დრუკაროვა.*

ფილმი, რომელიც ახალგაზრდა ფრანგმა რეჟისორმა საქართველოში და საქართველოზე გადაიღო, ჯერჯერობით ქართველ მაყურებელს არ უნახავს. და მიუხედავად ამისა, ან, სწორედ ამიტომ, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ვიდრე ქართველ მაყურებელს ამ ფილმის ნახვის შესაძლებლობა მიეცემა, ქართველ მკითხველს მაინც ვაცნობოთ მისი არსებობის ფაქტი და მისი ავტორიც წარვუდგინოთ.

ისევე როგორც ჩვენთან შეხვედრისას, ფილმის პრეზენტაციისას, ყველგან ჟული ბერტუჩელი პირველ რიგში საქართველოში მიღებული წარუშლელი და ღრმა შთაბეჭდილებების შესახებ საუბრობს. საუბრობს ყველაფერ იმაზე, რამაც პირველი მხატვრული ფილმის გადაღება სწორედ საქართველოში გადააწყვეტინა; საუბრობს ქართველ მეგობრებზე და იმაზეც, თუ რა არის ესოდენ მომხიბლავი ქვეყანაში, რომლის რეალობაც, ჩვეულებისამებრ, უცხო თვალისთვის იმაზე უფრო მეტად მიუღებელი და რთული გასაგებია, ვიდრე თავად ქართველებისთვის, რომლებსაც ამ რეალობაში ცხოვრება უხდებათ.

ფილმი ერთი ჩვეულებრივი ქართული ოჯახის ცხოვრების ისტორიაა. ყველაფერი, რაც ფილმში ხდება, ხდება მას შემდეგ, რაც იგივე ოჯახის კიდევ ერთი წევრი - ოთარი წავიდა. ოთარი მრავალი სხვა ქართველის მსგავსად სხვა ქვეყანაში წავიდა. როგორც ხდება ხოლმე, ფილმის პერსონაჟები თავიანთ ოთარს ელოდებიან, მასზე დარდობენ და... მის გამო ერთმანეთს ატყუებენ კიდევაც და ოთართან დაკავშირებულ საიდუმლოში ერთმანეთს ბოლომდე არ უტყდებიან. ბუნებრივია, ფილმის სიუჟეტი რეალურ ისტორიას ეყრდნობა. ამ ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ისტორიის, უფრო სწორად კი, ერთი ოჯახის სამი თაობის ქალების - ბებიის, დედის და შვილიშვილის - ურთიერთობების ფონზე ჟული ბერტუჩელი დღევანდელი საქართველოს სურათს ქმნის.

## და მაინც რატომ საქართველო?

"ბავშვობიდან უფრო რუსული კულტურით და ენით ვიყავი გატაცებული, ამბობს ჟული ბერტუჩელი. ბებიაჩემი მეორედ რუს კომპოზიტორ ნიკოლაი ნაბოკოვზე დაქორწინდა, რომელიც ვლადიმერ ნაბოკოვის ბიძაშვილი იყო. ბავშვობაში იმასაც კი ვამბობდი, რომ ბაბუაჩემი ნაბოკოვი იყო და ყველა, რა თქმა უნდა, მწერალ ნაბოკოვზე ფიქრობდა. ვსწავლობდი რუსულსაც და გადაღებებზე ხშირად დავდიოდი რუსეთში - მოსკოვში, ლენინგრადში. ვიდრე..." ვიდრე ოთარ იოსელიანის ფილმზე "ყაჩაღები" ასისტენტად მუშაობამ ჟული ბერტუჩელის საქართველოში პირველად ჩამოსვლის შესაძლებლობა მისცა. ეს კი 1995 წელს მოხდა - ქვეყნისთვის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში. სამოქალაქო ომის კვალი ჯერ კიდევ ძალიან მკაფიოდ აჩნდა ქალაქსაც და ხალხსაც. "ძალიან რთული იყო იმის გაცნობიერება, რომ ეს ლამაზი, უაღრესად კულტურული, განათლებული და სიცოცხლეზე შეყვარებული ადამიანები ესოდენ მძიმე სიტუაციაში იმყოფებოდნენ. თუმცა, ჩემი აღფრთოვანება სწორედ იმან გამოიწვია, რომ დავინახე, როგორი ღირსებით იტანდნენ დიდ გაჭირვებას ჩემი ქართველი მეგობრები. ისიც კი მახსოვს, რომ ადამიანები სიცივის და უტრანსპორტობის პირობებშიც თეატრში ფეხით დადიოდნენ და ხშირად სანთლის შუქზე გამართულ სპექტაკლებს ესწრებოდნენ. მსახიობები კი ამ სპექტაკლებს უფასოდ თამაშობდნენ. და მაშინ მივხვდი, რომ ესოდენ რთული პირობები ქართველების დიდმა ნაწილმა სწორედ უაღრესად ღრმა შინაგანი კულტურის ხარჯზე გადაიტანა."

საქართველო ჟული ბერტუჩელიზე წარუშლელ კვალს და დიდ გავლენას ახდენას და მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას, რომ თბილისში იგი კიდევ არაერთხელ დაბრუნდება. ეს დაბრუნება კი 2002 წელს შედგა - ახალგაზრდა რეჟისორის პირველი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის "მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა" გადაღებებზე.

## დოკუმენტურიდან მხატვრულ კინომდე

ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ, ჟული ბერტუჩელი კინოში ცდის საკუთარ ძალებს და ასისტენტად იწყებს მუშაობს ჯერ ბერტრან ტავერნიესთან და კშიშტოფ კიშლოვსკისთან, შემდეგ კი ოთარ იოსელიანთან და კამბოჯელ რეჟისორ რიტი პანთან. 1993 წელს აბარებს "ვარანის სახელოსნოში", სადაც დოკუმენტური კინოს სპეციფიკის შესწავლას იწყებს. კურსის დასრულებისთანავე იღებს დოკუმენტურ ფილმს პარიზის მესაფლავეების შესახებ ("ჩვეულებრივი ისტორია"), რომელიც დაუყოვნებლივ ჯილდოვდება რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის პრიზით და ახალგაზრდა დოკუმენტალისტის სავიზიტო ბარათიც ხდება. 1994-2002 წლებში მუშაობს ხუთი დოკუმენტური ფილმის პროექტზე და ფრანგული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი აღიარებლი ავტორიც ხდება. 2003 წელს კი პირველ მხატვრულ ფილმსაც იღებს.



*ფილმის რეჟისორი ჟული ბერტუჩელი.*

## ოთარ იოსელიანი

"იგი ერთ-ერთი იმ რეჟისორთაგანია, რომელმაც ჩემზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, ამბობს ჟული ბერტუჩელი. მისი კინემატოგრაფიული მეთოდის სპეციფიკა ჩემთვის უაღრესად ახლობელია. სწორედ ოთარის წყალობით მოვხვდი პირველად საქართველოში და "ყაჩაღებზე" ასისტენტად მუშაობისას, თბილისში ექვსი თვე ვიცხოვრე. სწორედ მაშინ შემიყვარდა საქართველო და თბილისიც. თუმცა, თბილისი ჯერ კიდევ იოსელიანის ფილმებში და მის ფილმებთან ერთად შემიყვარდა."

როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა ჟული ბერტუჩელიმ, ოთარ იოსელიანთან მუშაობის სიამოვნების გარდა, მასთან ერთად თბილისის გაცნობასაც სულ სხვა ხიბლი ჰქონდა. "იგი ბევრს გვესაუბრებოდა ქალაქზე, თავისი ბავშვობის საყვარელ ადგილებს გვაჩვენებდა, გვაცნობდა ძალიან საინტერესო ადამიანებს. ისევე როგორც მის ფილმებში, ქალაქის ძველ უბნებში სეირნობისას ღია ფანჯრებიდან ფორტეპიანოს ხმა გვესმოდა. ვნახე ბევრი ისეთი რამ, რასაც ტურისტის თვალი ხშირად ვერ ხედავს და ვერ ამჩნევს."

სწორედ ამიტომ, ჟული ბერტუჩელის სურვილი, საქართველოში ფილმი გადაეღო, შორს იყო ევროპელებისთვის ხშირად ეგზოტიკურად აღქმული შორეული ქვეყნის შესახებ, უბრალოდ, ფილმი-საფოსტო ბარათის შექმნის სურვილისგან. მას არც მხოლოდ ის სურდა, რომ ფილმში მოთხრობილი ისტორიის ფონზე ქვეყნის რთული რეალობა ეჩვენებინა. "მე მინდოდა, ამბობს რეჟისორი, ფილმში ჩამედო ყველაფერი ის, რაც ვიგრძენი, როდესაც ამ ქვეყანაში ჩამოვედი და რამაც ჩემზე ესოდენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. და პირველ რიგში, ეს შთაბეჭდილება ჩემზე ადამიანებმა მოახდინეს."

სწორედ ამიტომ ჟული ბერტუჩელის ფილმში "მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა" არის ეს ყველაფერი. სცენები, რომლებიც თავიანთი ესთეტიკით ოთარ იოსელიანის პირველი ფილმებს მოგვაგონებს (იოსელიანისათვის პატივის მიგების მცდელობა, როგორც რეჟისორი აღნიშნავს), დღევანდელ თბილისში ნელ-ნელა იშვიათობად ქცეული ძველი და წარსულის მქონე ნივთებით დატვირთული შუშაბანდიანი ბინები, უშუქოდ დარჩენილი საავადმყოფო, სადაც ექიმები უარს ამბობენ მომსახურეობაზე, მანამდე, ვიდრე მათ ფულს არ გადაუხდიან; არის ბებიას ძველი ფრანგული გამოცემების ბიბლიოთეკაც და მიშენებული ლოჯებით დამახინჯებული კორპუსებიც; მშრალი ხიდის ბაზარიც, სადაც ფილმის ერთი-ერთი პერსონაჟი სახლიდან გატანილ ნივთებს ყიდის ოჯახის სარჩენად; არის ის სცენაც, სადაც შვილიშვილი ბებიას მარსელ პრუსტის "დაკარგული დროის ძიებაში" ორიგინალში უკითხავს და, რა თქმა უნდა, ჩვეული ქართული სუფრაც იმპროვიზირებული ცეკვით და სიმღერებით. დაბოლოს, ფილმში არის ის სცენაც, რომელშიც ყველაზე ახალგაზრდა პერსონაჟი საქართველოში დაბრუნებას საფრანგეთში დარჩენას ამჯობინებს.

## ქართულ-ფრანგული ჯგუფი

"მას შემდეგ რაც ოთარი წავიდა" ქართულ-ფრანგულ-ბელგიური თანამშრომლობის პროდუქტია. ფილმის შექმნაში აქტიური მონაწილეობა ქართულ ტექნიკოსთა ჯგუფმაც მიიღო, რომელსაც ჟანა სარდლიშვილი ხელმძღვანელობდა და რომელიც ფილმის ქართველი პროდიუსერია. თავად ჟული ბერტუჩელის განმარტებით, ფილმის გადაღება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქართველ ტექნიკოსთა და მსახიობთა მაღალი პროფესიონალიზმი, რომელმაც ჯგუფის ფრანგი და ბელგიელი წევრები გააოცა და აღაფრთოვანა კიდევაც. გადამღები ჯგუფის ქართული ნაწილის (ტექნიკოსები, მსახიობები) დაკომპლექტებაზე მთლიანად ჟანა სარდლიშვილის სტუდიამ იზრუნა. "მათ გარეშე საქართველოში ვერაფერს გავაკეთებდით. და თუ მე ფრანგ და ბელგიელ პროდიუსერებს ეს პროექტი შევთავაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდი, შემეძლო ქართული ჯგუფის იმედზე ყოფნა."

ბუნებრივია, ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა მთავარი როლების შემსრულებელი სამი მსახიობი ქალის შერჩევა აღმოჩნდა, რადგან ისინი ერთი ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლები არიან. რეჟისორის თავდაპირველი იდეის თანახმად, სამივე ქართველი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ძალიან მალე ჟული ბერტუჩელი იმდენად მოიხიბლა 93 წლის არაპროფესიონალი მსახიობის, წარმოშობით პოლონელი ქალბატონის ესტერ გორენტენის არტისტული მონაცემებით, რომ იგი ბებიის როლის შემსრულებლად მიიწვიეს. დედის როლს ფილმში ქართველი მსახიობი ნინო ხომასურიძე, ხოლო შვილიშვილს - პარიზში მცხოვრები რუსი მსახიობი, დინარა დრუკაროვა ასრულებს. ფილმში, ასევე, მონაწილეობენ რუსუდან ბოლქვაძე, თემურ კალანდაძე, დუტა სხირტლაძე და სხვა.

საქართველოში მუშაობის პერიოდი და პირობები საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჯგუფისთვის. ის ყოფითი პრობლემები, რომლებიც აქ მცხოვრები ადამიანების რეალობას კიდევ უფრო ამძიმებენ, გადაღების პროცესზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. მაგალითისთვის, ჟული ბერტუჩელი იმ დღეს იხსენებს, როდესაც ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი საავადმყოფოს სცენას იღებდნენ. გადაღების იმ დღეს საავადმყოფოში, მართლაც, არ იყო დენი. "ეს, მართლაც, დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იყო - საავადმყოფო დენის გარეშე. სწორედ ამიტომ, იმაზე აღარც კი გვიფიქრია, თუ რამდენად გაართულებდა უშუქობა გადაღების პროცესს."

დაბოლოს, ჟული ბერტუჩელი ამბობს: "მე არ მინდოდა, ფილმი უცხოელის თვალით გადამეღო, რადგან საქართველოში ისევე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში."

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ვისურვოთ ჟული ბერტუჩელის ფილმის "მას შემდეგ რაც ოთარი წავიდა" ქართულ ეკრანებზე ნახვის შესაძლებლობა და სიამოვნება ქართველ მაყურებელსაც მიეცეს.

სვეტი

# ქართული საეკლესიო გალობა, როგორც მაერთებელი ძალა



სამსონ ლეჟავა

ჩვენ ვისაუბრეთ ტრადიციული ქართული სიმღერის მნიშვნელოვანი ნაწილის მსოფლმხედველობრივ სიახლოვეზე საეკლესიო გალობასთან. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი "ალილო" - ეს თავისებური სასიმღერო დალოცვის ფორმა. "ალილოს" ერთ-ერთ ჩინებულ ნიმუშში ისიც წარმოითქმის, რომ მასზე მოსიარულენი "ქრისტეს მახარობელნი" არიან. ეს რიტუალი უზარმაზარი სიხარულის მომტანი იყო მორწმუნეთათვის - შეგებებული მასპინძლისათვისაც და სტუმართათვისაც, რომელნიც შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ოჯახში საღვთო მადლისა და სიკეთის შემომტანად ითვლებოდნენ. ამ უკეთილშობილესი ტრადიციის აღორძინებისათვის უკანასკნელ ხანს, ეკლესიამ იზრუნა. კამერული ფორმით ენთუზიასტთა ჯგუფთან ერთად, ყოფით "ალილოში" თანამონაწილეობისას, ყველამ აღვთქვით მისი ზეიმურობისა და ამაღლებულობის სულისკვეთება, რაც დაუვიწყარი აღმოჩნდა ჩვენთვის.

უკვე ითქვა, რომ ძველებური სიმღერის კრიზისის გამოხატულება მისი ფუნქციის ჯერ დავიწროება და შემდგომ - გაქრობა იყო. სვანური "ნადური", მაგალითად, მთიბავთა უენერგიულესად მწყობრი მოძრაობის რიტმით გახლდათ აღვსილი, რასაც დღეს ძნელადღა თუ იხილავთ. ყანაში სადღა გაიგონებთ ზემძლავრ "ოდოიას" - მან ხომ სცენაზე გადაინაცვლა. გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ბოლო დრომდე ახდენდა სვანური "ზარი" - ტრაგიზმის მიუხედავად, მოკლებული უსასოობას, ღრმად რელიგიური, აღბეჭდილი იმის ურყევი რწმენით, რომ მიწიერი სამყარო არც ერთადერთია და არც გადამწყვეტი..

ჩვენს ყოფით ვოკალურ კულტურას ცხოვრების წესში ღრმად ჩართულობა და მის მონაცვლე რიტმებში საფუძვლიანი ინტეგრაცია ახასიათებდა. გურული "იერიში" მაგ. ისეთი სიფიცხით, შემართებითა და ვაჟკაცურობით ხასიათდება, რომ აღარც კი გვიკვირს მრავალგზის აღმატებულ მომხვდურთან ჩვენს მებრძოლთა გმირული ქედუხრელობა, რომელთაც სიმღერაც უათკეცებდა ძალას. საქართველოს ტრადიციულ სასიმღერო შემოქმედებაში არსებობს საიდუმლო საწყისი, რომელიც ადამიანის შეფარული შესაძლებლობების ინდური "იოგას" სისტემაზე არანაკლებად - გამხსნელია. ამ თვალსაზრისით, ჩვენებური ცეკვა ასევე ჯერაც ჩაუწვდომელი ფენომენია.

ბოლო დრომდე, საოჯახო მუზიცირებასთან ერთად (მსგავსი ტრადიცია, ოღონდ ინსტრუმენტულ შემოქმედებაში - გერმანიისათვის იყო სპეციფიკური), ქართული სუფრა ინახავდა სიმღერის ცოცხალ მემკვიდრეობითობას, მათ შორის საბჭოთა ხანაშიც. სუფრას ახასიათებდა ბუნებრივი კომუნიკაციურობა, როგორც შესაკრებელს, და იგი სპეციფიკურ "ტრაპეზულობასაც" ინარჩუნებდა. ეს იყო არა ღრეობის ასპარეზი, (რამაც დღეს თითქმის დაანგრია მისი საზრისი), არამედ ადამიანთა შორის საურთიერთობო კულტურისა და მაღალი წესრიგის გამოვლინება (ჩვენი სუფრის თვისობრივობაზე საყურადღებოა ფილოსოფოს გ. ნოდიას დაკვირვებები). მასვე ახასიათებდა ხანდახან რამდენადმე თეატრალიზირებული, შემოქმედებითი სული თავის მთლიანობაში - ამშვენებდა თამადის მჭევრმეტყველებაც, კეთილგანწყობილი ენამახვილობის და იუმორის ფეიერვერკიც, ლაზათიანად წარმოთქმული ლექსიც. ბოლოს, ყოველსავე ამას აგვირგვინებდა, როგორც უმაღლესი გამოხატულება, სწორედაც სიმღერა, რომელსაც გაჰყავხარ სხვა "განზომილებაში".

საკმარისად ქმედითი დატვირთვა შეიძინა "ვარდების რევოლუციის" დროს (შემოქმედების თვითორგანიზებად ფორმათა გამოცოცხლებისას) კვლავ - სიმღერამ, და ქუჩური "ფერხულების" სპონტანურად ამოხეთქილმა ენერგიამ, მაგრამ ეჭვს გარეშეა ერთი რამ: ძველად ჩვენს საზოგადოებაში (რომელშიც ყველაზე არსებითი როლი ეკუთვნოდა ეკლესიას), საეკლესიო გალობა თვით სიმღერაზეც მძლავრ მაერთებელ ძალას წარმოადგენდა. ეს მოვლენა ახლაც უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან მართლმადიდებლობა ოდითგანვე ჩვენი კულტურის ხერხემალი იყო, და ამჟამადაც - მისი როლი სოციუმში არსებითია. დამოუკიდებლად პროფესიისაგან, რომელიმე სტრატის კუთვნილებისაგან, ეკონომიკური შეძლებისაგან, განათლებისაგან და სხვა ეკლესია საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ძირითადი ორიენტირი, სულიერი ცენტრი და ნავთსაყუდელია. მისი კარიც ყველასათვის ღიაა. ამასთანავე, საბედნიეროდ, კვლავ ძალიან რეალურ და ინტენსიურ ფუნქციურ დატვირთვას იძენს საეკლესიო შემოქმედების ისეთი "დარგები", როგორც ხატწერა, რელიეფი, სატაძრო ორნამენტი და სხვ. ამ თვალსაზრისით ცხადია, საეკლესიო გალობაც გამოირჩევა, რომელიც ჩვენში კვლავ ცოცხალ რეალობად იქცა, განსხვავებით "ნადურებისაგან", "მგზავრულებისაგან", "მაყრულებისაგან" და სხვ. მათ, სამწუხაროდ, სულ უფრო იშვიათად გაიგონებთ...

ტრადიციული ქართული გალობა ჰარმონიულობის სიმაღლითა და სიღრმით, შესაძლოა, თვით ულირსშესანიშნავეს ქართულ ტრადიციულ სიმღერასაც კი აღემატებოდეს. ეს არის სულიერი შესაქმის წმინდად ლოცვითი ფორმა; ღვთისადმი სასოებითა და მადლიერებით აღვსილი, ამაღლებულობაში კი მოკრძალებული. ის სამუსიკო სიბძრნის გამოვლინებაა, რომელიც ქრისტიანობის საზრისთან მიახლებას წარმოაჩენს. ხატწერის მსგავსად, მასში განმსაზღვრელია სენსუალურობის გადალახვა და სულ სხვა რიგის - უკიდეგანო და დაუსაბამო ენერგიებთან ზიარებულობა. არსებითია, რომ სულიერი დაწმენდილობისა და მსოფლიურზე ამაღლებულობისას, ჩვენს გალობაში არაა "გაფილტრულობა", და მასში ნიადაგისეული საწყისი არასულმოუთქმელ ამაღლებას განიცდის (რაც ეხმიანება ჩვენი სატაძრო არქიტექტურის მხოლოდ შინაგანად მგვან პრინციპს). იგი დაუძაბველად ითავსებს ზოგან ურთულეს შეხამებებსა და სისადავეს. უმდიდრესი პოლიფონია აქ ღრმა შინაგანი ლოგიკის სისტემურობითაა შემტკიცებული.

ქართული ტაძრის გუმბათის მსგავსად, (რომელიც თითქოს თავისკენ "იზიდავს" ხუროთმოძღვრების მთელ "სხეულს"), გალობის ხმათაშეხამებაშიც თავს იჩენს მელოსის სვლის თავმოყრა, ერთიანობაში "შეკონვა".

მლოცველისათვის იგი უდიდესი სიხარულისა და შვების მომტანია, და ზურგს აქცევს ზოგ სიმღერაში ჩენილ არტისტულ ვირტუოზულობას. მასში არსებითია იმგვარი ანონიმურობა, რომელიც როდია პიროვნულობის უკუმგდები, არამედ მისი ჭეშმარიტებასთან შერთვისაკენ სწრაფვის გამომხატავი - სწორედ ეს ნიშნავს ნამდვილ თვითმოპოვებასა და თავისუფლებას. ამასთან თავისთვად ფასეული ინსტრუმენტული საწყისის უარყოფა, აქ მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანის სხეული, როგორც კოსმოსზე აღმატებული და ტაძრულობის მატარებელი, ყველაზე სრულქმნილი "ინსტრუმენტია" ღვთის სადიდებლად და შესაბამისად - ხმაც მაქსიმალურად ადეკვატურად, უშუალოდ ავლენს ამ შესაძლებლობას.

თუკი ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ქართული სიმღერა შემწეა, მრავალხმიანი გალობა მით უფრო - უზარმაზარი თანადგომის გამწევია ადამიანისათვის.

ქართული გალობა ლიტურგიის ორგანული ნაწილია, მისი წესრიგის შემადგენელი, კანონიკური, მაგრამ ამასთანავე მოქნილი და გამოთქმის ფორმით, მკაფიოდ ეროვნული უნივერსალურობის დროს, რაც მართლმადიდებლობის თვისობრიობაა და მისი უდიდესი სიკეთეც. არსებითია ისიც, რომ მსგავსად ქართული სიმღერისა, გალობა საერთო, ძირეული და თვითმყოფადი მუსიკალური ენიდან ამომდინარეობს. "საერო" სიმღერისა და გალობის ურთიერთმიმართება და უკუკავშირები კი ამ ორი "ფორმის" ურთიერთგამამდიდრებელი იყო, სადაც წარმმართველი ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში უპირველესად სწორედ გალობა გახლდათ სატაძრო შემოქმედების სხვა გამოხატულებებთან ერთობლივად. იგი იმ დიადი ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოვლენაა, სადაც ღმერთი უპირველესად მსხვერპლს კი არ ითხოვს, არამედ თავად მიდის უდიდეს მსხვერპლზე, რათა ადამიანში გააღვივოს და გააცოცხლოს მის მიერ თვითუარყოფილი, შეუბღალავი არსი.

ქართული გალობის გადამრჩენთა თავგანწირვა (თუნდაც წმინდა ექვთიმე კერესელიძისა), უდიდესი ზნეობრივი მაგალითია. ანდა რამოდენა სულიერი სიმაღლეა არტემ ერქომაიშვილის ღვაწლში - ვისაც მოუსმენია მისი "მოლუღუნე" გალობა, რომელიც უმწვერვალესი სიყვარულითაა აღვსილი, უკეთ ჩაწვდება, თუ რა გრანდიოზული და, ამავე დროს, გულმისავალი და მისანდობელია სულიერი კულტურის ეს საზეო გამოხატულება საქართველოში.

მოკლედ

## მკაცრი სასჯელი "რომას"

ტექნიკური წაგება ანგარიშით 0:3 და სტადიონის დისკვალიფიკაცია - ასეთია ვერდიქტი, რომელიც UEFA-ს სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ გამოუტანა "რომას". იტალიური კლუბი ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში რომის ოლიმპიურ სტადიონზე მომხდარი ინციდენტის გამო დაისაჯა, როდესაც ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან ბლაგვი საგანი ისროლა და სერიოზული ჭრილობა მიაყენა შვედის არბიტრს ანდერს ფრისკს.

ხულიგანი გულშემატკივრის გამო "რომა", მართლაც, მკაცრად დაისაჯა. UEFA-ს გადაწყვეტილებით, ჩემპიონთა ლიგის მომავალ ორ მატჩს იტალიელები ცარიელ სტადიონზე ჩაატარებენ. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს "რომას" მცველს ფილიპ მექსესსაც. სწორედ მექსესის მოედნიდან გაძევებას მოყვა ყველასთვის კარგად ცნობილი ინციდენტი.

UEFA-ს გადაწყვეტილებით კმაყოფილი უნდა იყოს კიევის "დინამო", რომელიც ამ მატჩში "რომას" მეტოქე იყო და უგებდა კიდეც 1:0-ს. უკრაინელები რომაელთა მკაცრად დასჯას და მათთვის ტექნიკური წაგების ჩათვლას მოითხოვდნენ.

## უეფა-ს თასის მატჩი გადაიდო

ისრაელში გამართული დიდი გაფიცვის გამო გადაიდო უეფას თასის პირველი რაუნდის მატჩი ადგილობრივ ფეთახ-თიკვას "მაკაბისა" და ჰოლანდიის "ჰერენვენს" შორის.

გაფიცვამ, რომელშიც 400 ათასი ებრაელი მონაწილეობდა, სხვებთან ერთად საერთაშორისო აეროპორტის პარალიზებაც გამოიწვია, რის გამოც ჰოლანდიურმა კლუბმა ვერ შეძლო აღთქმულ მიწაზე გამგზავრება.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "ჰერენვენის" ხელმძღვანელობამ ეს პრობლემა უეფას ჩინოვნიკებთან განიხილა. თავდაპირველად ჩინოვნიკებმა ჰოლანდიელებს აღუთქვეს, რომ მათი გუნდისთვის გამონაკლისს დაუშვებდნენ. თუმცა, შემდგომში მსგავსი არაფერი მომხდარა, რაც ჰოლანდიურ კლუბს საშუალებას არ აძლევს, ოთხშაბათს დანიშნული მატჩისთვის ისრაელში დროულად ჩავიდეს.

უეფამ თავის ოფიციალურ საიტზე გაავრცელა ცნობა, რომ მატჩი ოთხშაბათიდან ხუთშაბათისთვის გადაიდება, ხოლო განმეორებითი შეხვედრა, როგორც პირველი რაუნდის ყველა დანარჩენი მატჩი, ხუთშაბათს, 30 სექტემბერს გაიმართება.

## პელეს მაისურა 70 ათასი გირვანქა ღირს

სახელოვანი ბრაზილიელი ფეხბურთელის პელეს მაისურა, რომლითაც ფეხბურთელი 1958 წელს შვედეთში პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი, აუქციონზე 70 050 გირვანქა სტერლინგად შეიძინეს. მყიდველის ვინაობა არ სახელდება.

1958 წლის მსოფლიო პირველობის ფინალში 17 წლის პელემ შვედების კარში დუბლი გაახერხა. მაშინ ბრაზილიური ტრადიციის საწინააღმდეგოდ, სამხრეთამერიკელები ლურჯი მაისურებით თამაშობდნენ, რადგან შვედეთს, როგორც მასპინძელს, ფორმის არჩევის უფლება ჰქონდა. საინტერესოა, რომ ლეგენდარული ფეხბურთელის მაისურა ტელეფონით შეიძინეს.

პოლ გასკოინის მაისურა კი, რომელშიც ფეხბურთელმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალში გერმანელების წინააღმდეგ ითამაშა, მხოლოდ 28 680 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ალბათ, იმიტომ, რომ ის მატჩი ინგლისელებმა წააგეს. გასკოინის მაისურას, გარკვეულწილად, შეიძლება ისტორიულიც კი ეწოდოს, რადგან თავისი ყველაზე ცნობილი ფოტო ფეხბურთელმა სწორედ ამ მაისურით გადაიღო. ფოტოგრაფმა დაიჭირა წამი, როცა გასკოინმა ყვითელი ბარათის მიღების გამო ცრემლი ვერ შეიკავა. ეს ბარათი იმას ნიშნავდა, რომ თუ ინგლისის ნაკრები ფინალში გავიდოდა, გასკოინი ვერ ითამაშებდა. თუმცა, ინგლისელებმა ფინალში მაინც ვერ გააღწიეს.

თავიდან გასკოინის მაისურის ფასი 15 000 გირვანქა სტერლინგი იყო. მასზე ინგლისის ნაკრების ყველა ფეხბურთელმა დააფიქსირა საკუთარი ავტოგრაფი.

## კარპოვი ჟუჟას ვერ გაუმკლავდა

ანატოლი კარპოვმა და ჟუჟა პოლგარმა ყაიმით დაასრულეს თავიანთი პირველი ოფიციალური შეხვედრა - ქალთა და ვაჟთა შორის ყოფილ მსოფლიო ჩემპიონთა შორის. მატჩი კანზასში გაიმართა.

მატჩი ექვსი პარტიისგან შედგებოდა. მათ შორის, ორი პარტია სწრაფ ჭადრაკში, ორი ბლიცში და ორიც "ფიშერის ჭადრაკში". მატჩს ორი ხუთწუთიანი ბლიცი ამთავრებდა. მეტოქეებმა საბოლოო ჯამში 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს. "მისთვის, ვისაც ეს თამაში მოსწონს, ეპოქალური მოვლენა მოხდა", - განაცხადა რალფ ბაუმანმა, აშშ-ის ჭადრაკის ფედერაციის წევრმა.

მატჩი ლინდსბორგში გაიმართა, რადგან სწორედ იქ მდებარეობს კარპოვის მიერ დაფუძნებული საჭადრაკო სკოლა.

## ცზიუ პენსიაზე გასვლას არ აპირებს

მსოფლიო ჩემპიონი პირველ ქვესაშუალო წონით კატეგორიაში კონსტანტინ ცზიუ, რომელსაც ახლახან 35 წელი შეუსრულდა, უახლოეს პერიოდში პენსიაზე გასვლას არ აპირებს.

ვიდრე კარიერას დაასრულებს, კონსტანტინს სურს, თავის წონით კატეგორიაში, სულ ცოტა, სამი ბრძოლა გამართოს. ის სამი უძლიერესი მოკრივის - არტურო გატის, ფლოიდ მეივეზერის და კორი სპინქსის წინააღმდეგ გამოვა რინგზე.

ცზიუს სიტყვებით, მარცხენა მხარზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ის სრულიად გამოჯანმრთელდა და ახლა გრძნობს, რომ მარცხენა ხელით უფრო ძლიერად დარტყმა შეუძლია, ვიდრე ადრე. ეს კი იმის გამოა, რომ ექიმებმა მოკრივეს მოუშუშეს ის ტრავმა, რომელიც მას ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აწუხებდა.

სექტემბრის შუა რიცხვებში კონსტანტინი, რვათვიანი შესვენების შემდეგ, პირველად გამოვიდა რინგზე. მისი მეტოქე ცნობილი ამერიკელი მოკრივე დეიმიან ფულერი იყო. მის წინააღმდეგ კონსტანტინმა 4-რაუნდიანი ბრძოლა გამართა. ეს გახლდათ პირველი სპარინგი იანვრის შემდეგ. ფულერმა, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იყო (სამი კვირის შემდეგ თვითონ უწევს სატიტულო ბრძოლა), აღნიშნა, რომ ცზიუმ, რვათვიანი იძულებითი შესვენების მიუხედავად, არ დაკარგა ძალა და მოკრივის ჩვეულებანი.

## არმსტრონგის ექიმი შეიძლება დააპატიმრონ

პროკურორმა ლორენცო გასტრიმ მოითხოვა, რომ ექიმ მიკელე ფერარის 14-თვიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯონ და ერთი წლით აუკრძალონ სამედიცინო მოღვაწეობა. ამასთან, ფერარი 900 ევროთი უნდა დაჯარიმდეს. იტალიური მედიის ინფორმაციით, ფერარის იმაში ედება ბრალი, რომ ლენს არმსტრონგთან მუშაობის პერიოდში ის ველომრბოლს კვებავდა აკრძალული პრეპარატებით, რომელთაც ბოლონიის ლაბორატორიიდან იღებდა.

ყოფილი საუნივერსიტეტო მკვლევარი მიკელე ფერარი ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ ის, უბრალოდ, განტევების ვაცად გამოყავთ იმ მიზნით, რომ ველოსპორტში არსებული სადოპინგო პრობლემები მიჩქმალონ. იმ შემთხვევაში, თუ ფერარის დამნაშავედ ცნობენ, მას უფლება ექნება, განაჩენი ორჯერ გააპროტესტოს.

ფეხბურთი

# ფლორენტინო პერესი: „რემონი ჩვენი კაცია"

*ორშაბათ საღამოს მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ინტერვიუ მისცა ტელეარხ "Realmadrid TV"-ს. საუბრის თემა, ცხადია, მწვრთნელის პოსტიდან კამაჩოს გადადგომა და მის ადგილზე მარიანო გარსია რემონის დანიშვნა იყო.*



**- გაგიჭირდათ კამაჩოს გადადგომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება?**

- დიდი კლუბები მშვიდად უნდა შეხვდნენ სირთულეებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თავად საკლუბო ინსტიტუტია და რაც უფრო მშვიდად შევხვდებით შექმნილ პრობლემებს, მით უფრო დიადი იქნება ჩვენი კლუბი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ნორმალურად აღვიქვამთ იმ ფაქტს, რომ მწვრთნელი დაკავებული თანამდებობიდან გადადგომას და მის ადგილზე სხვა ადამიანის დანიშვნას მიიჩნევს მიზანშეწონილად. მით უმეტეს, რომ ეს ადამიანი გარსია რემონია, აქაური კაცი. ვფიქრობ, ყოველივე ამის შედეგად "რეალი" მხოლოდ მოიგებს.

**- სწორედ ამიტომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი გარსია რემონზე?**

- ჩვენ ვიწვევთ მწვრთნელებს, რომლებიც კლუბის ლეგენდარული ისტორიის ნაწილი არიან. ამით ჩვენ მადრიდიზმის განვითარებას ვუწყობთ ხელს. ვფიქრობ, მარიანო დიდი აღმაფრენით შეუდგება ახალ სამუშაოს. მას უდიდესი გამოცდილება აქვს, მწვრთნელის ამპლუაში სამასზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად მუშაობს. მასთან ერთად ჩვენ აქამდე დასახული მიზნების შესრულებას, ანუ ყველა ტურნირში გამარჯვებას შევეცდებით.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ გუნდის მისამართით გამოთქმული კრიტიკა გადაჭარბებულია?**

- მადრიდის "რეალი" მუდამ მწვერვალზე უნდა იყოს, რადგან ამ გუნდს არა აქვს სხვა ამოცანა. ჩვენგან არა მხოლოდ გამარჯვებას, არამედ ლამაზ სანახაობასაც მოითხოვენ. ჩვენ ვიღებთ ამ ზეწოლას და გვესმის კლუბის წევრების იმედების, მაგრამ ამ ამოცანების შესასრულებლად ჩვენი გულშემატკივრების მხარდაჭერა გვჭირდება. მე მათ ვთხოვ, რომ გუნდს მხარდაჭერა არ მოაკლონ. კლუბის ირგვლივ არსებულ სიტუაციას გაგებით ვეკიდებით, მაგრამ არც იმას დავუშვებთ, რომ ვინმემ ამ სიტუაციით ისარგებლოს. შევეცდებით, ყოველ ტურნირში წარმატებით ვიასპარეზოთ.

**- კამაჩოს გადაწყვეტილება საკუთარი თავის მიმართ დიდი მომთხოვნელობით იყო გამოწვეული?**

- კამაჩო საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნია და მან ეს გვითხრა. ამ სეზონში ჩვენ ვიმარჯვებდით, მაგრამ მას უნდოდა, ამ გამარჯვებებისთვის სხვაგვარად მიგვეღწია. კამაჩო თვლის, რომ მწვრთნელის პოსტის მარიანოსთვის გადაბარება საშუალებას მოგვცემს, მის მიერ აქამდე განხორციელებული სამუშაო კარგად გამოვიყენოთ. ამიტომაც, მაქსიმალური ანალიზისა და სიმშვიდის ფონზე დასახულ მიზნებს მივაღწევთ.

**- კამაჩო დიდი ზეწოლის ქვეშ იყო?**

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ჩვენს მიმართ კარგი დამოკიდებულება აქვთ, თუმცა, ამავე დროს ბევრს მოითხოვენ ჩვენგან. გვინდა, ამ მოთხოვნებს გამარჯვებებით ვუპასუხოთ. ცხოვრებაში ბევრი სირთულეა, მაგრამ მათი გადალახვაა საჭირო. მადრიდის "რეალი" სირთულეებს მომავლის იმედითა და გამარჯვებებით გადალახავს. როგორც ამ კლუბის პრეზიდენტი, მე ვერ ვგრძნობ ზეწოლას, მაგრამ მინდა, რომ ეს ზეწოლა არც მოთამაშეებმა და არც მარიანომ არ იგრძნონ. მირჩევნია, ისინი მხოლოდ თავიანთ სამუშაოზე იყვნენ კონცენტრირებული და, ამავდროულად, პუბლიკის სიყვარულს გრძნობდნენ.

**- რატომ გააკეთეთ არჩევანი გარსია რემონზე?**

- კამაჩომ გაგვაკვირვა თავისი გადაწყვეტილებით და სწორედ მან გვითხრა, რომ მწვრთნელის პოსტზე მარიანოს დანიშვნა საუკეთესო არჩევანი იქნებოდა. მერწმუნეთ, კამაჩომ იცის, რასაც ლაპარაკობს. მისი ეს რჩევა ნამდვილი მადრიდისტის რჩევა იყო. მარიანოს ყველა საჭირო თვისება აქვს და ის ჩვენ შესაფერის კანდიდატურად მივიჩნიეთ.

**- რას ეტყოდით კლუბის წევრებს?**

- ივლისში მათ მე ნდომა გამომიცხადეს და ამის გამო დიდად მადლიერი ვარ. მხოლოდ ვთხოვ, რომ მომავალშიც გვენდონ და იცოდნენ, რომ ყველაფერი, რაც კეთდება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი კლუბის საკეთილდღეოდ არის მიმართული. მთავარი აქტივი ჩვენი ფეხბურთელები და ჩვენი მწვრთნელი არიან. აგრეთვე, მათი კლასი და ტალანტი, რომელთა საშუალებით ისტორიას ვქმნით. ერთ გუნდში იმდენ დიდ ფეხბურთელს მოვუყარეთ თავი, რომ მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში სხვაგან არსად არის. თუმცა, ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ, რათა სრულყოფილებას მივაღწიოთ და ჩვენი კლუბის წევრებს მივცეთ ის, რასაც ითხოვენ - გამარჯვებები და სანახაობრივი თამაში.

# "ჩვენ იქ დავრჩებით, სადაც ვიყავით - მწვერვალზე"

### მარიანო გარსია რემონი: "არ მეგონა, თუ ასე გავხდებოდი "რეალის" მწვრთნელი"

მას შემდეგ, რაც ხოსე ანტონიო კამაჩო გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, მადრიდელთა ახალ მწვრთნელად მარიანო გარსია რემონი დასახელდა. ქართველი გულშემატკივრების დიდ ნაწილს საერთოდ არაფერი სმენია ამ ადამიანის შესახებ. ნეტა ვინ არის რემონი?

უკანასკნელ დღემდე ის კამაჩოს ასისტენტად მუშაობდა და პარალელურად გუნდის მეკარეების მწვრთნელის ფუნქციას ასრულებდა. მადრიდში მას კარგად იცნობნენ. 30 სექტემბერს ის 54 წლის გახდება. ბავშვობაში ხელბურთს თამაშობდა და საკმაოდ კარგი მეკარეც იყო. შემდეგ ფეხბურთელობა არჩია, თუმცა, ამპლუა არ შეუცვლია - რემონი მეკარედ დარჩა. 20 წლის ასაკში თავის უახლოეს მეგობართან, ვისენტე დელ ბოსკესთან ერთად ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა იუნიორებს შორის. ნიჭიერმა მეკარემ მადრიდის "რეალის" მაშინდელი მწვრთნელის მიგელ მუნიოსის ყურადღებაც მიიპყრო და 1971 წლის 5 სექტემბერს, 21 წლის ასაკში, რემონმა თავისი დებიუტი იზეიმა სამეფო კლუბის შემადგენლობაში. მადრიდელთა კარს ის 1986 წლამდე დარაჯობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში რემონმა ესპანეთის ჩემპიონატის 177 მატჩში, ქვეყნის თასის 25 და ევროთასების 29 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ექვსჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და სამჯერ დაეუფლა სამეფო თასს.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ რემონმა მწვრთნელობა დაიწყო. თავდაპირველად ის კამაჩოსთან ერთად "რეალის" ახალგაზრდულ გუნდებში მოღვაწეობდა. შემდეგ "კასტილიას" მთავარი მწვრთნელი გახდა. ამის შემდეგ იყო ხიხონის "სპორტინგი", "ალბასეტე", "სალამანკა", "ნუმანსია", "კორდობა"...

...და ისევ "რეალი". უკანასკნელი სეზონის დასრულებისთანავე "რეალის" მწვრთნელად კამაჩო დაინიშნა, მან კი რემონს უხმო. ახლა კამაჩო გადადგა და მისი ადგილი რემონმა დაიკავა. გთავაზობთ პირველ ინტერვიუს, რომელიც რემონმა მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის ამპლუაში მისცა ჟურნალისტებს.



**- მედიის წარმომადგენელთა წინაშე თქვენი პრეზენტაციისას განაცხადეთ, რომ გულდაწყვეტილი ბრძანდებით. იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ?**

- იმიტომ, რომ იმ დღით გადადგა მწვრთნელი და ჩემი მეგობარი, რომელმაც თავის შტაბში მიმიწვია და მეორე მწვრთნელის სამუშაო მომანდო. არ მეგონა, თუ ოდესმე ასეთი გზით მოვიდოდი მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. დღეს, მართლაც, სევდიანი დღეა, რადგან რეალობა სულ სხვაგვარია და არა ისეთი, როგორსაც ჩვენ ველოდით.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ გუნდის წარუმატებლობა "გარედან" კიდევ უფრო გადააჭარბეს?**

- არ ვფიქრობ, რომ ყველაფერი გარშემომყოფთ უნდა დავაბრალოთ. გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა, კამაჩომ ჩათვალა, რომ მწვრთნელი უნდა შეცვლილიყო. როგორც პრეზიდენტმა თქვა, ყოველივე ეს მშვიდად უნდა აღვიქვათ. ცვლილებები ყველგან ხდება და არ არის საჭირო, დამნაშავეები კლუბის გარეთ ვეძებოთ.

**- როგორ აღიქვა კამაჩოს გადაწყვეტილება სამწვრთნელო შტაბმა?**

- ცუდად. ვცდილობდით, რომ დავხმარებოდით მას, დაგვერწმუნებინა, რომ თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. კამაჩო ფიქრობდა, რომ მისი ეს ნაბიჯი სწორი იყო და დროის გაწელვა არ უნდოდა. ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და მის წინაშე ჩვენი სიყვარული გამოვხატეთ. ამ მომენტიდან დაწყებული, უნდა გავითავისოთ, რომ ახალი სამუშაო ეტაპი იწყება. წინ უნდა გადავდგათ ნაბიჯები, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ არაფერი წაგვიგია. საკმაოდ რთული სიტუაციაა, რადგან ჩვენი კლუბი უძვირფასესი ფეხბურთელებისგან შემდგარი უდიდესი ბიუჯეტის მქონე საწარმოა. კლუბის მიერ დაწყებული პროექტის გაგრძელება რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო საქმეა.

**- ცოტა ხნით გვერდზე გადადეთ კამაჩოსთან თქვენი პირადი ურთიერთობა და გვითხარით, ფრთაშესხმული ხართ ახალი თანამდებობით?**

- არ ვიცი, სწორი სიტყვაა თუ არა "ფრთაშესხმული". ჩემს თავში ვხედავ სურვილს, ძალებს და საკუთარი ცოდნის იმედიც მაქვს. კარგად ვიცი, რომ თავისით არაფერი მოხდება და გუნდი არ დაიწყებს გამარჯვებას მხოლოდ იმიტომ, რომ მე ჩემი პოსტი შევინარჩუნო. ჩემი სამუშაო სრულიადაც არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი ხნის გატარება მომიწევს ამ თანამდებობაზე. პირველივე დღიდან სამუშაოს მთელ ჩემს ძალ-ღონეს მოვახმარ. იმედი მაქვს, შედეგიც მალე მოვა, რადგან ვარჯიშებზე გუნდი ბრწყინვალედ ირჯება.

**- მთავარი მწვრთნელის პოსტზე თქვენი მოსვლა კამაჩოს მიერ დაწყებული სამუშაოს გაგრძელებას ნიშნავს?**

- ნურავინ ელის რევოლუციის მოხდენას, რადგან საამისო მიზეზი არ გვაქვს. ჩვენ შესანიშნავი მოთამაშეები გვყავს და ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ეს მოთამაშეები საფეხბურთო მინდორზე აკიაფდნენ. ისინი ძალიან კარგად ვარჯიშობენ, სეზონის დაწყებამდე უდიდესი სამუშაო გასწიეს. ის, რაც მათ მარაგში აქვთ, საფეხბურთო მოედანზე უნდა გამოიყენონ.

**- შესაძლოა, სწორედ ეს იყო კამაჩოს გადადგომის მიზეზი. ის, რომ ფეხბურთელები არ თამაშობდნენ ისე, როგორც ვარჯიშობდნენ...**

- ასეც არის. უთხარით ნებისმიერს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩებით ლიდერს, ის კი გიპასუხებთ, რომ გუნდი კრიზისშია. მაგრამ, მართალია, რომ გუნდი არ ტოვებდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც კლუბის იმიჯს შეესაბამება. რეზულტატი და თამაში უკეთესი უნდა იყოს. ამ კლუბს უდიდეს მოთხოვნებს უყენებენ და ეს ზეწოლა ჩავარდნის პროვოცირებას ახდენს. ამიტომ ჩვენ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, რათა სასურველი გადაწყვეტილებები მივიღოთ.

**- რას ეტყოდით კლუბის წევრებს და გულშემატკივრებს?**

- იგივეს, რასაც საკუთარ თავს. ეს არის ის, რაც ჩვენ გაგვაჩნია. აი, ეს ფეხბურთელები - მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები. მათგან ჩვენ მაქსიმალურ შრომისუნარიანობას უნდა მივაღწიოთ და დავეხმაროთ, რომ ბოლომდე გაიხსნან საფეხბურთო მოედანზე. კლუბის წევრები მშვიდად უნდა იყვნენ, რადგან მოთამაშეებისგან მაქსიმუმს მივიღებთ. ჩვენ ყველა ტიტულისთვის ვიბრძოლებთ, ამაში დარწმუნებული ვარ. ჩვენ აქ დავრჩებით, მწვერვალზე, ისევე, როგორც წინა წლებში.

ფეხბურთი

# ევრო 2004-ის ტენდენციები

*ბევრი იმსჯელა თუ ცოტა, უეფას ტექნიკურმა კომიტეტმა დაასკვნა: ევრო 2004 წინამორბედ ევროპის ჩემპიონატებს შორის საუკეთესო იყოო.*
*ორშაბათს სტოკჰოლმმა ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების უეფას მეექვსე კონფერენციას უმასპინძლა. საგულისხმოა, რომ ამგვარ თავყრილობებზე ევროპული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არ იღებენ. ამ შემთხვევაში თავყრილობების მიზანი უფრო ფეხბურთის მცოდნეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლაა. საუბრობენ იმ ტენდენციებზე, რომელიც ფეხბურთის განვითარების ამა თუ იმ ეტაპს თან ახლავს.*



*ბერძნებს ქვეყნის პირველობა არ უვარგათ, მაგრამ ევროპის ჩემპიონები მაინც გახდნენ.*

ჩვეულებისამებრ, ამგვარი კონფერენციები ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული მნიშვნელოვანი ტურნირების შედეგების შეჯამებას ეხება ხოლმე. ასე რომ, სტოკჰოლმში თავშეყრილთათვის უმთავრესი თემა ორი თვის წინათ დამთავრებული ევროპის ჩემპიონატი იყო.

"ნაკრებთა დონეზე ფეხბურთი ცოცხალია და ვითარდება, - ასეთი გახლდათ ფეხბურთის მცოდნეთა უმრავლესობის აზრი. - მათ, ვისაც ეჭვი ეპარებათ სანაკრებო ფეხბურთის მომავალზე, ალბათ, ევრო 2004-ის მატჩებისას ეძინათ".

სამდღიანი კონფერენციის შედეგების შეჯამებისას უეფას ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ენდი როკსბურგი ასეთ შეფასებას აძლევს თავყრილობას: "ევროპის ჩემპიონატმა ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებს ფანტასტიკური იმპულსი მისცა. ევრო 2004 საფეხბურთო ისტორიის საუკეთესო კონტინენტურ პირველობად მოგვევლინა, რის გამოც მინდა, ყველა ფეხბურთელსა და მწვრთნელს მადლობა გადავუხადო".

მოგვიანებით როკსბურგმა კონფერენციის სტუმრებს, მათ შორის, ევროპის ჩემპიონატის ფინალისტ მწვრთნელებს ოტო რეჰაგელსა და ლუიშ ფელიპე სკოლარისაც აუხსნა, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი საფეხბურთო ისტორიის საუკეთესო პირველობა იყო: "ტურნირის შეფასებისას მხედველობაში გვქონდა არა მარტო იქ ნაჩვენები თამაშის დონე, არამედ ჩემპიონის წოდების დაუფლების კონკურენტუნარიანობის ხარისხი. ყოველ შემთხვევაში, პორტუგალიაში მონაწილეთა 50 პროცენტს სავსებით რეალურად შეეძლო, პრეტენზია განეცხადებინა "ოქროზე". უნდა აღინიშნოს, რომ ევრო 2004 "ფეარ პლეის" წესების სრული დაცვით ჩატარდა. თანაც, დოპინგის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა".

როკსბურგს არც მსაჯები დარჩენია უყურადღებოდ. უეფას გადაწყვეტილებამ - ტურნირზე ერთი ეროვნების მსაჯთა ბრიგადის შერჩევამ - სრულად გაამართლა. რა თქმა უნდა, როკსბურგის რევერანსები იმ ორგანიზაციის მიმართ, სადაც თავად მუშაობს, უეფას ხელმძღვანელთა საამებლადაც იყო გამიზნული. მოგეხსენებათ, ლენარტ იუჰანსონი აშკარა ომშია ჩართული G-14-ის გავლენიან კლუბთა ჯგუფის წევრებთან, იმ ჯგუფის წევრებთან, რომლებიც აცხადებენ, რომ სანაკრებო პირველობებს დროთა განმავლობაში ყავლი გაუვათ.

კარგა ხანია, როკსბურგი და უეფას კომისია G 14-ისგან შეტევებს იგერიებს. კერძოდ, კლუბი-მაგნატები დაუღალავად აკრიტიკებენ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის ზონის შესარჩევი ტურნირების ფორმატს. თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა. ახლა ისევ ევრო 2004-ზე გამოკვეთილ ტენდენციებს დავუბრუნდეთ, რაც, ალბათ, საყურადსაღებოს ქართველი მწვრთნელებისთვის. კონფერენციის მონაწილე მწვრთნელთა აზრით, ევროპის ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დღეს ბურთზე კონტროლის უპირატესობა სულაც არაა გამარჯვების გასაღები. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია დაცვიდან შეტევაზე დროულად გადაწყობა და კონტრშეტევების ოპერატიულად ორგანიზება.

და, საერთოდ, სტოკჰოლმის კონფერენციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ტექნიკის კომბინაცია და სისწრაფე თანამედროვე ფეხბურთის საფუძველთა საფუძველია. ევრო 2004-ის კიდევ ერთი ტენდენციაა მეტოქეთა დაცვის გასარღვევად ფეხბურთელთა გაძლიერებული როლი ფლანგებზე. აღინიშნა ისიც, რომ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, ევროპის ნაკრებთა მწვრთნელების უმეტესობამ შეძლო საკუთარ კლუბებში დამქანცველი სეზონის შემდეგ ფეხბურთელთათვის ძალების აღდგენა. თუმცა, ამ მოსაზრებას შეიძლება ბევრი არც დაეთანხმოს, რადგან იმ ქვეყნების არც ერთ ნაკრებს (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი, იტალია), რომელთა ჩემპიონატებიც უძლიერესია, ევრო 2004-ის ნახევარფინალამდეც არ მიუღწევია. გამარჯვებით კი, მოგეხსენებათ, გაიმარჯვეს ბერძნებმა, რომლებიც მოწინავე ქვეყანათა ჩემპიონატების კლუბებში უმეტესად სათადარიგო სკამებს ხეხავენ, ანდა სულაც საკუთარ ჩემპიონატებში გამოდიან.

კრივი

# კლიჩკო ორქამროსანია



*დეკემბერში კლიჩკოს ორი ქამრის დაცვა მოუწევს.*

ბიბა ბურასაშვილი

*WBC სუპერმძიმეწონოსანთა დივიზიონის გამგებელი, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო ახლახან მორიგი საპატიო ჯილდოთი დააჯილდოეს. ლას ვეგასში, MGM Grand Hotel-ში, ყველაზე პრესტიჟული ორგანიზაციის - საბჭოს მსოფლიოს ჩემპიონს კრივის ჟურნალმა The Ring-მა საკუთარი საჩემპიონო ქამარი გადასცა. ჟურნალის მიერ დაწესებული ასეთი ჯილდო სხვადასხვა დროს გადაუციათ ისეთი მოკრივეებისთვის, როგორებიც არიან მუჰამედ ალი, ლენოქს ლუისი, როი ჯონსი...*

საპატიო ქამარი პირველად 1922 წელს ჟურნალის დამაარსებლმა ნეტ ფლეიშნერმა სახელოვან ჯეკ დემპსის გადასცა. გასული საუკუნის 90-იან წლებში სარედაქციო პოლიტიკის მუდმივი ცვალებადობის გამო ქამარი არავისთვის გადაუციათ. ტრადიცია 2002 წლის აპრილში აღადგინეს. ქამარი კი იმდენად ღირსეული, რომ მას ძირითად ორგანიზაციათა თანასწორუფლებიან საჩემპიონო ქამრად განიხილავენ.

"დიდი სიამოვნებით გადმოგცემთ The Ring-ის მსოფლიო ჩემპიონის ქამარს. ჩვენი ჟურნალი არავის ართმევს ამ ტიტულს და არც იმას აიძულებს, იგი ორთაბრძოლებში დაიცვან. მხოლოდ ორ შემთხვევაში შეგიძლიათ ჩემპიონის ქამრის დაკარგვა - კრივის ძირითადი ორგანიზაციების საჩემპიონო ორთაბრძოლის წაგებისას და კიდევ მაშინ, როდესაც პროფესიული კარიერის შესახებ განაცხადებთ. ჩვენც არც სანქცირებულ გადასახადს ვითხოვთ ქამრის მფლობელობისთვის. დარწმუნებული ვარ, თქვენ სიამაყით ატარებთ ამ ჯილდოს, ისევე როგორც ამას ძველი ჩემპიონები აკეთებდნენ", - დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე განაცხადა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ნაიჯელ კოლინზმა.

რაც შეეხება თავად მოკრივეს, მისი თქმით, ჯილდოს გადაცემის ცერემონია რიგი ფორმალობების გამო დაგვიანდა. მერე კი ისიც გაიხსენა, თუ რა უძღოდა წინ იმ ბრძოლას, რომელმაც მას საბჭოს უმთავრესი ტიტული მოაპოვებინა: "ჯერ კიდევ კორი სანდერსთან ბრძოლის წინ გაცხადდა, რომ ჩვენ უნდა გვებრძოლა არა მარტო WBC მსოფლიოს საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის, არამედ ჟურნალ The Ring-ის ჩემპიონის ქამრისთვის. ის ბრძოლა მე მოვიგე. WBC-ს საჩემპიონო სარტყელი რინგზე გადმომცეს, ჟურნალის საჩემპიონო ქამარი კი მხოლოდ ახლა მივიღე".

საჩემპიონო ქამარს ამზადებენ ზუსტად იმისთვის, ვისაც იგი უნდა გადაეცეს, რა თქმა უნდა, ერთადერთ ეგზემპლარად. ქამარზე ამოტვიფრულია მფლობელის სახელი და ჯილდოს გადაცემის თარიღი.

პატივცემული ჟურნალის რედაქტორის თქმისა არ იყოს, იმისთვის, რომ ვიტალიმ კრივის მსოფლიო საბჭოსა (WBC) და The Ring-ის საჩემპიონო ქამარი შეინარჩუნოს, შეგახსენებთ, რომ მან მაიკ ტაისონის გამლახველი, ბრიტანელი დენი უილიამსი უნდა დაამარცხოს. ბანაკებმა მოილაპარაკეს და ვიტალი კლიჩკოს პირველად მოუწევს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა. ბრძოლა კი, როგორც ცნობილია, დეკემბრის დასაწყისში გაიმართება, ამასთან, სავარაუდოდ, ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენში".

ბრძოლა რომ საინტერესო იქნება, ეს ამთავითვეა ცნობილი. სხვა რომ არაფერი, სასწორზე დევს WBC საჩემპიონო ქამარი, რომელიც ანდამატივით იზიდავს ყველა პატივმოყვარე მოკრივეს.

"ყოველთვის ვოცნებობდი ტაისონთან შერკინებაზე, მაგრამ უილიამსმა ჩემი ოცნებები დაასხვრია. დენიმ მაიკთან ორთაბრძოლაში გვიჩვენა კარგი საბრძოლო ოსტატობა. დარწმუნებული ვარ, უილიამსთან ჩხუბი საამო საცქერი იქნება, თუმცა, ტიტულთან დამშვიდობებას არ ვაპირებ".

მოკლედ

## შარაპოვა და პარფიუმერები

ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი, უიმბლდონის ჩემპიონი, 17 წლის მარია შარაპოვა ახალ პროფესიას იძენს. ახლა ის დიდი ფულის კეთებას ისე იწყებს, რომ კორტზე გასვლაც არ სჭირდება. საინტერესოა, მოეწონება თუ არა ჩოგბურთელს ასეთი გართობა.

ახლახან მარიამ კომპანია Parlux Fragrances-სთან სარეკლამოა კონტრაქტი გააფორმა. ამ კონტრაქტის თანახმად, მომავალი წლიდან დაიწყება სუნამოების გამოშვება, რომელიც მარია შარაპოვას სახელს ატარებს. "ეს საშუალებას მომცემს, საქმე და გართობა ერთმანეთს დავუკავშირო, - განაცხადა 17 წლის სპორტსმენმა, - საერთოდ, მოდის სამყარო ძალიან მიყვარს და მინდა, მის განვითარებაში მეც მივიღო მონაწილეობა". შარაპოვამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმება 5 მილიონ დოლარზეა გათვალისწინებული.

ცნობილია, რომ ადრე უიმბლდონის ტურნირის წლევანდელმა ტრიუმფატორმა კომპანია "მოტოროლასთანაც" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 4-5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ჟურნალ "ფორბსის" მონაცემებით, ახლა შარაპოვა შემოსავლების თვალსაზრისით მე-20 ადგილზეა. 2003-2004 წლებში მარია შარაპოვამ 2,3 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. თუმცა, სულ მალე მას საშუალება ექნება, ასეთი თანხა მარტო ქუდების შესაძენად დახარჯოს. ექსპერტთა შეფასებით, სწორი მენეჯმენტის პირობებში შარაპოვას შეუძლია წლიური საშემოსავლო თანხა 180 მილიონ დოლარამდე გაზარდოს. აქედან ჩოგბურთზე მხოლოდ მცირე თანხა მოდის.

## სექსოდრომი „ფენომენისთვის"

ამას მთელი ბრაზილია ელოდება. მადრიდის რეალის" ფორვარდი რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმა, რომელიც "ფენომენისა" და "კიჟას" სახელითაც არის ცნობილი, კვლავ დაქორწინებას აპირებს. ცნობილია რონალდოს საცოლეც. ქალი, რომელმაც არა მხოლოდ თავგზა აუბნია ბრაზილიელ გოლეადორს, არამედ ის დაარწმუნა, ჯვარიც დაეწერა მასზე. ეს გახლავთ მოდელი დანიელა ჩიკარელი.

ამ ამბავში სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ქორწილი ბრაზილიაში არ გაიმართება. არადა, ტორსიდა ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნამდვილ კარნავალს მოაწყობდა. ხუმრობა ხომ არ არის, ჯვარს იწერს ბრაზილიელთა გმირი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. საზეიმო ცერემონიალი გაიმართება უაღრესად რომანტიკულ ადგილზე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში, რომელიც პარიზის გარეუბანში მდებარეობს.

თუმცა, წყვილს სამშობლოში გამგზავრება მაინც მოუწევს. რონალდოს ოჯახი ბრაზილიის ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქ სან-პაულუში თავის ბუდეს იშენებს. პაპარაცებმა დაადგინეს, რომ საუბარია უაღრესად ძვირფას სახლზე, ქალაქის ცენტრში, ძალიან ძვირად ღირებულ რაიონში - იტაიმში. ასე რომ, რონალდოს, რომელსაც არაერთხელ განუცხადებია, ქალთა საზოგადოებაში ყველაზე უკეთ ვისვენებო, საშუალება ექნება, მდიდრულ სახლში, მეუღლის გვერდით მოიწყოს ინტიმური სავანე. შეიძლება სწორედ აქ დაიკლოს ფეხბურთელმა წონაში, რაზეც ხშირად საუბრობენ გულშემატკივრები, ექიმები და მწვრთნელები.

## აბრამოვიჩი უკმაყოფილოა

ლონდონის "ჩელსის" მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა მოითხოვა დასრულდეს თავისი ახალი საცხოვრებელი, რომელიც დასავლეთ სუსექსის საგრაფოში შენდება. ამ დღეებში, როცა მშენებლები მიიჩნევდნენ, რომ სამუშაო დასრულებულია ("იქ მხოლოდ დასუფთავებაღაა საჭირო", - ამბობდნენ მშენებლები), სახლში თავად მისტერ აბრამოვიჩი მიბრძანდა და პროექტში სასწრაფო კორექტივები შეიტანა.

"მან განაცხადა, რომ სამუშაოს ხარისხით აღფრთოვანებულია, მაგრამ სურს, სახლს რაღაც ნაწილი კიდევ მიუშენდეს", - გაზეთ "სანს" განუცხადეს მშენებლებმა. მათი თქმით, აბრამოვიჩს სატრენაჟორო დარბაზის ზომა არ მოეწონა. ამას გარდა, მან მოისურვა, გადიდდეს ის ოთახები, სადაც ფიზიკური დატვირთვის შემდეგ დასვენება იქნება შესაძლებელი. ამ დამატებებისთვის ოლიგარქმა კიდევ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოყო.

აქამდე აბრამოვიჩმა თავისი სახლის გაუმჯობესებას 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაახარჯა. ჩუკოტკის გუბერნატორის ინგლისურ სახლს აქვს 7 საძინებელი, პოლოს სათამაშო მოედანი, ჩოგბურთის კორტი, ხელოვნური ტბა, სასროლეთი, ტრასა კარტინგისთვის, ორი აუზი, საჯინიბო, ბოულინგის ბილიკები და ჰოკეის სათამაშო მოედანი. ეს უკანასკნელი აბრამოვიჩს 400 ათასი გირვანქა დაუჯდა. სუსექსის საგრაფოში აბრამოვიჩს საერთო ფართი 424 აკრი მიწა ეკუთვნის.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 22 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - სთრითბოლი - Entertainers Basketball Classic
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1983. "DENVER NUGGETS" - "DETROIT PISTONS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ოსასუნა"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "მიდლსბრო"
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ტულუზა" - "ლიონი"
22:10 თავისუფალი დარტყმა
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია" - "იუვენტუსი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლანსი" - პსჟ. შესვენებისას (01:05) - თავისუფალი დარტყმა
02:20 02:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1985. "ATLANTA HAWKS" - "BOSTON CELTICS"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
11:15 ტროფი-რეიდი - "ლადოგა-2004"
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 დიდი პრიზი. "ყველაზე ძლიერი ადამიანი". დღე პირველი
16:15 ჰოკეი. მსოფლიო თასი. საუკეთესო მატჩები. რუსეთი - სლოვაკეთი
18:15 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში სანკტ პეტერბურგში. ნაწილი მეორე. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 აფროსნობა. "ამერიკის თასი"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ჰოკეი-პლუს"
21:45 მძლეოსნობა. მონაკოს დიდი პრიზის ფინალი. დღე პირველი. შესვენებისას (00:00) - ახალი ამბები
01:00 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**
10:30 პარაოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
11:00 თავგადასავლების რეიდი
11:30 მძლეოსნობა. IAAF Gala მონაკოში
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:30 პარაოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
14:00 ფეხბურთი. ევროგოლები
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
21:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი დიდ ბრიტანეთში
22:30 ცხენოსნობა. სუპერ ლიგა ესპანეთში
23:30 გოლფი. PGA აშშ. სპეციალური მიმოხილვა
00:30 აფროსნობა
01:00 ცხენოსნობა. Show Jumping პორტუგალიაში
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
02:00 ცხენოსნობა. Show Jumping გერმანიაში
03:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
03:15 ახალი ამბები.

# შედარება ყოველთვის არ ამართლებს

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ
ლას ვეგასი

როდესაც კრივის შესახებ მწერალი სპორტული მიმომხილველები კარლ მარქსის ციტირებას იწყებენ, უკვე საინტერესოა. მარქსისზმის კლასიკოსი კი მათ 18 სექტემბერს, შაბათს, ლას ვეგასში გაახსენდათ, როდესაც გიგანტური ოტელ-კაზინო "ემ ჯი ემ-გრანდის" რინგზე საშუალო წონის მოკრივე-პროფესიონალებს შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის ერთმანეთს დე ლა ჰოია და ჰოპკინსი ერკინებოდნენ.

ციტირებით კი, მარქსის ცნობილ გამონათქვამს იხსენებდნენ იმის შესახებ, რომ ისტორია მეორდება ორჯერ. თავდაპირველად, როგორც დრამა, მერე კი - როგორც ფარსი.

დრამად შუგარ რეი ლეონარდისა და მერვინ ჰეგლერის ბრძოლა იქნა მიჩნეული. ეს 1987 წელს იყო, ასევე ლას ვეგასში, ოღონდ "ემ ჯი ემ-გრანდისგან" ერთი მილის დაშორებით, ოტელ-კაზინო "სიზარს პალასში".

ამ ორი შერკინების მოქმედ პირთა და ინტრიგათა მსგავსება, მართლაც რომ, გასაოცარი გახლდათ, თითქოს იქ, სადღაც, ზევით, ვილაცამ დრო უკუღმა დაატრიალა. მერვინ ჰეგლერის როლი ბერნარდ ჰოპკინსს ერგო. ორივენი - მოკრივე პროლეტარები, ბრბოს შვილები არიან. ისინი დიდ ხანს იბრძოდნენ გროშებისთვის, დიდი დრო დასჭირდათ აღიარების მოსაპოვებლად, სამაგიეროდ, მერე თავიანთ კატეგორიაში - საშუალო წონაში - დიდ ხანს ბატონობდნენ. შუგარ რეი ლეონარდის როლს კი ოსკარ დე ლა ჰოია ასრულებდა. ორივენი ლამაზები, ქარიზმატული "ოქროს ბიჭები", პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც: ერთიცა და მეორეც პროფესიულ კრივში ოლიმპიური ოქროს მედლებით მივიდნენ, მასას და მასმედიას უცებ შეაყვარეს თავი და ასობით მილიონობით დოლარის მბეჭდავ მანქანებად იქცნენ. თანაც, მაშინ, როდესაც ჰეგლერიცა და ჰოპკინსიც საშუალო წონას არ გასცილებიან, დე ლა ჰოიაცა და ლეონარდიც სხვადასხვა წონებში ნავარდობდნენ (მაგალითად, დე ლა ჰოიამ რვაჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ექვს წონით კატეგორიაში). განაჩენი წინასწარ იყო გამოტანილი - ითვლებოდა, რომ 1987-ში ლეონარდს, წელს კი დე ლა ჰოიას დაუმარცხებელ ჩემპიონებთან ბრძოლაში არავითარი შანსი არ ჰქონდათ.

ნევადას შტატის ათლეტიკის კომისიის დირექტორი მარკ რატნერი, რომელიც ორივე მატჩს ადევნებდა თვალს, იხსენებს: **"მსგავსება გამაოგნებელი იყო. რეის გამარჯვების არავის სჯეროდა, ისევე როგორც ოსკარის"**.

ტელეარხ HBO-ს კომენტატორი ლერი მერჰეიტი, რომელმაც ორივე მატჩის რეპორტაჟი გადასცა: **"არავის თავის წონით კატეგორიაში არ უშოვნია იმდენი ფული, რამდენიც ლეონარდმა მოახერხა. ის რინგზე საუკეთესო მოკრივეთა წინააღმდეგ გამოსვლის შესაძლებლობას ხელიდან არასოდეს გაუშვებდა. ამ თვალსაზრისით, დე ლა ჰოია მისი ანარეკლია. რეის მსგავსად, ოსკარიც თანხმდება ბრძოლას, რომლებში მონაწილეობაც ან მის ამპარტავნობაზე მეტყველებს, ან სიგიჟეზე"**.

პრომოუტერი ბობ არუმი, "ორივე შერკინების არქიტექტორი": **"ბინგ! ბინგ! - ისმის ზარები რეკვა! ბედნიერი ვარ იმით, რომ ისტორია მეორდება! ჩვიდმეტი წლის შემდეგ! ბრძოლებს შორის მსგავსება ისეთია, რომ მაკანკალებს!"**

ჯიმ ლემფლი, ორივე ორთაბრძოლის პრომოუტერი: **"მსგავსება თვალშისაცემია"**.

და მართლაც, თვალშისაცემია...სანამ 1987 წლის 6 აპრილს ლეონარდი რინგზე ჰეგლერის წინააღმდეგ გამოვიდოდა, ორი წლის მანძილზე საზოგადოების მაყურებლის წინაშე მუშტი არ მოუქნევია. მან წონაში მოიმატა და მოიპოვა გამარჯვება, რომლის ლეგიტიმურობაზე ექსპერტები ახლაც დავობენ. მაშინ ლეონარდის წინაშე წამოჭრილი ამოცანის შესრულებას "შეუძლებელს" უწოდებდნენ, გასულ შაბათს დე ლა ჰოიას ჩანაფიქრს - "განუხორციელებელს".

ნამდვილად თვალშისაცემია...1976 წელს ლეონარდს, კრივში შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდის ვარსკვლავს, ოქროს მედლისთვის ბრძოლისას, შთაგონებისთვის მეგობარი გოგონას, მომავალში მისი მეუღლის, ხუანიტას ფოტო ფეხსაცმელზე ჰქონდა მიმაგრებული. 1992 წელს კი დე ლა ჰოია ოქროსთვის დედის უკანასკნელი სურვილის შესასრულებლად იბრძოდა. გულშემატკივრებმა "ოქროს ბიჭუნები" იმთავითვე შეიყვარეს, მათ კი სახელი მარტო სენტიმენტალობით კი არა, საქმიანი ალღოთიც გაითქვეს - კრივითა და ტელევიზიით დიდი ფული იშოვეს. "ოლიმპიური მედლის სახით, პირში გაჩრილი ვერცხლის კოვზებით პროფესიულ რინგში მოსულ რეის და ოსაკარს თავისი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ სასტარტო უპირატესობა ჰქონდათ", - ამბობს არუმი.

აი, ჰეგლერი და ჰოპკინსი პროფესიულ კრივში ფანფარონების გარეშე, "უკანა კარიდან" მოვიდნენ. ჰეგლერმა თავისი პირველი ბრძოლა 50 დოლარის საფასურად ჩაატარა, ჰოპკინსმა კი - 400, ოღონდ წააგო. ჰეგლერი ჩემპიონი მეორე ცდაზე გახდა, ჰოპკინსი - მესამეზე. **"ისინი დიდი კრივის სამყაროში ქუჩიდან, საეჭვო რეპუტაციის კრივის კლუბებიდან, ოლიმპიური შარავანდედის გარეშე მოვიდნენ"**, - ამბობს იგივე არუმი. ჩემპიონობა მათი აღიარების საფუძველი კარგა ხანი არ გამხდარა, ამას წლები დასჭირდა. **"სანამ ჩემთან და ჰეგლერთან მოვიდოდა, სახელმა და დიდებამ გრძელი, მიხვეულ-მოხვეული გზებით იარეს. დიდ ორთაბრძოლებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ მაშინ დავიწყეთ, როცა ჩვენი სპორტული კარიერის ნახევარზე მეტი უკან გვქონდა მოტოვებული"**, - ამბობს ჰოპკინსი. მას ეამაყება, ჰეგლერს, მისი ახალგაზრდობის კუმირს რომ ადარებენ. **"პირველად ხუთი წლის წინ შევხვდი და საკუთარი მოკრივის ტრუსი მაჩუქა. ჰეგლერმა მირჩია, წონით კატეგორიებში არ მეხტუნავა. მისდამი დიდი პატივისცემით განვეწყვე. მისი შრომისუნარიანობა გამაოგნებელი იყო. ახლაც ვცდილობ, მივბაძო - ფორმას არასდროს კარგავდა და ბრძოლისთვის მუდმივ მზადყოფნაში იყო. მე ყოველთვის მის გზას ვიმეორებდი. ჩემი კარიერის გზა თითქოს მისგან გადმოვიხატე და ისე მივსდევ"**, - ჰყვება ჰოპკინსი.

თავად ჰეგლერიც მაღალ შეფასებას აძლევს ჰოპკინსს. ივნისში ისინი ერთად მიიწვია ESPN-2-მა და ჰეგლერმა ჰოპკინსს დე ლა ჰოიასთან დაგეგმილი შეხვედრის მთელი სტრატეგია გადმოულაგა, ამასთან თანამოსაუბრეს უწოდა "ადამიანი, რომელმაც პატივსაცემი გახადა ჩემი წონითი კატეგორია". მათ ერთმანეთს გაუზიარეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ორივეს დიდი დრო დასჭირდა სახელისა და ფულის მოსახვეჭად. ჰეგლერი დიდხანს ცდილობდა ლეონარდთან რინგზე შეხვედრას, ის კი ხან თავს ანებებდა კრივს, ხან ბრუნდებოდა. თავის მხრივ ჰოპკინსიც სამი წლის მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა დე ლა ჰოიას და ბოლოს დაითანხმა ორთაბრძოლაზე. **"ორივეს დიდხანს მოუწია ცდა, რადგანაც აღარც ერთი აღარ იყო ახალგაზრდა ვარსკვლავი და მაყურებლის რჩეული"**, - ამბობს ლერი მერჰეიტი.

ლეონარდიც და დე ლა ჰოიაც მეგობრობენ. თუმცა, ამასწინათ ტელევიზიამ ისინი მეტოქეებად აქცია - არა რინგზე, არამედ რეალითი შოუში. დე ლა ჰოია ტელეარხ "ფოქსის" შოუს "მორიგი დიდი ჩემპიონის" ვარსკვლავია, ლეონარდი კი ეი-ბი-სის შოუს "პრეტენდენტის" მონაწილე. **"მე და ლეონარდი ვმეგობრობთ,** - ამბობს ოსკარი, **- ერთად ვთამაშობთ გოლფს, ერთად ვმხიარულობთ. მე აღფრთოვანებში მოვყავარ ამ ბიჭს"**. და, აი, რას ფიქრობს რეი ოსკარზე: **"დე ლა ჰოიამ დიდი გავლენა იქონია კრივსა და კორპორაციულ ამერიკაზე. ის იმავე გზით დადიოდა, რითიც მე. მეც, ისევე როგორც მას, ყოველთვის მინდოდა საუკეთესოებთან მეჩხუბა. ჩვენ ყოველთვის დიდ გამოწვევებს ვეძებდით. მაყურებელი მხოლოდ მაშინ გცემს პატივს, როდესაც საუკეთესოებს უწევ წინააღმდეგობას. ოსკარს, ჩემი არ იყოს, სწორედ ამის გამო სცემენ პატივს"**.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, სულაც არ გახლავთ გასაკვირი, რომ დე ლა ჰოიაცა და ჰოპკინსიც, ორთაბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე ხანგრძლივად და ყურადღებით სწავლობდნენ ჰეგლერ-ლეონარდის ბრძოლის ჩანაწერს.

**"ორთაბრძოლისთვის მზადებისას ათასჯერ მაინც ვუყურე. ეს ჩანაწერი სულ თან დამქონდა და ის შთამაგონებდა. როდესაც რეიმ საშუალო წონის მოკრივეთა მეფე ჰეგლერი გამოიწვია, იგი ყველამ გიჟად ჩათვალა. ახლა ჰოპკინსიცა და სხვებიც იგივეს ამბობენ ჩემზე. მაგრამ ეს ორთაბრძოლა უაზრობად მხოლოდ ქაღალდზე გამოიყურება. ჩემი გონება და გრძნობები კი მკარნახობს, რომ მე შემიძლია ისტორიის გამეორება. დარწმუნებული ვარ, რომ თავის დროზე იგივეს განიცდიდა ლეონარდიც. მე 80-იან წლებს "ემ ჯი ემ-გრანდის" რინგზე გავიმეორებ"**, - ასეთი განწყობა ჰქონდა ორთაბრძოლის წინ დე ლა ჰოიას.


ოსკარ დე ლა ჰოია


ბერნარდ ჰოპკინსი


მერვინ ჰეგლერი და შუგარ რეი ლეონარდსი


შუგარ რეი ლეონარდსი

ლეონარდ-ჰეგლერის ბრძოლის ამსახველ ვიდეომასალას ჰოპკინსიც არ იშორებდა, მაგრამ უყურებდა ამას არა შთაგონებისთვის, არამედ დიდი რუდუნებით აკვირდებოდა ლეონარდის სტრატეგიას, რომელმაც მას ჰეგლერის დამარცხების საშუალება მისცა. ჰოპკინსის აზრით, დე ლა ჰოია თავის კერპს მიბაძავდა და მის წინააღმდეგ იმავე სტრატეგიას გამოიყენებდა. ჰოპკინსის თქმით: **"ლეონარდმა ჰეგლერის ყურადღების მოდუნება მოახერხა. მან მხოლოდ ორთაბრძოლის ბოლოს გაილვიძა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ოსკარის ბანაკს რაღაც ამგვარის მოხერხება სურს. ოსკარს ხომ კარგად ესმის, რომ ჩემთან პირდაპირი დარტყმების დაცვა მისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. ამიტომ ეცდება, კატა-თაგვობანა მეთამაშოს და ნელ-ნელა მომპაროს ქულები და მაყურებლის სიმპათია. ის გამოვა იმ პრინციპიდან, რომ მე ვეცდები ერთი სანოკაუტო დარტყმით მოვუღო ბოლო და ქულების დაგროვებაზე არ ვიზრუნებ. მაგრამ ეს ილეთი ჩემთან არ გაუვა..."**

შაბათის ორთაბრძოლაში დე ლა ჰოია პრეტენდენტი იყო, ჰოპკინსი - ჩემპიონი. მიუხედავად ამისა, პირველის ჰონორარმა 30 მილიონი დოლარი შეადგინა, მეორისამ - მხოლოდ 10. მეტიც, პრეტენდენტმა დაიჟინა, რომ ჩემპიონის წონა 160 ფუნტი კი არა, 158-ზე მეტი არ ყოფილიყო, სამაგიეროდ რინგის ფართობის გაზრდა და სტანდარტულ ზომას გადაჭარბება მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი პირობა პატარა წონის მქონე და მანევრულ პრეტენდენტს უპირატესობას ანიჭებდა, ჩემპიონი დათანხმდა - 10 მილიონის გამო. მეტოქეზე სამჯერ ნაკლები ჰონორარის უზრუნველყოფა, "მოსაწყენი" ჰოპკინსისთვის მხოლოდ ოსკარს შეეძლო. და ისევ პარალელები. თავის დროზე ლეონარდმა მიაღწია, რომ მისი ორთაბრძოლა ჰეგლერთან, იმ დროს დადგენილი 15 რაუნდის ნაცვლად, 12 რაუნდს გაგრძელებულიყო, რადგანაც სამწლიანი შესვენების შემდეგ იგი საუკეთესო ფორმაში არ იყო. ჰეგლერიც, ჰოპკინსის მსგავსად, დათანხმდა. როგორც ამერიკაში ამბობენ money talks - "ფული ლაპარაკობს".

ჰოპკინსი ორთაბრძოლის დაწყებამდე დე ლა ჰოიაზე ერთი კილოგრამით მეტს - 156 ფუნტს იწონიდა.

"დე ლა ჰოია გოლდენ ბოი პრომოუშენის" ხელმძღვანელის რიჩარდ შეფერის თქმით, ჰოპკინსი ასეთი ზედმეტი ვარჯიშის შედეგად გახდა. **"წონის ასეთი დაკლება ჰოპკინსს ავნებს. ჩემი მექსიკელი მუცელში ერთი მაგარი დარტყმით დასცემს მას"**, - ხარობდა იგი ბრძოლის წინ.

პრინციპში, მოწინააღმდეგეთა ფიზიკური კონსტიტუციის სხვაობა გახლდათ ამ ორთაბრძოლის მთავარი ინტრიგა: ოსკარის სისწრაფე ბერნარდის ძალის წინააღმდეგ.

ოსკარის მწვრთნელი, ფლოიდ მეველზერ-უფროსი ამტკიცებდა: **"ოსკარი ბერნარდზე ბევრად სწრაფია. სანამ ის გასროლას გადაწყვეტს, ოსკარი რინგის მეორე ბოლოში იქნება"**. ოსკარის მეორე მწვრთნელს ჯინ კლენმის კი მაგალითად მოჰყავდა 1966 წლის ისტორიული ორთაბრძოლა ემილ გრიფიტსა და დიკ ტაიგერს შორის. **"როცა გრიფიტმა ტაიგერი სცემა, 151 ფუნტზე ოდნავ მეტს იწონიდა, ტაიგერის წონა კი 160 ფუნტი გახლდათ. მაგრამ მე-9 რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო. ჰოპკინსიც ვერაფერს მოუხერხებს ოსკარს"** (კლენმი გრიფიტის მწვრთნელიც იყო). დაბოლოს, ცნობილი მწვრთნელი და ექსპერტი ტედი ატლასი ამბობდა, რომ ჩემპიონის უპირატესობა მის სიმაღლეშია და წონა, შესაძლოა, მის ძალად კი არა, სისუსტედ იქცეს. **"ჰოპკინსი განსაკუთრებული ტიპის საშუალო წონის მოკრივეა, ის არ ჰგავს ჰეგლერს,** - ამბობდა ატლასი, **- ის არ ეძებს ნოკაუტს. ჰოპკინსი მუშაობს კონტრშეტევაზე, ის მოაზროვნე მოკრივეა. ეს კი ხელს აძლევს სწრაფ დე ლა ჰოიას"**.

ჩემპიონის სასარგებლოდ აზრი გამოთქვა მისმა მწვრთნელმა ჯეკ მოსლიმ: **"დე ლა ჰოიას დრო არ ჰქონდა საიმისოდ, რომ ლეგიტიმურ საშუალო წონის მოკრივედ ჩამოყალიბებულიყო. ჰოპკინსი მასთან შედარებით კინგკონგია"**. მოსლის სიტყვებს კი წონა ნამდვილად ჰქონდა. სწორედ ის გახლდათ თავის ვაჟს შეინ მოსლის რომ წვრთნიდა, მისგან, 130 ფუნტიანისგან 154 ფუნტიანი მოკრივე იმიტომ დააყენა, რომ დე ლა ჰოიას შერკინებოდა. ისინი ორჯერ შეხვდნენ რინგზე ერთმანეთს და ორჯერვე გამარჯვება შეინს დარჩა...

მაგრამ, როდესაც გაისმის ბრძოლის დაწყების მაუწყებელი გონგის ხმა, რინგზე რჩება მხოლოდ ორი მოკრივე და რეფერი, სხვა ყველაფერი თითქოს არც ყოფილა: არც მარქსის აფორიზმი ორჯერ გამეორებულ ისტორიაზე, არც ისტორიული პარალელები, რომლებიც მარქსიზმის მეორე კლასიკოსის სტალინის განმარტებით "მეტად საშიში რამაა". აქ, რინგზე სხვა კანონები მოქმედებს, რომელთა შესახებ არაფერია თქმული არც "კაპიტალში" და არც "სკკპ ისტორიის მოკლე კურსში".

დე ლა ჰოია რინგისკენ მექსიკური სერენადის აკომპანიმენტის ქვეშ, ოქროსფერი სარჩულის მქონე შავი ხალათით მიდიოდა. წითელ ხალათში გამოწყობილი ჰოპკინსი, ზურგზე წარწერით "უდავო ჩემპიონი", სინატრას My Way-ის ჰანგებქვეშ გაემართა საბრძოლველად. ოსკარის გამოჩენას მაყურებელი ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა, ჰოპკინსისას - დროდადრო სტვენით დარღვეული დუმილით. კრივში რომ გამარჯვებას გულშემატკივართა რეაქციის ძალის დეციბალებით ანიჭებდნენ, ოსკარი - "ოქროს ბიჭუნა", ჰოლივუდისა და ცისფერი ეკრანის ნებიერი, დაუმარცხებელი იქნებოდა. მაგრამ კრივი კინო არ არის.

პირველი ორი რაუნდი დე ლა ჰოიას უპირატესობით წარიმართა. იგი ხელების განსაცვიფრებელ სისწრაფესა და არაგონიერ სიმამაცეს ავლენდა - რინგის ცენტრში იდგა, იმის ნაცვლად, რომ ჩემპიონს მორიდებოდა. ასეთ ტაქტიკას კი ოსკარისთვის მომაკვდინებლად აფასებდნენ. თავის მხრივ ჰოპკინსმაც დაამტკიცა, რომ ის მარტო ძალის იმედად არ არის. ოსტატური დარტყმებით მან მოწინააღმდეგეს მოგებული რაუნდების დაგროვების საშუალება არ მისცა და ტექნიკის საშუალებით მომდევნო სამი რაუნდი მოუგო კიდეც. დე ლა ჰოიას სახე თანდათან გაუწითლდა, სწრაფი მოძრაობაც შენელდა. ამის შემდეგ ბრძოლა პროგნოზირებადი გახდა. მეტად ძლიერი და ბუნებრივი საშუალო წონოსანი თანდათან ინიციატივას საკუთარ ხელში იღებდა, დე ლა ჰოიას დარტყმას კი ძალის ნაკლებობა ეტყობოდა.

კვანძი მეცხრე რაუნდში გაიხსნა. ქრონომეტრი 1 წუთსა და 38 წამს აჩვენებდა, როდესაც ჰოპკინსის მარცხენით დარტყმულმა საშინელმა ჰუკმა დე ლა ჰოია იატაკზე დასცა. რეფერიმ თვლა დაიწყო. თვლაზე "10" დე ლა ჰოია ვერ წამოდგა და რეფერიმაც დააფიქსირა სუფთა მოგება ნოკაუტით. მუხლებზე წამომდგარი დე ლა ჰოია სიმწრისგან მუშტებს იატაკს ურტყამდა. ეს მულტიმილიონერად ქცეულ "ოქროს ბიჭუნას" ხანგრძლივ კარიერაში პირველი ნოკაუტი გახლდათ. ახდა რიჩარდ შაფერის წინასწარმეტყველება "მუცელში ერთი კარგი დარტყმის" შესახებ, ოღონდ დაარტყეს არა ბერნარდს, არამედ ოსკარს.

ორთაბრძოლის შემდეგ ჰოპკინსმა განაცხადა, რომ მომაკვდავ დედას დაჰპირდა და 40 წლის ასაკში რინგს დატოვებს. **"ცრუმორწმუნე ვარ და მიცემულ სიტყვას შევასრულებ"**, - თქვა დაუმარცხებელმა ჩემპიონმა. დე ლა ჰოიამ პატივი მიაგო ჩემპიონს და რინგთან მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ჰოპკინსმა "ზუსტად წერტილში გაარტყა" და ამან გადაწყვიტა ორთაბრძოლის ბედი. მაგრამ სინამდვილეში საქმე ბედნიერ შემთხვევითობაში სულაც არ გახლდათ. ქულებით ჰოპკინსი მე-9 რაუნდამდეც უგებდა დე ლა ჰოიას, საბოლოოდ კი ჩემპიონის ძალამ ბერნარდის მუშტებში აჯობა ჩემპიონის სიმამაცეს ოსკარის გულში.

ასე რომ, ორთაბრძოლა დე ლა ჰოია-ჰოპკინსი არ გახდა ლეონარდ-ჰეგლერის ორთაბრძოლის გამეორება.

**"ეს ბრძოლა მე მივუძღვენი ერთ-ერთ ჩემს კერპს - მარვინ ჰეგლერს,** - თქვა ჰოპკინსმა, **- მან მაჩვენა გზა გამარჯვებისკენ. 17 წლის წინანდელი ისტორია არ განმეორდა. მე გავიმარჯვე საკუთარი თავის და ჰეგლერის სასახელოდ"**.

ხომ კარგად გესმით, ღრმად პატივცემულო კარლ მარქს?!

# REM-ი მზის გარშემო



საყვარელი ჯგუფის ცოცხალი კონცერტი თქვენს ქალაქში - ახდენილი ოცნება. ძლივს ნაყიდი/ნაჩუქარი ბილეთი. შენობასთან შეკრებილი დაცვა და უამრავი ფანი. რიგი. ჭყლეტვა. გადათელვა. ყვირილი. სტრესი. და ბოლოს, დიდი ბრძოლის შემდეგ - დარბაზი.

წარმოიდგინეთ, რომ იმას, რასაც ამ რიგში დგომისას ნახავთ და გადაიტანთ, ვებ-გვერდ MySpace.com-ის მონახულების დროს, ვირტუალურ გარემოშიც სრულიად რეალურად იგრძნობთ. უფრო სწორად, იგრძნობენ REM-ის თაყვანისმცემლები. მათთვის რიგში დგომისა და ჭყლეტვის ტოლფასი იქნება ინტერნეტთან კავშირის მინიმუმამდე შენელებული სიჩქარე, და ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ეკრანზე გამოტანილი შეტყობინება: “უკაცრავად, ვებ-გვერდის გადატვირთვის გამო, ჯერჯერობით, საიტზე შესვლას ვერ მოახერხებთ. სცადეთ მოგვიანებით”. ამხელა აჟიოტაჟს კი ხსენებულ მისამართზე “ჰოლივუდ რიფორთერის” მიერ გავრცელებული ცნობა გამოიწვევს - დღეიდან ვებ-გვერდი MySpace.com-ი, REM-თან გაფორმებული კონტრაქტის შედეგად, საშუალებას მოგვცემს ჯგუფის ახალი, ჯერაც გაყიდვაში ჩაუშვებელი ალბომი დავაჭაშნიკოთ. და ცნობის მეორე ნაწილი: “ეს გახლავთ პირველი ინიციატივა, როცა მუსიკალური ჯგუფი მსგავს პროექტს ინტერნეტ პორტალთან ერთად ახორციელებს”.

თუმცა, პირველივე დღეს ვირტუალურ რიგში ჭყლეტვა და ვებ-გვერდის გადაწვა აუცილებელი არ არის. REM-ის ახალი ალბომის “გაცნობა” კიდევ ორი კვირის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. ვებ-გვერდი მომხმარებელს REM-ის საანონსო პროგრამის ფარგლებში ასევე შესთავაზებს: ნაწყვეტებს სიმღერებიდან, ფოტოებს, ე.წ. შპალერს დისპლეებისთვის, მობილური ტელეფონების ზარებს.

“REM-ი ის ლეგენდარული ჯგუფია, რომელიც ჩვენს საიტზე ისეთ განცდას შექმნის, რაღაც გრანდიოზულ ღონისძიებებს რომ ახლავს ხოლმე თან. ეს არის უნიკალური შანსი იმისთვის, რომ ახალ ალბომზე ერთდროულად მილიონობით ადამიანი ალაპარაკდეს”, - აცხადებს MySpace-ის ხელმძღვანელი კრის დივოლფი.

MySpace.com ძალიან პოპულარული ახალგაზრდული პორტალია, სადაც ადამიანები იძენენ მეგობრებს, საუბრობენ საინტერესო თემებზე და ხშირად სიყვარულსაც პოულობენ. საიტს 4 მილიონამდე რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს. თუმცა, REM-ის ახალი ალბომის მოსასმენად საიტზე დარეგისტრირება საჭირო არ არის.

უკვე რეალობაში კი კომპაქტის პრეზენტაცია 5 ოქტომბერს შედგება. “მზის გარშემო” (Around the Sun) მათი მე-13 ალბომია და მასში შედის სინგლი Leaving New York. ალბომის სარეკლამო ტურნეს ჯგუფი 13 ოქტომბერს ლოს ანჯელესში იწყებს, საიდანაც 30-მდე ამერიკული ქალაქისკენ აიღებს გეზს.

REM-ი აქტიურად მონაწილეობს მუსიკოსების დამოუკიდებელ, პოლიტიკურ-მუსიკალურ პროექტში “აირჩიე ცვლილება” (Vote for Change), რომელშიც ბრიუს სპრინგსტინი და მისი “ი სთრით ბენდი”, “პერლ ჯემი”, დეივ მეთიუსის ჯგუფი და სხვები არიან ჩართულნი. მუსიკოსები 1 ოქტომბერს ტურნეს დაიწყებენ და ეწვევიან იმ შტატებს, რომლის მოსახლეობაც პოლიტიკურად პასიურია და ჯერაც არ გადაუწყვეტია, ვის აირჩევს ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში.

ასე რომ, სანამ MySpace.com-ზე რიგები დადგება მზის გარშემო მბრუნავი ალბომის მოსასმენად, REM-ი კოლეგებთან ერთად პუბლიკის გამოფხიზლებას შეეცდება. მათი აზრი ასეთია: შეინარჩუნო პოლიტიკური აქტიურობა, ერთადერთი გზაა არასასურველი რეალობის შესაცვლელად. შესაბამისად, ხმის მიცემა ნოემბრის არჩევნებში იგივეა, რაც ხმის მიცემა ცვლილებისთვის.

## TV პროგრამა

22 სექტემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **13.30** მხ. ფილმი "მთვარე" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ხალხის პირისპირ" **23.00** დოკ. ფილმი "ლოცვა კურნავს" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მოწმე". მთ. რ-ში: ევან მაკგრეგორი, ეშლი ჯადი (18)

### ISI

**08.00** "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "გადაღების ერთი დღე" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** "საღამოს საუბრები" - ნ. ყიფშიძე **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "ეძიე ქალი"- თ. ასანიშვილი **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** "ძველი აფიშა" - "ვახშმობის წინ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" - გ. თუმანიშვილი **00.00** მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" (გ)

### კავკასია

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.30** ფეხბურთი. "დეპორტივო"-"ვალენსია"

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.30** "წუთისოფელში" მე-3 გადაცემა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ეჰ, მეგობრებო" **12.15** "ლარის მახე" **12.40, 02.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ითამაშე ბეკჰემივით" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.50, 22.00, 23.15** ქრონიკა **15.25** სერიალი "კლონი" **16.20, 17.15, 03.15** იმედის მელოდიები **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.30** "პირველები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.45** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ეჰ, მეგობრებო" მე-2 ს. **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** მხ. ფილმი "დასაწყისი" (გ) (ი. ჩურიკოვა) **01.50** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.05** ქრონიკა

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"УЧАСТОК". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Леонид Куравлев в комедии **"СВАДЕБНЫЙ ПОДАРОК"**. **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"СЫЩИКИ". 16.30** "Фабрика звезд". **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **22.40** Спецназ. "По золотому следу". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.20** "Сканер". **00.50** Док. фильм "Гонки по вечной мерзлоте". **01.20** Остросюжетный фильм **"БИТВА ЗА ГАЛАКТИКУ"**. Фильм 2-й. **03.05** Джон Стэмос в комедии **"КАК ЖЕНИТЬСЯ НА МИЛЛИАРДЕРШЕ"**. **04.40** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** Сегодня **10.20** Преступление в стиле "Модерн": Лидвалиада. **10.50** "Женский взгляд". Ирина Роднина. **11.20** "Растительная жизнь" **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". 13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ЗАПАХ ЖЕНЩИНЫ". 14.25** Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ". 15.35** Криминальная Россия. **16.15** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ОДИНОЧНЫЙ ВЫСТРЕЛ". 20.50** Сериал **"ФАБРИКА ГРЕЗ". 22.00** "Страна и мир" **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.20** Сильвестр Сталлоне в боевике **"СУДЬЯ ДРЕДД" 01.55** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**.

## გამოსათხოვარი

# თამაზ ვახტანგის ძე გაჩეჩილაძე



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა - 66 წლის ასაკში გარდაიცვალა ბავშვთა ქირურგი თამაზ ვახტანგის ძე გაჩეჩილაძე - საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1962 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქალაქ ჭიათურაში, 1965-69 წლებში იყო მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ბავშვთა ქირურგიის კათედრის ასპირანტი, სადაც შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია, 1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1969 წელს თამაზ გაჩეჩილაძე ხდება ბავშვთა ქირურგიის კათედრის ასისტენტი, ხოლო შემდგომ ამავე კათედრის პროფესორი. 1982-92 წლებში იყო თსსუ პედიატრიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1994 წლიდან საქართველოს ბავშვთა ქირურგთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. იგი პედიატრიული ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელია.

კათედრაზე მოღვაწეობის პერიოდში მის მიერ გამოქვეყნებულია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია. იგი თანაავტორია 2002 წელს გამოცემული ფუნდამენტური სახელმძღვანელოსი ბავშვთა ქირურგიაში.

ძნელია, დაწვრილებით ჩამოითვალოს თამაზ გაჩეჩილაძის დამსახურება საქართველოში ბავშვთა ქირურგიის განვითარებაში, ახალგაზრდა თაობის აღზრდაში და ავადმყოფ ბავშვთა მკურნალობის საქმეში. იგი არის საქართველოში ბავშვთა პროქტოლოგიის ფუძემდებელი.

თამაზ გაჩეჩილაძე ჩვენს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება მომღიმარი, კეთილმოსურნე. მის მიერ ჩატარებული ქირურგიული ოპერაციები ყოველთვის გამოირჩეოდა დახვეწილობით, იუველირის სიზუსტით, ფილიგრანული ტექნიკით. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრებში, კოლეგებში, სტუდენტებსა და პაციენტებში. მისი მოღვაწეობა სათანადოდ იყო დაფასებული, დაჯილდოებული იყო მედლებით და საპატიო ღირსების ორდენით.

დასანანია, რომ ჩვენგან წავიდა ყველასთვის საყვარელი, კეთილი, თავმდაბალი, უპრეტენზიო მეცნიერი და ექიმი-კლინიცისტი, მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია რესპუბლიკის მოსახლეობისთვის და ექიმთა საზოგადოებისთვის. მისი სამეცნიერო შრომები შესულია ქართული მედიცინის ისტორიაში და მომავალი თაობა არ დაივიწყებს მის ღვაწლს.

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თსსუ ბავშვთა ქირურგიის კათედრა*
*საქართველოს ბავშვთა ქირურგიის კავშირი*

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი



1. მგზავრების გადაყვანა შუალედური პუნქტის გავლით; 2. ქართული ზღაპრის პოპულარული პერსონაჟი; 3. სამკარედი; 4. გერმანელი ავიაკონსტრუქტორი და მეწარმე; 5. სხდომის, ყრილობის ჩატარების წესი; 6. ცხენოსანი ჯარის ერთეული; 7. ფანტასტიკური თეატრალური ან საცირკო წარმოდგენა; 8. შენობის ფასადის სამკუთხოვანი დაბოლოება; 9. ხომალდიდან სიღრმის გასაზომი ხელსაწყო; 10. ქალაქი თურქეთის ჩრდილოეთში; 11. თირკმლის ანთება; 12. ერთგვარი დარტყმა კრივში; 13. რჩეული, საუკეთესო ჯარი; 14. ჩინელი მევიოლინე ქალი; 15. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი ქალი; 16. შტატი აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში; 17. ზღვისპირა კლიმატური კურორტი რუსეთში; 18. ზღვის სარეწაო თევზი; 19. ავტოტურისტების საზაფხულო ბანაკი; 20. არაკეთილსინდისიერი ხერხი რაიმე მიზნის მისაღწევად; 21. მუსიკალური ბგერის გრაფიკული გამოხატულება; 22. ნიკოლოზ II-ისა და მისი მეუღლის ფავორიტი; 23. კუნთის ქსოვილების გამყოფი თხელი ფენა; 24. სახელმწიფო სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში; 25. კამპუჩიის დედაქალაქი; 26. ძველბერძენი ფილოსოფოსი და მწერალი; 27. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 28. წამყვანი პარტიების შემსრულებელიქალი ოპერასა და ბალეტში; 29. ბოთლში დამწყვდეული ზღაპრული არსება; 30. თავადაზნაურული ტიტული ინდოეთში; 31. ხახვის ერთ-ერთი სახეობა; 32. ამერიკელი მომღერალი და კინომსახიობი ქალი;

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

„მზიური“

აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები

მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70

☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- ანგარიშგება,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ.
საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით

## აცხადებს კონკურსს

**საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერის თანამდებობაზე**

**ფუნქციები და მოვალეობები**

- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი ამბების პროგრამის ხელმძღვანელობა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- მართვის თანამედროვე პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი
- უცხო ენის ცოდნა
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

*განცხადების მიღება იწარმოებს 23 სექტემბრამდე.*

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.*

**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge




## IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამა გასცემს

**მცირე გრანტებს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სადაც ისწავლება ჟურნალისტიკა**

IREX

USAID-ის მიერ დაფინანსებულ მედია ინოვაციების პროგრამის ფარგლებში საქართველოსთვის IREX-ს აქვს შეზღუდული სახსრები მცირე გრანტების გასაცემად იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სადაც ისწავლება ჟურნალისტიკა.

**პროგრამის მიზანი**

მცირე გრანტების პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამგვარი სასწავლებლების დახმარება, რათა მათ სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით ჟურნალისტიკის/საზოგადოებრივი ურთიერთობების/რეკლამისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებით ძირითადი საგნების სწავლების ხარისხი გააუმჯობესონ.

**კონკურსში მონაწილეობის პირობები**

საგრანტო განაცხადის შემოტანის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯის ტიპის საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, რომლებიც კურსდამთავრებულებს ჟურნალისტიკაში სასწავლო ხარისხს ანიჭებენ, ან პროგრამებს სთავაზობენ სასწავლო ხარისხის მინიჭების გარეშე.

**გრანტის მოცულობა**

თითოეული გამარჯვებული კონკურსანტი მიიღებს აღჭურვილობის სტანდარტულ კომპლექტს, რომლის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 5,000 აშშ დოლარს და შეიცავს შემდეგს: პროექტორი, მაქსიმუმ სამი კომპიუტერი უწყვეტი კვების წყაროთი (ერთ-ერთ მათგანს ექნება DVD/ROM ), პრინტერი, სკანერი, ტელევიზორი და ვიდეო მაგნიტოფონი.

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა**

საგრანტო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 22 ოქტომბერი, პარასკევი, 17:00. განაცხადის ფორმის მიღება შესაძლებელია IREX-ის ოფისში. ელექტრონული ფორმა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ IREX-ის ვებ გვერდიდან: www.irex.ge

**საკონტაქტო ინფორმაცია**

საგრანტო განაცხადის ჩასაბარებლად და გრანტთან დაკავშირებული შეკითხვებით მიმართეთ IREX-ის გრანტების პროგრამის ხელმძღვანელს, სოფიო გიორგობიანს: sgiorgobiani@irexonline.ge, ტელ: 29 19 05. ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ აგრეთვე ეწვიოთ IREX-ის ვებ გვერდს: www.irex.ge

***შენიშვნა:*** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მობრძანდნენ ღია კარის დღეზე, რომელიც გაიმართება სამშაბათს, 5 ოქტომბერს, 15:00 საათზე, IREX-ის ოფისში.







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.